ისტორიული მემკვიდრეობა

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, აპრილი, 2010 წ. ფასი 3 ლარი

№4 (6)

4 დიდი ომი და დიდი მთავარსარდალი

14 ქანთარია და ეგორროვი რაიხსტაგის გუმბათზე

21 საბჭოთა კავშირის გმირები საქართველოდან

39 იტალიის ეროვნული გმირი ფორე მოსულიშვილი

41 ქართველი პარტიზანები საფრანგეთში

46 9 მაისი და კავკასია XXI საუკუნეში

52 საქართველოს ეკლესია დიდი სამამულო ომის წლებში

54 ნიურნბერგის პროცესი

58 ეგ არი და გორის ცხენ!

61 რეზო ჩხეიძე: დიდი ბედნიერებაა, როცა იგრძნობ, რომ შრომამ ფუჭად არ ჩაგიარა, ფილმმა თავისი ადგილი ჰპოვა მაყურებლის გულში და ადამიანებს ცხოვრებაში გამოადგა

ჟურნალ „ისტორიული მემკვიდრეობის“ რედაქცია სამამულო ომის ვეტერანებს გულითადად ულოცავს დიადი გამარჯვების დღესასწაულს!

სულისშემძვრელი კადრია — ემოციური, ძლიერი და სიმბოლური.

სტალინის საფლავზე დამხობილი ქალი — დედა რუსეთი, როგორც გამართლება ბელადის წინასწარმეტყველების: „მოვა დრო და ისტორიის ქარი გაფანტავს იმ ნაგავს, რომელსაც ჩემს საფლავს თანამედროვენი მიაყრიან“.

ქარი მისტრალი — ჩრდილოეთის ქარი.

სტალინის მოძულე ხრუშჩოველები და ეგოცენტრისტი დასავლეთელი ანტისტალინელები ამ ფოტოსურათზე აღბეჭდილ მომენტს კერპთაყვანისმცემლობის ნიშნად აღიქვამენ.

ნუ შეიქმნი კერპს!

კი! მაგრამ ადამიანის სხვა თვისებაზეა ამჯერად ლაპარაკი — დაფასებაზე, მიმტევებლობასა და კეთილშობილებაზე.

პტოლომეუსის — კლეოპატრას ძმის დაახლოებულმა პირებმა იულიუს კეისრის გულის მოსაგებად, მის მუდმივ მტერსა და მოწინააღმდეგეს, გენიალურ სარდალს — პომპეუსს გაიძვერულად თავი მოჰკვეთეს. კეისარმა ისინი ვერაგობისთვის ღირსეულად დასაჯა.

ვერაგობისთვის, კეთილშობილების პრინციპის დარღვევისათვის დასაჯა.

გაიძვერულად, ვერაგულად სტალინის ძეგლის ასაფეთქებლად უვიცი და გაუნათლებელი ანტისტალინელები მზად არიან, ხალხის ფული დაახარჯონ რუს ჯარისკაცებს.

ერთხელ მაინც გადაფურცლეთ ისტორია, სტალინის მაგინებლებო, რათა ერთხელ მაინც ეზიაროთ კეთილშობილების კლასიკურ ნიმუშებს.

ერთი წინადადება მაინც წაიკითხეთ სტალინის რომელიმე ნაშრომიდან, რაღაც მაინც გაიგეთ, სულ მცირედი, მერე ვიკამათოთ.

„მოდი და ვიკამათოთ“, — ამბობს უფალი“ (ესაია, 1.18).

და თუ ამის უნარი არ შეგწევთ, დამიგდეთ ყური: ხრუშჩოვის გაგანია ზეობის დროს ქართველმა ბიჭებმა სტალინის აი იმ საფლავზე, რომელიც ფოტოსურათზეა აღბეჭდილი, „გაფრინდი, შავო მერცხალო“ იმღერეს.

დაიბნა კრემლის დაცვა. ოპერატიულად მოახსენეს ხრუშჩოვს ასეთი განსაკუთრებული შემთხვევის შესახებ — რა ვქნათო?

ქართველები არიან და ხელი არ ახლოთო, — იმასაც კი წამიერად განათებია გონება.

არ ვარ დარწმუნებული, რომ თქვენც იგივე დაგემართებათ ოდესმე.

რადგან თქვენი ქართველობისა, თქვენი არ იყოს, არც მე მჯერა...

ისტორიის ქარი კი ძლიერდება!

არმაზ სანებლიძე

სარჩევი

გენერალისიმუსი
დიდი ომი და დიდი მთავარსარდალი 4

ის უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა... 8

დიადი გამარჯვება
ქანთარია და ეგოროვი რაიხსტაგის გუმბათზე 14

ჩვენი ისტორია
საბჭოთა კავშირის გმირები საქართველოდან 21

საერთო გამარჯვებისთვის
ვლადიმერ ჯანჯღავა: ანაპის 414-ე წითელდროშოვანი ქართული დივიზიით მთელ ერს შეუძლია იამაყოს! 32

„სადაურსა სად წაიყვან...“
იტალიის ეროვნული გმირი ფორე მოსულიშვილი 39

„სადაურსა სად წაიყვან...“
ქართველი პარტიზანები საფრანგეთში 41

დიადი გამარჯვება
9 მაისი და კავკასია XXI საუკუნეში 46

რუსეთში დიდი სამამულო ომის მონაწილეებს არ ივიწყებენ, აფასებენ და დიდი პატივისცემით ეპყრობიან 49

ზურგში
კუროორტი წყალტუბო — ომის წლებში 50

მართალი ისტორია გვჭირდება
საქართველოს ეკლესია დიდი სამამულო ომის წლებში 52

სანდაზმულობის ვადის გარეშე
ნიურნბერგის პროცესი 54

პატარა გორი დიდია
ეგ არი და გორის ცხენ! 58

ისტორიის გაკვეთილები
რეზო ჩხეიძე: დიდი ბედნიერებაა, როცა იგრძნობ, რომ შრომამ ფუჭად არ ჩაბიარა, რომ ფილმმა თავისი ადგილი ჰპოვა მაყურებლის გულში და ადამიანებს ცხოვრებაში გამოადგა 61

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი „ისტორიული მემკვიდრეობა“
მთავარი რედაქტორი თემურ ქორიძე
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5 ტელ.: 38-41-97

დიდი ომი და დიდი მთავარსარდალი

ჰიტლერმა „რუბიკონი“, თავისდა საბედისწეროდ, 1941 წლის 22 ივნისს დილის ოთხ საათზე გადალახა. ის ამ დროს 52 წლისა იყო. თითქმის იმავე ხნისა იყო იულიუს ცეზარი, როცა რუბიკონი გადალახა — 49 წელს ჩვენს წელთ აღრიცხვამდე.

ფრონტებზე მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდებოდა. მტერი სასტიკ შეტევაზე გადმოვიდა უზარმაზარ ტერიტორიაზე ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე, სიგრძით 5 ათას კილომეტრამდე. ფაშისტურმა ავიაციამ, რომელმაც ჰაერში ბატონობა დაისაკუთრა, ულმობელი დაბომბვის ქვეშ მოაქცია არა მარტო საზღვრისპირა სამხედრო ოკრუგები, არამედ ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების მშვიდობიანი მოსახლეობაც. ბრძოლებში პირველნი მესაზღვრეები ჩაებნენ, ისინი თავგანწირვით იბრძოდნენ და პირველი გმირული ფურცლები ჩაწერეს სამამულო ომის ისტორიაში. მათ დაუმტკიცეს ოკუპანტებს, რომ მათი ელვისებური ომის თეორია უტოპია იყო. ამის ნათელი დადასტურება კი ის გახლდათ, რომ საზღვრისპირა ციხე-ქალაქ ბრესტის დამცველთა შეუპოვარმა წინააღმდეგობამ აგრესორთა წინსვლა ქვეყნის სიღრმეში მთელი ერთი თვით შეაყოვნა, ეს კი ჰიტლერის იმ განცხადების ფონზე, რომ იგი რუსეთს რამდენიმე კვირაში გაანადგურებდა, ავისმომასწავებელი სენსაცია იყო.

ფრონტებიდან ჟუკოვ-შაპოშნიკოვის ინფორმაციის მოლოდინში გენშტაბის ფუნქციონირებას სტალინი ვატუტინის მეშვეობით ახორციელებს. ერთ-ერთი გამოძახების დროს ვატუტინი შესჩივლებს სტალინს, რომ, მიუხედავად გატარებული ღონისძიებისა, იგი ვერ ახერხებს ფრონტის შტატებისაგან მოწინააღმდეგის ჯარების მოქმედებაზე ზუსტი ცნობების მიღებას, და რომ გენშტაბმა ვერ მოახერხა დაკავშირებოდა ფრონტის სარდლებს კუზნეცოვსა და პავლოვს, მოცემულ მომენტში ფრონტის შტატებმა არ იციან მათი ადგილსამყოფელი. სტალინი, თავის მხრივ, ფრონტებზე შექმნილ მდგომარეობას სარდლების დაბნეულობითა და, ნაწილობრივ, მათი არაკომპეტენტურობით ხსნის, რომ მათ ომის დაწყებისთანავე გაუშვეს ხელიდან სიტუაციის მართვის სადავეები, დაკარგეს კავშირი საჯარისო შენაერთებთან, რის შედეგადაც დივიზიებსა და კორპუსებს იზოლირებულად უხდებათ მტერთან ბრძოლა ზემდგომი ინსტანციების მხრიდან ხელმძღვანელობის გარეშე. ყოველივე ამან უკიდურესად დაამძიმა მდგომარეობა ბალტიისპირეთსა და ბელორუსიაში. აქ შემოიჭრნენ მტრის სატანკო და მოტორიზებული ჯარების დიდი დაჯგუფებები, რომლებიც დიდი სისწრაფით მოიწევენ ქვეყნის სიღრმეში. ჩვენი მე-11 არმია ბრძოლებით გზას პოლოცკის მიმართულებით მიიკვლევს, მე-8 არმია იხევს რიგისკენ.

— ამხანაგო ვატუტინ, რა მოვიმოქმედოთ?

— ამხანაგო სტალინ, როგორმე რეზერვები უნდა გამოვნახოთ და მოვზიდოთ ფრონტისკენ!

— სავსებით სწორია თეორიულად, პრაქტიკული საქმიანობისთვის კი, ამხანაგო ვატუტინ, გთავაზობთ: მოსკოვის სამხედრო ოლქიდან სასწრაფოდ იქნას გადასროლილი 21-ე მექანიზირებული კორპუსი. დაუყოვნებლივ უნდა იქნას ორგანიზებული სარეზერვო ფრონტი.

სტალინი შლის ფრონტების ოპერატიულ რუკას, იწვევს ვატუტინს და ფანქრით ხელში იწყებს სარეზერვო ფრონტის პროფილისა და სიტუაციური გეგმის მონიშვნას: სუშჩევო-ნეველი-ვიტებსკი-მოგილიოვი-ჟლორბინი-გომელი-ჩერნიკოვი-მდინარე დესნას-მდინარე დნეპრის გასწვრივ, ამხანაგო ვატუტინ, უნდა განლაგდეს მე-19, მე-20, 21-ე და 22-ე არმიები. გენერალურმა შტაბმა უმოკლეს დროში განახორციელოს იგი, მოამზადოს სათანადო დირექტივა. იმოქმედეთ!

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის შტაბიდან სტალინს მოახსენეს, რომ ფრონტის ყველა მონაკვეთზე მიმდინარეობს გააფთრებული ბრძოლები. მოულოდნელი თავდასხმით გამოწვეული დაბნეულობის ნასახიც აღარ არსებობს. საბრძოლო ქვედანაყოფებში მტკიცე დისციპლინა და თავგანწირვის გრძნობა დომინირებს – განსაკუთრებულად მძიმე ბრძოლებში ის ჯარისკაცები არიან ჩაბმული, ვინც დუბნო-ვლადიმირ-ვოლინსკის მისადგომებს იცავენ. რევა-რუსკის გამაგრებულ რაიონს გენერალ მიკუშევის დივიზია იცავს. მისი მტკიცე და საზრიანი ხელმძღვანელობის შედეგად მტერმა დიდი დანაკლისი განიცადა და იძულებული გახდა, უკან დაეხია პერემიშლსკის გამაგრებულ რაიონში. დემენტიევის 99-ე დივიზიამ, მესაზღვრეთა ბატალიონთან ერთად, 23 ივნისს ძლიერი კონტრშეტევა განახორციელა ქალაქის მიმართულებით და აიძულა მტერი ქალაქი დაეთმო.

გაეცნო რა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე არსებულ სიტუაციას, სტალინმა გენშტაბის მეშვეობით გასცა ბრძანება — არ შეენელებინათ, განეგრძოთ კონტრშეტევები ფრონტის შესაბამის უბნებზე და, შესაძლებლობის შემთხვევაში, შეჭრილიყვნენ მტრის ტერიტორიაზე.

მართლაც, ფრონტის სარდლობამ გენერალ-პოლკოვნიკ კირპონოსის ხელმძღვანელობით, ბრწყინვალედ შეასრულა მთავარსარდლობის აღნიშნული ბრძანება. ფრონტის მიერ განხორციელებულ იქნა ამ ომში პირველი გამანადგურებელი კონტრშეტევა. 24 ივნისს შეტევაზე პირველი მე-8 მექანიზირებული კორპუსი გადავიდა, მას მე-15, ასევე მექანიზირებული კორპუსი მიჰყვა. ორივე კორპუსი კარგად გაწვრთნილი პირადი შემადგენლობითა და უახლესი ტიპის ტანკებით იყო დაკომპლექტებული. აღნიშნული კორპუსების კვალიფიციური ხელმძღვანელობისა და გმირული ბრძოლების შედეგად მთლიანად იქნა განადგურებული გერმანელთა 57-ე დივიზია და 48-ე მოტოკორპუსის მარჯვენა ფლანგი. ეს გახლდათ წითელი არმიის მიერ ვერმახტისთვის მიყენებული პირველი გამანადგურებელი დარტყმა, რამაც სერიოზულად შეაშფოთა სახმელეთო ჯარების სარდლობა, კერძოდ, მისი მთავარსარდალი ბრაუხიჩი და გენშტაბის უფროსი გალდერი. თავიანთ შეშფოთებას ისინი უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბში გაგზავნილ ომის პირველი დღეების ანგარიშშიც გამოხატავდნენ, სადაც აღნიშნავდნენ, რომ აღმოსავლეთის ფრონტზე წააწყდნენ სრულიად მოულოდნელ სიტუაციას... რომ ნაცისტური დაზვერვის მიერ მოპოვებული ინფორმაცია, თითქოს რუსეთი აბსოლუტურად მოუმზადებელია ომისთვის, წითელი არმიის სამეთაურო შემადგენლობა რეპრესირნებულია, შენარჩუნებული კი — დემორალიზებული, წარმოადგენს ბოროტ დეზინფორმაციას. სინამდვილეში ჩვენი ჯარების პირისპირ აღიმართა მრისხანე, შეუპოვარი და კარგად ორგანიზებული სამხედრო ძალა, რომელიც ჩვენს სატანკო სოლს საომარი ტაქტიკის ღრმა ცოდნით უპირისპირებს სიღრმიდან მოზიდულ ახალ-ახალ ძალებს. მოწინააღმდეგემ, ჩვენთვის მოულოდნელად, მძლავრი სატანკო ძალებით შეტევა განახორციელა ჩვენი I სატანკო ჯგუფის სამხრეთის ფლანგზე... და საგრძნობ, ჩვენთვის არასახარბიელო შედეგებსაც მიაღწია. მათი აქტივობა სხვა ცალკეულ უბნებზეც შეინიშნებოდა... და რომ, აქედან გამომდინარე, მხოლოდ ბრიყვულ დემაგოგიად შეიძლება იქნას აღქმული იოდლის თავდასხმამდე რამდენიმე საათით ადრე გამოთქმული „მოსაზრება“, რომ იგი საბჭოეთის მუყაოს ხუხულას სამ კვირაში დაამსხვრევს... ასეთი გახლდათ ბრაუხიჩ-გალდერის მიერ ომის პირველი დღეების შეფასება-ანალიზი... მთავარი მასში კი ის გახლავთ, რომ იგი მთლიანად აქარწყლებს ანტისაბჭოთა ვაიისტორიკოსების დემაგოგიას იმის შესახებ, თითქოს ომის პირველ დღეებში, ფრონტის მთელს პერიმეტრზე საბჭოთა ჯარები პანიკურ სიტუაციაში წინააღმდეგობის გაწევის გარეშე იხევდნენ, გარბოდნენ უკან.

შემდეგში ცნობილი გახდა, რომ აბვერის შეფი კანარისი, რომელიც იმავდროულად ინგლისის დაზვერვის აგენტიც იყო, კონფლიქტის დაჩქარების მიზნით, რაც ინგლისის ინტერესებს გამოხატავდა, ჰიტლერს გამიზნულად აწვდიდა საბჭოეთის, პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების დამკნინებელ მონაცემებს, რომლებმაც ჰიტლერს ქმედებები დააჩქარებინეს.

დასავლეთის ფრონტზე აღინიშნებოდა უნუგეშო მდგომარეობა, რაც გამოწვეული იყო ამ ფრონტის სარდლობის დანაშაულებრივი უუნარობით არასტანდარტული სიტუაციაში ეხელმღვანელათ მათზე დაქვემდებარებულ ჯარებისათვის. მათ ომის დაწყების პირველი წუთებიდანვე ხელიდან გაუშვეს საჯარისო ქვედანაყოფების მართვის სადაოეები, დაკარგეს კავშირი არმიის, კორპუსის, დივიზიის შტატებთან. ამის გამო ზემოდან ხელმძღვანელობის გარეშე დარჩენილი მე-3 და მე-10 არმიები მტერმა უმარტივესი ტაქტიკური მანევრით მინსკის დასავლეთით ალყაში მოაქცია, ხოლო მე-4 არმია აიძულა უწესოდ დაეხია აღმოსავლეთისაკენ. ამ მოვლენებთან დაკავშირებით, 26 მაისს სტალინი თათბირს მართავს ტიმოშენკოს, ჟუკოვისა და ვატუტინის მონაწილეობით. იგი მიუთითებს მათ დაშვებულ მიუტევებელ შეცდომებზე, კარნახობს სათანადო განკარგულებებს და მკაცრად მოითხოვს სიტუაციის სასწრაფოდ გამოსწორებას. სარდლები მძიმე განწყობილებით ტოვებენ სტალინის კაბინეტს.

მეორე დღეს, 27 ივნისს დილით, სტალინი ამავე საკითხზე თავისთან იწვევს ჟუკოვსა და ვატუტინს, რომლებსაც შემდეგ მოვალეობას აკისრებს: სასწრაფოდ აღმოაჩინონ და დაუკავშირდნენ ფრონტის ყველა ქვედანაყოფის მეთაურს, განუმარტონ მათ არსებული ვითარება, მოწინააღმდეგისა და თავიანთი ნაწილების მდგომარეობა, დეტალურად დაუხატონ ადგილმდებარეობა, სადაც მტრის მექანიზირებული ჯარები განლაგდნენ, მიუთითონ იმ ბაზების ადგილმდებარეობა რეკვიზიტები, საიდანაც უნდა მოამარაგონ თავიანთი ქვედანაყოფები ყველაფერ იმით, რაც საჭიროა ბრძოლების განახლებისთვის... ზუსტად განსაზღვრონ, თუ რომელ ნაწილებს მიეწოდოს თვითმფრინავებით საწვავი და საბრძოლო მასალები, რომ მათ არ მოუხდეთ ძვირადღირებული ტექნიკის განსაკუთრებით მძიმე ტექნიკისა და მძიმე არტილერიის მიტოვება.

28 ივნისს სტალინს მოახსენეს, რომ ჟუკოვმა, ვატუტინმა და მთლიანად გენშტაბმა არცთუ ბრწყინვალედ გაართვეს თავი სტალინის მიერ წინა დღით მიცემული მითითებების შესრულებას. სტალინი 29 ივნისს პირადად ორჯერ ეწვია თავდაცვის სახალხო კომისარიატს და მთავარსარდლობის ბანაკს. მან მკაცრად გააკრიტიკა სახალხო კომისრის — ტიმოშენკოსა და გენშტაბის უფროსის — ჟუკოვის საქმიანობა, უაღრესად არადამაკმაყოფილებლად შეაფასა ის. სტალინმა ხაზი გაუსვა იმ მდგომარეობას, რომ ტიმოშენკო და ჟუკოვი დღემდე ვერ გაერკვნენ დასავლეთის ფრონტზე არსებულ სიტუაციაში. მათ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ფრონტზე არსებულ მდგომარეობაზე. არ იციან, ვის ხელშია მინსკი. არ იციან, სად არის მოწინააღმდეგე. არ იციან, ვის ხელშია არმიები, ბოლოს და ბოლოს, ისიც ვერ გაურკვევიათ, თუ სად იმყოფება ფრონტის სარდალი. სტალინმა გულისწყრომა და სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ სახალხო კომისარმა და გენშტაბის უფროსმა თავი ვერ გაართვეს მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. ვერ გაამართლეს წითელი არმიისა და საბჭოთა მოქალაქეების იმედები... მოისმინა რა ის მწირი ცნობები, რაც გენშტაბს ფრონტის შესახებ გააჩნდა, სტალინმა ბრძანა, უთანასწორო ბრძოლებში გადარჩენილი საბრძოლო შენაერთები გამოყვანილი იქნან სამი მიმართულებით:

1. პოლკის ამავე სახელწოდების გამაგრებულ რაიონებს მიღმა;

2. მინსკის ამავე სახელწოდების გამაგრებულ რაიონებს მიღმა;

3. მესამე მიმართულება გლუსკის ტყეების გავლით ბობრუისკისკენ.

აღნიშნული მიმართულებით მოძრავ ნაწილებს წარმატებებად და გმირობად ჩაეთვლებათ, თუ ისინი გზადაგზა, მტრის მექანიზებულ ღამის თავდასხმებს განახორციელებენ, დასძინა სტალინმა.

მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, ვერც დაგვიანებით გაცემულმა პოზიტიურმა განკარგულებებმა და ვერც ჯარისკაცთა მასიურმა გმირობამ ვერ იხსნა დასავლეთის ფრონტი კატასტროფისგან. გერმანელები იმ დღესვე შეიჭრნენ მინსკში და დაიკავეს იგი.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ბელორუსიაში ჩვენი ჯარების დამარცხება, ძირითადად, განპირობებული იყო განვითარებული მოვლენებისადმი ამ ფრონტის სარდლის პავლოვისა და შტაბის უფროსის — კლიმოვსკის არაადექვატური, უპასუხისმგებლო დანაშაულებრივი მიდგომით.

30 ივნისს სტალინმა პავლოვი თავისი მოადგილეებითურთ ფრონტიდან გაიწვია, მოხსნა ისინი თანამდებობებიდან და სამხედრო ტრიბუნალს გადასცა. დასავლეთის ფრონტის სარდლად დაინიშნა ტიმოშენკო, რომელსაც ფრონტის გაძლიერების მიზნით სარეზერვო ფრონტიდან რამდენიმე არმია გადაეცა. იმავე დღეს, 1941 წლის 30 ივნისს, სტალინი ქმნის და სათავეში უდგება თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტს, რომლის შემადგენლობაში შეჰყავს მოლოტოვი (თავმჯდომარის მოადგილე), მალენკოვი, ბერია, ვოროშილოვი. მოგვიანებით იგი მასში შეიყვანს ბულგანინსა და ვოზნესენსკის.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი წარმოადგენდა ქვეყნისა და ომის მართვის უმაღლეს ორგანოს, რომელსაც მთლიანად ემორჩილებოდა როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო ხელისუფლება. მას ქვეყნის ყველა რეგიონში თავისი წარმომადგენლები ჰყავდა, რომლებიც ფხიზლად, მთელი სიმკაცრით აკონტროლებდნენ კომიტეტის მიერ გამოტანილი დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულების მიმდინარეობას. კომიტეტის სხდომები ნებისმიერ დღეს და ნებისმიერ საათებში იმართებოდა, როგორც კრემლში, ასევე სტალინის უახლოეს აგარაკზე. მასზე რეგულარულად იხილებოდა და წყდებოდა იმ დროის ყველაზე საჭირბოროტო და მნიშვნელოვანი საკითხები. როგორც კომიტეტის სხდომების მონაწილენი იხსენებენ, მასზე ხშირად წამოიჭრებოდა მწვავე კამათი, ყველას ჰქონდა საშუალება, გამოეთქვა თავისი აზრი და გამოეხატა საკითხთან კრიტიკული დამოკიდებულება. ჩვეულებრივ, სტალინი, ჩიბუხით ხელში, მსუბუქი ნაბიჯებით მიმოდიოდა მაგიდის გასწვრივ და ყურადღებით უსმენდა მოკამათეებს. თვითონ სიტყვაძუნწი, სხვებსაც მოუწოდებდა მოკლედ და გარკვევით ესაუბრათ. სხდომებს ხსნიდა ყოველგვარი შესავლის გარეშე. საუბრობდა წყნარად, თავისუფლად და მხოლოდ განსახილველი საკითხის გარშემო. იყო ლაკონური, აზრებს ყველასათვის გასაგებად აყალიბებდა. კომიტეტის სხდომაზე ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტაზე კამათი თუ წამოიჭრებოდა, გადამწყვეტი სიტყვა, რა თქმა უნდა, სტალინისა იყო, რის შემდეგაც კამათი მთავრდებოდა. სამამულო ომის პერიოდში თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა ათეულათასობით სამხედრო და სამოქალაქო ხასიათის დადგენილება და გადაწყვეტილება მიიღო, რომლებიც ოპერატიულად, მკაცრად, სწრაფად შედიოდა მოქმედებაში. სწორედ ამ ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა უზრუნველყვეს საბჭოეთში არსებული ყველა რესურსის მობილიზაცია კონსოლიდაცია, რამაც განაპირობა კიდეც ქვეყნის გამარჯვება დიდ სამამულო ომში.

სტოიკური გადაწყვეტილება

სტალინი მარტოდმარტოა თავის კაბინეტში ფანქრით ხელში, მომავალი საფრონტო ოპერაციების რუკებს დასცქერის. შეაქვს მათში მიმდინარე პროცესების შესაბამისი კორექტივები და ცვლილებები. მოულოდნელად შემოიჭრება მოლოტოვი.

— სოსო, — მიმართავს სტალინს ყოველგვარი შესავლის გარეშე, — გერმანიის მხარე შვედეთის წითელი ჯვრის თავმჯდომარის, ბერნადოტის მეშვეობით შუამდგომლობს თქვენი ვაჟიშვილის — იაკობის გაცვლას გენერალ ფელდმარშალ პაულიუსში.

სტალინი ხანგრძლივი დუმილის შემდეგ სცილდება მაგიდას, თვალებში ჩახედავს მოლოტოვს და იტყვის: ამ საკითხზე შენი აზრი მაინტერესებს, ვიაჩე!

— მე ამ საკითხში მრჩევლად ვერ გამოვდგები, — პასუხს არ აყოვნებს მოლოტოვი, — ერთს კი ვიტყვი, პაულიუსი დღეისათვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს ჩვენთვის.

— ასეთი პასუხი ხომ არ ნიშნავს, რომ შენ თანახმა ხარ გაცვლაზე, — უმალ რეაგირებს სტალინი.

— კი, ნიშნავს, — უმალვე პასუხობს მოლოტოვი.

სტალინი: — ვიაჩე, გთხოვ ყურადღებით მომისმინო და, თუ რაიმე შემეშალა, შემისწორე.

ჩემის აზრით, ვერმახტის ბელადებმა, დარწმუნდნენ რა იმაში, რომ ჩვენთან ომის მოგება ჩვეულებრივი გზებით შეუძლებელია, გადაწყვიტეს, მოგვიწყონ გლობალური მასშტაბის იდეოლოგიური და პოლიტიკური დივერსია.

— რას გულისხმობ?

— დავუშვათ და მე, სტალინმა, ჩემი შვილი სამხედრო ტყვე, ლეიტენანტი იაკობ ჯუღაშვილი გავცვალე გერმანელ სამხედრო ტყვეზე გენერალ-ფელდმარშალ პაულიუსზე. რას იფიქრებენ, რას იტყვიან ამაზე სხვა ტყვე ჯარისკაცები, ისინიც ხომ შვილებია ჩემი?

რას იფიქრებენ, რას იტყვიან სხვა ჯარისკაცების მამები? რას იფიქრებენ წითელარმიელები, ოფიცრები და გენერლები? ასეთ შემთხვევაში, ყველა საბჭოთა ტყვე ჯარისკაცს აქვს მორალური და იურიდიული უფლება, მოითხოვოს თავისი გაცვლა ფელდმარშალზე. ტყვეობიდან თავის დაღწევა ხომ ყოველი მათგანის სანუკვარი ოცნებაა.

და სტალინს ხომ ყოველი მათგანი თავის მამად თვლის, მაშინ რატომ მაინც და მაინც იაკობი უნდა გაიცვალოს ფელდმარშალზე?

ფაშისტები მამის გრძნობებზე თამაშობენ? ავიწყდებათ, რომ სტალინისთვის ყველა შვილი ერთნაირად შვილია, რომ სტალინი ვერ გამოარჩევს მრავალთაგან ერთს. ერთიც იქ, სადაც ყველანი.

ასე რომ, ეს წინადადება ცბიერი მტრის მორიგი ფანდია, რომლის განხორციელება გამოიწვევს სტალინის, როგორც მთავარსარდლის, დისკრედიტაციას, სტალინის, როგორც ქვეყნის მამის, დისკრედიტაციას.

იგი გამოიწვევს მუშურ-გლეხური წითელი არმიის დისკრედიტაციას, საბჭოთა სახელმწიფო ნყობილების დისკრედიტაციას.

იგი გამოიწვევს ჩვენი ფრონტისა და ზურგის საყოველთაო დემორალიზაციას, წითელარმიელის ბრძოლისუნარიანობის მთლიან მოშლას.

აი, მოკლე ჩამონათვალი იმისა, თუ რის მიღწევას აპირებენ ამ ფანდით ვერმახტის მესვეურნი.

...და ყოველივე ზემოქმულიც რომ არა, ჩვენი პასუხი ერთადერთია: საბჭოთა შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობა ფელდმარშალს არ გაცვლის უმცროს ოფიცერზე.

მოლოტოვი, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში თავჩაქინდრული იჯდა და სახეზე ოფლს და თვალებზე ცრემლებს იწმენდდა, გაბზარული ხმით იტყვის: „სხვა პასუხს სტალინისგან მე არ ველოდი და, ალბათ, არც — ჰიტლერი“.

ომის მონაწილენი იხსენებენ: როცა ფრონტებმა გაიგეს, რომ სტალინმა უარი თქვა თავისი ვაჟიშვილის ფაშისტ გენერალში გაცვლაზე (ნაცისტური პროპაგანდა საპირისპიროს ავრცელებდა) ჯარისკაცები და ოფიცრები რაღაც არაბუნებრივი სიამაყის გრძნობამ მოიცვა. სიამაყის გრძნობასთან ერთად, მათ პასუხისმგებლობის გრძნობაც გაუათკეცდათ, ისინი კიდევ უფრო შეუპოვრად ეკვეთნენ მტერს, გაშმაგებით შეუტიეს მის პოზიციებს.

...და, რა თქმა უნდა, სინანულს, ირონიულ ღიმილს იწვევს ანტისტალინური ბრიყვული დემაგოგია, რომელიც აღნიშნულ ფაქტზე დაყრდნობით „ამტკიცებს“, თითქოს სტალინი იმდენად სასტიკი დესპოტი იყო, საკუთარი შვილიც კი არ დაინდო. ხელიდან გაუშვა ერთადერთი რეალური შანსი, დაეხსნა იგი ფაშისტური ტყვეობის ჯოჯოხეთიდან და წამებით სიკვდილისთვის გასწირა.

მართლაც, რა მოხდებოდა, სტალინს რომ გადაედგა საბედისწერო ნაბიჯი, აჰყოლოდა ჩვეულებრივი მამის გრძნობებს და იაკობი პაულიუსში გაეცვალა? მოხდებოდა ის, რაც სტალინმა მოლოტოვთან საუბარში განაცხადა, და კიდევ ის, რომ მსოფლიო ინფორმაციის საშუალებები, პირველ რიგში, გებელსი, პლანეტას მოჰფენდა იმ ამბავს, რომ სტალინმა, რომელიც ჩვეულებრივ ტყვეს სამართლებრივ პასუხისმგებლობას აკისრებს, თავისი ტყვე შვილი, გერმანელ ტყვე ფელდმარშალზე გაცვალა... და მაშინ იგი უკვე აღარ იქნებოდა ყველა დროისა და ყველა ხალხის ბრძენი მამა და მასწავლებელი დიდი სტალინი: ის იქნებოდა ისეთივე ორდინალური სახელმწიფო მოღვაწე, თავისი ხალხის მოღალატე მმართველი, როგორებიც იყვნენ — ხრუშჩოვი, გორბაჩოვი, ელცინი.

ᲒᲘᲕᲘ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ნაწყვეტი წიგნიდან
„სტალინი, პერმანენტული გამარჯვების ღმერთი“

ის უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა...

უინსტონ ჩერჩილი, დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი:

სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი. თეირანის კონფერენცია. 1943 წელი

„...მე ჩავედი კრემლში და პირველად შევხვდი დიდ რევოლუციონერ ბელადს, ბრძენ მოღვაწესა და მეომარს... მხნედ და იმედიანად დავაბიჯებ ქვეყანაზე იმ ადამიანთან მეგობრობითა და ურთიერთობით გაამაყებული, ვისმა დიდებამაც მარტო რუსეთს კი არა, მთელ მსოფლიოს გადაუარა“.

„ბატონებო! თუ ჩვენ გვინდა, ვიყოთ და დავრჩეთ თავისუფალი სამყაროს სათავეში, ჩვენი ვალი ვიცოდეთ და ჯეროვანი შეფასება მივცეთ ჩვენს მტრებს, განსაკუთრებით გამოჩენილ პიროვნებებს. დღეს ასეთად მინდა დავასახელო გენერალისიმუსი სტალინი.

რუსეთისთვის დიდი ბედნიერება იყო, რომ ქვეყანას მძიმე განსაცდელის ჟამს სათავეში ჩაუდგა გენიოსი და ურყევი მხედართმთავარი სტალინი. იგი იყო ყველაზე გამოჩენილი პიროვნება, რომელიც შეეფერებოდა ჩვენი ცვალებადი და მკაცრი დროის იმ პერიოდს, რომელშიც მას უხდებოდა ცხოვრება. სტალინი იყო არაჩვეულებრივად ენერგიული და ერუდირებული, უდრეკი ნებისყოფის, სასტიკი, ულმობელი ადამიანი როგორც საქმეში, ისე — საუბრისას, ვისაც, მეც კი, აქ, ბრიტანეთის პარლამენტში აღზრდილი, ვერ ვუწევდი წინააღმდეგობას.

სტალინს, უწინარეს ყოვლისა, იუმორისა და სარკაზმის დიდი გრძნობა და თქმულის ზუსტად აღქმის განსაცვიფრებელი ნიჭი ჰქონდა, თავის სტატიებსა და გამოსვლებს მხოლოდ თვითონ წერდა და მათში ყოველთვის იგრძნობოდა შემსრულებლის ძალა, რომელიც სტალინში იმდენად დიდი იყო, რომ ყველა ხალხისა და დროის ქვეყნის ხელმძღვანელთა შორის განუმეორებლად წარმოჩინდებოდა.

სტალინი ჩვენზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა. ადამიანებზე მის გავლენას ანალოგი არ გააჩნდა... როცა ის იალტის საკონფერენციო დარბაზში შემოდიოდა, ჩვენ თითქოს ბრძანებაზე ვდგებოდით და, რა საოცრადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, რატომღაც ხელები შარვლის ნაკერების გასწვრივ გვქონდა გაჭიმული.

ის ღრმა, გააზრებულ სიბრძნეს ფლობდა. იყო ყველაზე რთული, გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსვლის უბადლო ოსტატი, ყველაზე კრიტიკულ და საზეიმო მომენტებში თანაბრად თავდაჭერილი, არასოდეს არ ჰყვებოდა ემოციებს და არ ეძლეოდა ილუზიებს. იგი უჩვეულო და რთული პიროვნება იყო. მან შექმნა და დაიქვემდებარა ვეებერთელა იმპერია, ის იყო კაცი, რომელიც თავის მტრებს თავისივე მტრის ხელით ანადგურებდა, გვაიძულებდა ჩვენ, რომელთაც დაუფარავად იმპერიალისტებს გვიწოდებდა, იმპერიალისტების წინააღმდეგ გვებრძოლა.

სტალინი იყო უდიდესი დიქტატორი, რომელსაც მსოფლიოში ტოლი არ ჰყოლია. მან მიიღო ხისკავიანი რუსეთი და დატოვა ატომური იარაღით აღჭურვილი.

რაც არ უნდა თქვან მასზე, ასეთ ადამიანებს ისტორია და ხალხი არ ივიწყებენ!“

ფრანკლინ რუზველტი, აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი:



„...მასთან მუშაობა დიდი სიამოვნებაა. წვრილმანები გამორიცხულია. ის აყალიბებს საკითხს, რომლის განხილვაც სურს და ამ საკითხიდან არც აქეთ და არც იქით არ იხრება“.

ᲐᲓᲝᲚᲤ ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘ:

„...უდაოდ გვმართებს სტალინსაც ჯეროვანი პატივისცემით მოვეკიდოთ, ერთგვარად ის... გენიალური ტიპია“.

ᲘᲝᲐᲰᲘᲛ ᲠᲘᲑᲔᲜᲢᲠᲝᲠᲘ,
ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ:

„ჩვენი მთავარი და ყველაზე მონინააღმდეგე მტერი საბჭოთა კავშირია, სტალინი კი, როგორც სტრატეგი და სახელმწიფო მოღვაწე, უფრო ნიჭიერი, ვიდრე ჩერჩილი და რუზველტი ორივე ერთად“, რაზედაც ჰიტლერი დაეთანხმა.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠ ᲘᲓᲔᲜᲘ,
ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ:

„სტალინმა თავდაპირველად ჩემზე შთაბეჭდილება თავისი ნიჭიერებით მოახდინა და მასზე აზრი არ შემცვლია. მასზე ღაღადებდა თვითონ მისი პიროვნება, რომლის შეფასებაც გაზვიადებას არ საჭიროებდა. მას ჰქონდა კარგი ბუნებრივი, ეტყობა, ქართული წარმომავლობის მანერები. მე ვიცი, რომ ის იყო შეუბრალებელი, მაგრამ პატივს ვცემ მის გონებას და სიმპათიურადაც კი ვარ მის მიმართ განწყობილი, რისი დასაბამი ჩემი თავისთვის ბოლომდე ვერც ამიხსნია. ალბათ, ეს სტალინის პრაგმატიზმის შედეგი იყო. ჩქარა გავიწყდებოდა, რომ შენ პარტიელ ლიდერთან ლაპარაკობდი... მე მისი სახით ყოველთვის საინტერესო, მოღუშულ და მკაცრ თანამოსაუბრეს ვხედავდი, – ხშირად ასეთ განწყობაზე ყოფნას მას განსახილველი საკითხები ავალდებულებდა. მე არ მცნობია თათბირზე თავისი თავის ასე მფლობელი სხვა ადამიანი. სტალინი ღრმად იყო ჩახედული ყველა საკითხში, რომლებთანაც შეხება ჰქონდა, ის წინდახედულობითა და ოპერატიულობით გამოირჩეოდა... ყოველივე ამის უკან, უეჭველად, ძალა იდგა“.

ᲰᲐᲠᲘ ᲰᲝᲞᲙᲘᲜᲡᲘ,
Ფ. ᲠᲣᲖᲕᲔᲚᲢᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡᲘ ᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘ:

„...მე დარწმუნებული ვარ ამ ფრონტის წარმატებაში. აქ სუფევს უსათუოდ გამარჯვების მტკიცე რწმენა“.

შეხვედრის დროს არ წარმოთქმულა არც ერთი ზედმეტი სიტყვა, არ ყოფილა არავითარი ზედმეტი ჟესტი, არავითარი მანჭვა. გეგონა, რომ რაღაც შესანიშნავად გაწონასწორებულ, გონიერ მანქანას ელაპარაკებოდი. იოსებ სტალინმა იცოდა, რაც სურდა, იცოდა, რაც რუსეთს სურდა და ვარაუდობდა, რომ ეს თქვენც იცოდით... თუ ის ყოველთვის ისეთია, როგორსაც მე ვუსმენდი, ის ფუჭად არც ერთ სიტყვას არ ამბობს. ...და ...იმის რწმენას გვიქმნის, რომ რუსეთი გაუძლებს გერმანული არმიების იერიშებს“.

„ჩვენ აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყავით, რომ მოვიპოვეთ მშვიდობის პირველი დიადი გამარჯვება, „ჩვენ“-ში მე ვგულისხმობ ყველა ჩვენგანს, მთელ ცივილიზებულ კაცობრიობას. რუსებმა გვიჩვენეს, რომ მათ ძალუძთ გონივრულად და გამჭრიახულად იმოქმედონ და არც პრეზიდენტს, არც რომელიმე ჩვენგანს ოდნავადაც არ გვეპარება ეჭვი, რომ შევძლებთ მათთან შეგუებას და თვალმისაწვდომ მომავალში ერთობლივი საქმეების კეთებას, მაგრამ მე ერთი რამეც უნდა ვთქვა, ჩვენგან არავის შეეძლო წინასწარ განეჭვრიტა, სტალინს რომ რამე დამართოდა, როგორი შედეგები გვექნებოდა. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით იმაში, რომ შეგვეძლო დავნდობოდთი მის გონებას, გრძნობასა და გაგებას, მაგრამ, ჩვენი ეს რწმენა არ ვრცელდებოდა იმ გარემოებებსა და იმ მოღვაწეებზე, რომლებიც მის ზურგს უკან იმყოფებოდნენ იქ, კრემლში“.

Ჯ. ᲰᲔᲚᲘ,
ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ:

„სტალინი გასაოცარი პიროვნებაა, ის დაჯილდოებულია არაჩვეულებრივი ნიჭითა და გონებით, აგრეთვე, პრაქტიკულ საკითხთა არსის წვდომის უნარით. ის, რუზველტთან და ჩერჩილთან ერთად, ერთ-ერთია იმ ლიდერთაგან, რომლებსაც მხრებზე აწვებათ ისეთი პასუხისმგებლობა, რომლის მსგავსი პასუხისმგებლობა არც ერთ ადამიანს არ დაეკისრება უახლოეს 500 წელიწადში“.

შარლ დე გოლი,
საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი:

„სტალინს კოლოსალური ავტორიტეტი ჰქონდა, და არა მარტო რუსეთში, მას ძალუძდა „ესწავლებინა“ თავისი მტრებისათვის, რომ დამარცხებისას პანიკას არ მისცემოდნენ და გამარჯვებებით არ ენეტარათ, გამარჯვებები კი მას დამარცხებებზე მეტი ჰქონდა. სტალინური რუსეთი მონარქიასთან ერთად დაღუპული წინანდელი რუსეთი არაა, მაგრამ სტალინური სახელმწიფო სტალინის ღირსეული მემკვიდრეობის გარეშე განწირულია“.

ალექსანდრ კერენსკი,
რუსეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი:

„სტალინმა რუსეთი ფერფლიდან აღადგინა, დიდ სახელმწიფოდ აქცია, ჰიტლერი გაანადგურა, რუსეთი და კაცობრიობა გადაარჩინა“.

ჯოზეფ დევისი, აშშ-ის ყოფილი ელჩი სსრ კავშირში:

„...ი. სტალინი, როგორც ჭეშმარიტად დიდი ადამიანი მეტად თავმდაბალი და მოკრძალებულია. ის უარყოფს მისდამი გამოთქმულ ყოველგვარ ქება-დიდებას უდიდესი სამრეწველო ობიექტების აშენებისთვის, რომელთა ნახვა მე მომინდა, და მიაჩნია ისინი ქვეყნის ათასობით ინჟინერ-ტექნიკოსთა თანამოღვაწეთა და მუშა-მოსამსახურეთა დაძაბული შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგად... რომ არა მოვლენათა მისეული განჭვრეტა, კეთილგონიერება და დაუოკებელი ნებისყოფა, შეუძლებელი იქნებოდა მძლავრი საბჭოთა შეიარაღებული ძალების შექმნა და გერმანელებს, საბჭოთა საზჭვრის გადალახვისას წინ არ აღუდგებოდა ტანკებით, ქვემეხებითა და თვითმფრინავებით შეიარაღებული წითელი არმია, რომელმაც შესაძლებლობა არ მისცა ჰიტლერს, საბჭოთა კავშირის დამარცხების შემთხვევაში, ბატონობა დაემყარებინა ევრაზიაზე, საბოლოოდ აფრიკაზე და მათ მიმდებარე ზღვებზე“.

ა. ვასილევსკი,
მარშალი, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი:

„...ის სამხედრო კაცი არ იყო, მაგრამ გენიალური გონება ჰქონდა. შეეძლო ღრმად ჩაწვდომოდა საქმის არსს და ეკარნახა სამხედრო გადაწყვეტილებანი...

...სტალინი კარგად ერკვეოდა არა მხოლოდ სამხედრო სტრატეგიაში, რაც მას იოლად ძალუძდა, რადგან პოლიტიკური სტრატეგიის ოსტატი იყო, არამედ — ოპერატიულ ხელოვნებაშიც. ის ცოდნა, რომელიც მას სამხედრო ტაქტიკისა და ოპერატიული ხელოვნების სფეროებში ჰქონდა, დიდად აღემატებოდა ტაქტიკის ცოდნას...

ვფიქრობ, რომ სტალინი უეჭველად შეიძლება მივაკუთვნოთ გამოჩენილი მხედართმთავრების ჯგუფს“...

„სტალინს გასაოცრად დიდი მეხსიერება ჰქონდა. მე არ შევხვედრივარ ადამიანებს, რომლებსაც, მას რომ ახსოვდა, იმდენი რამ ხსომებოდათ, სტალინი იცნობდა არა მხოლოდ ყველა ფრონტისა და არმიის ხელმძღვანელს (ისინი კი ასზე მეტი იყვნენ), არამედ ზოგიერთი კორპუსისა და დივიზიის ხელმძღვანელსაც, აგრეთვე, თავდაცვის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელ მუშაკებსაც, რომ არაფერი ვთქვათ ცენტრალური და საოლქო პარტიული და სახელმწიფო აპარატის ხელმძღვანელებზე. მთელი ომის მანძილზე ი.ბ. სტალინს მუდამ ახსოვდა სტრატეგიული რეზერვების სახეობათა რაოდენობრივი მონაცემები და შეეძლო ნებისმიერ დროს დაესახელებინა ესა თუ ის ფორმირება...

ის არ საჭიროებდა გამუდმებულად სხვადასხვა სახის მონაცემებს. კარგად იცნობდა ვითარებას ფრონტებზე, მხედართმთავართა დადებით და უარყოფით მხარეებსაც. იმას, თუ რამდენად შეეძლო მრეწველობას ფრონტების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ფლობდა ზუსტ ცნობებს უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის განკარგულებაში არსებულ შეიარაღების მარაგებზე. ჯარებისთვის ასე უცილობელ არტილერიაზე, ტანკებზე, თვითმფრინავებზე, საბრძოლო მასალებზე, საწვავზე და თვითონ უნაწილებდა მათ ფრონტებს“.

ᲐᲜᲓᲠᲔᲘ ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲝ,
ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ:

„...ყველაფერი, რაც სტალინს შეეხებოდა, ყველას, განსაკუთრებით ჩვენ, შედარებით ახალგაზრდებს, გვაინტერესებდა, ყოველთვის ყურადღებით ვაკვირდებოდით მას, ვაფიქსირებდით მის ყოველ სიტყვასა და ჟესტს. სტალინის გვერდით ყოფნა, მით უმეტეს, მასთან ლაპარაკი, ვიწრო წრეში მისი გამონთქვამების მოსმენა ჩვენთვის რაღაც განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენდა. სტალინის ლაპარაკისა და მოქმედების მოწმე კარგად აცნობიერებდა, რომ მის წინ იმყოფებოდა ადამიანი, რომლის ნება-სურვილზე დიდად არის დამოკიდებული ქვეყნისა და ხალხის, კიდევ მეტი, მსოფლიოს ბედ-იღბალი...

„...სტალინის ყურადღება, მეხსიერება, დღევანდელობის შედარებას თუ მოვიშველიებთ, ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანას მოგაგონებდათ, რომელიც არაფერს არ გამოტოვებს ხოლმე. მას ნათელი, არაჩვეულებრივი და განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა“.

„სტალინი უაღრესად ღრმა განათლებული ადამიანი იყო. არავითარ ფორმალურ განათლებას არ შეეძლო მიეცა მისთვის ის, რაც მისცა მას თავის თავზე მუდმივმა დამოუკიდებელმა მუშაობამ. სწორედ ასეთი ტიტანური შრომის შედეგი იყო საყოველთაოდ ცნობილი სტალინური ენა, ურთულესი აზრის ასაგებად და პოპულარულად ჩამოყალიბების მისებრ განსაცვიფრებელი უნარი.

...ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ სტალინს სხდომების მსვლელობისას თან არ ჰქონდა არავითარი საქაღალდე და ჩანაწერი... ასე იყო თეირანის, იალტისა და პოტსდამის საერთაშორისო კონფერენციებზეც. მერეც არც ერთხელ არ მინახავს, რომ რომელიმე თათბირზე მას ხელთ ჰქონოდა ფანქარი ან კალმისტარი...

...თათბირებზე და საერთაშორისო კონფერენციების სხდომებზე ის ყოველთვის უაღრესად მომზადებული მოდიოდა. საერთაშორისო კონფერენციებზე საბჭოთა კავშირის სახელით, როგორც წესი, ყოველთვის ის გამოდიოდა. როცა ამის აუცილებლობა იქმნებოდა, სტალინი მოკავშირეებისადმი მკაცრ პოზიციას იკავებდა და გადაჭრით იცავდა სსრ კავშირის ინტერესებს.

მას, როგორც საბჭოთა დელეგაციების ხელმძღვანელს, უდიდესი წვლილი მიუძღვის თეირანის, იალტის, პოტსდამის კონფერენციების გადაწყვეტილებათა შემუშვებაში, საბჭოთა კავშირის არსებითი ინტერესების დაცვაში, ანტიჰიტლერული კოალიციის განმტკიცებისკენ მიმართული შეთანხმების ძიებაში“...

„...უნდა აღინიშნოს, რომ სტალინი საზღვარგარეთელ მოღვაწეებს მაინცდამაინც არ ანებივრებდა ყურადღებით, ის ჩვენი ქვეყნის ღირსებას უფრთხილდებოდა და მით უფრო დიდი მკრეხელობა იქნებოდა იმის გაფიქრება, თითქოს ის საზღვარგარეთელ მოღვაწეებს ეკურკურებოდა, რაც არ უნდა დიდი რანგისა ყოფილიყვნენ ისინი. ი. ბ. სტალინის დანახვა და მოსმენა საზღვარგარეთელი მოღვაწეებისთვის უკვე მხოლოდ ამიტომაც დიდი მოვლენა იყო“.

„როდესაც ის გამოდიოდა, ყველა იქ მყოფი სხდომის მთავარი და არამთავარი მონაწილენიც სტალინს შეჰყურებდნენ. რომელიმე სხვა მონაწილე რომ ლაპარაკობდა, მაშინაც იქ მყოფთა უმრავლესობა სტალინს, მისი სახის გამომეტყველებას უყურებდა იმის ამოსაცნობად, გასაგებად, თუ როგორ აფასებდა ის თავისი კოლეგების სიტყვებსა და აზრებს.

და აი, სტალინი ხმადაბლა, თითქოს სხვათაშორის, იწყებდა ლაპარაკს. ის ისე ლაპარაკობდა, თითქოს მის გარდა იქ მხოლოდ ორნი იმყოფებოდნენ. მისთვის უცხო იყო ყოველგვარი შებორკილობა, ეფექტის მოხდენის რამენაირი სურვილი, ყოველგვარი გაუმართაობა და დაუხვეწაობა აზრის გადმოცემაში. მისი ყოველი სიტყვა ისე ჟღერდა, თითქოს ისინი სპეციალურად ჰქონდა დამუშავებული სწორედ ამ აუდიტორიაში და ამ მომენტში წარმოსათქმელად.

ყურადღებას იქცევდა ის, რომ, როცა სტალინი მოსაზრებებს გამოთქვამდა, რუზველტი ხშირად ცდილობდა, საბჭოთა ლიდერთან თავისი დამოკიდებულება ან თავის დაქნევით, ან გულღია შეხედვით გამოეხატა“.

Ა. ᲰᲐᲠᲘᲛᲐᲜᲘ,
ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲔᲚᲩᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ:

„ისინი, ვისაც სტალინი პირადად არ გაუცვნია, მასში მხოლოდ ტირანს ხედავენ. მე კი მეორე მხარეც მაქვს ნანახი — მისი ჭკუა, დეტალების ფანტასტიკური აღქმის ნიჭი. მისი გამჭრიახობა და განსაცვიფრებელი ადამიანური ყურადღება, რისი გამოჩენის უნარიც მას ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, ომის წლებში, ჩემი აზრით, ის უკეთ იყო ინფორმირებული, ვიდრე რუზველტი და საქმის ვითარებას უფრო რეალისტურად უყურებდა, ვიდრე — ჩერჩილი. გარკვეული მხრით, ომის ლიდერებს შორის იგი ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა“.

ჰ. კისინჯერი, აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი:

„სტალინი, როგორც დემოკრატიული ქვეყნების არც ერთი სხვა ლიდერი, მზად იყო, ნებისმიერ დროს შესდგომოდა ძალთა თანაფარდობის ძირფესვიანად შესწავლას. და სწორედ იმაში დაჯერებულობის, დარწმუნებულობის გამოისობით, რომ ის იყო მსახური ისტორიული სიმართლისა, რომლის გამოხატულებასაც მისი იდეოლოგია წარმოადგენდა, ის მტკიცედ და გადაჭრით იცავდა საბჭოეთის ნაციონალურ ინტერესებს, ისე იცავდა, რომ თავს არ იმძიმებდა, როგორც მას მიაჩნდა, ფარისევლური მორალის ან პირადული ინტერესების ტვირთით.

სტალინის სიტყვებში გამოსჭვივის აზრისა და მოქმედების მიზანსწრაფული სისასტიკე, რომელიც კომუნისტური იდეოლოგიის ურყევი ერთგულების შედეგია. სტალინი მგზნებარე რევოლუციონერი, გულმშვიდი აღუშფოთებელი სტრატეგი იყო. მან რუსეთი მეოცე საუკუნეში ზესახელმწიფოდ აქცია, ისე, როგორც რიშელიემ საფრანგეთი — მეჩვიდმეტე საუკუნეში“.

კონსტანტინე გამსახურდია:

„სტალინის სახით მსოფლიოს ყველა მშრომელს ჰყავდა ნაცადი სტრატეგი, ჩვენი ეპოქის უდიდესი მოაზროვნე, რომლის აზროვნება ნათელს ჰფენდა პოლიტიკისა და სამხედრო ხელოვნების, ფილოსოფიისა და ეკონომიკის ურთულეს პრობლემებს, ვის სიტყვასაც ძალა ჰქონდა, სილბო ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისა, ვისი ფრაზაც ფოლადივით მკვეთრი და მტერთა შემმუსვრელი იყო“.

ვ. სოლოუხინი:

„...ის ხალხს თავდავიწყებით უყვარდა, განა მისი დაკრძალვის დღეებში არ ქვითინებდნენ მილიონობით რუსები, დიასახლისებით დაწყებული და მარშლებით როკოსოვსკითა და ჟუკოვით დამთავრებული (არადა, როკოსოვსკიმ ხომ, ვიდრე მას სასარდლოდ დაუძახებდნენ, „ჯდომა“ ხომ უკვე მოასწრო), განა სტალინზე შექმნილი ასობით ლექსი და სიმღერა ამ არაერთმნიშვნელოვანი ადამიანის მიმართ სიყვარულზე არ ღაღადებს? რატომ არ არსებობს არც ერთი ლექსი ხრუშჩოვზე, ბრეჟნევზე? მათზე მხოლოდ ანეკდოტებია“.

პაბლო პიკასო, მხატვარი:



„...იყო სტალინი, ჩემი აზრით, მსოფლიოში ძალიან, ძალიან ბევრს ნიშნავს. ის გენიალური ადამიანი იყო და ამაში არავის ეპარება ეჭვი, არც მონმარტელ ქუჩის მხატვარს, არც აკადემიაში მოღვაწე გამოჩენილ მეცნიერს, არც როლს-როისის ინჟინერსა და გალვანიკის აღმომჩენს ამერიკაში.

ის გენიალურია არა მხოლოდ უბრალო ადამიანის თვალსაზრისით, არამედ — დიდი ხელოვნების თვალსაზრისითაც კი.

იყო სტალინი — ნიშნავს სიცრუის სიძულვილს... და ადამიანების დაფასებას... კომუნიზმისთვის საკუთარი სისხლის ბოლო წვეთამდე გაღებას და იმაში დაურწმუნებლობას, რომ ასეთი გმირობისთვის სხვებიც მზად არიან, ბელადის კულტის ესერული ერესის ნაყოფად მიჩნევას და საკუთარ კულტზე თვალის დახუჭვას.

... — მასში იყო სახელმწიფო კაცის — იულიუს კეისრის ჭკუა და მარკუს ოქტავიუსის ეშმაკობა, ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავრული გენიალობა და ციცერონის ორატორული დამარწმუნებლობა და ლაკონურობა, მაგრამ, ის მათზე მაღლაა, გაცილებით მაღლა. მასში ისინი ყველანი იყვნენ...

და, თუ მსოფლიო ისტორიაში სამი-ოთხი ადამიანი დარჩება, ერთი მათგანი, უეჭველად, სტალინი იქნება“.

ᲐᲜᲠᲘ ᲑᲐᲠᲑᲘᲣᲡᲘ, ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ:

„...მისი ცხოვრების ისტორია განუწყვეტელ, განსაცვიფრებელ სიძნელეთა დაძლევის ისტორიაა. არ ყოფილა არც ერთი წელიწადი, დაწყებული 1917 წლიდან, მას რომ წარმატებით არ დაეგვირგვინებინა ისეთი დიადი საქმენი, რომლებიც ნებისმიერ ადამიანს სამარადისოდ გაუთქვამდნენ სახელს. ეს რკინის კაცია. მისი ფსევდონიმიც გამოჰკვეთს მის სახეს... ის ფოლადივით უდრეკი და მოქნილია. მის ძალას ქმნის მისი შეუდარებელი აზროვნება, მისი ცოდნათა სიფართოვე, განსაცვიფრებელი შინაგანი წონასწორობა, გატაცებული სწრაფვა სიცხადისაკენ, გარდუვალი თანმიმდევრობა, სისწრაფე და გადაწყვეტილების სიმტკიცე და ძალა, განუწყვეტელი, მუდმივი ზრუნვა ადამიანთა შერჩევაზე“.

ᲑᲔᲠᲜᲐᲠᲓ ᲨᲝᲣ, ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲔᲠᲘ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ:



„ახლა როცა სტალინი ჩვენს მხარესაა, ჩვენ ომს აუცილებლად მოვიგებთ“.

ᲐᲚᲔᲥᲡ ᲓᲔ ᲯᲝᲜᲒᲘ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠ-ᲡᲝᲒᲔᲢᲝᲚᲝᲒᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ:

„...საჭიროდ მიმაჩნია, შეგახსენოთ, რომ, ჯერ ერთი, არც საფრანგეთის რევოლუციას, არც ნაპოლეონს, არც სხვა ვინმეს ისტორიაში არ გაუკეთებია იმდენი, რაც მან — სტალინმა გააკეთა. რუსეთი ხომ 1917 წლის შემდეგაც დიდი ხნის განმავლობაში არ იცვლებოდა. მან კი ნამდვილად გარდაქმნა იგი, დააყენა გზაზე, რომლითაც ორმოცი წელი მიდიოდა და, მგონი, ახლაც მიდის. მეორეც, მიმაჩნია, რომ მის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ყველა ჩვენგანის არსებობა. ჰიტლერს საბჭოთა კავშირი რომ დაემარცხებინა, უკვე არ იარსებებდნენ რუსები, მაგრამ მათთან ერთად ფრანგებიც, ინგლისელებიც, ამერიკელებიც აღიგვებოდნენ პირისაგან მიწისა. როგორც გინდათ, ისე თქვით, მაგრამ ის გენიალურია კიდევ იმიტომ, რომ ბოლო მსოფლიო ომში მან მოახერხა თავის მოკავშირეებად გაეხადა ინგლისელებიც, ფრანგებიც. ყველაზე დიდ შეცდომას უშვებ მაშინ, როცა ფიქრობ, რომ პოლიტიკის აგება პირად ურთიერთობებზე შეიძლება. ამის იმედი ჰქონდა ჩერჩილს, რომელიც თავდაჯერებული ფიქრობდა, რომ გაეცნობოდა სტალინს და მას თავის თაყვანისმცემლად გაიხდიდა. სტალინმა კი შეძლო, აეძულებინა, როგორც ჩერჩილი, ისე რუზველტი, ევლოთ მის მიერ დასახული გზით“.

ქანთარია და ეგოროვი რაიხსტაგის გუმბათზე

ბედნიერ მაისს, გამარჯვების მაისს კიდევ ბევრჯერ დაუბრუნდებიან კალმისა და ფუნჯის ოსტატები, რათა კაცობრიობის მეხსიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდოს ჩვენი გმირი ხალხის ღირსეულ შვილთა დევკაცური ნაკვალევი.

ელიზბარ უგილავა

ამ პატარა ნარკვევით ერთხელ კიდევ მოგაგონებთ ჩვენი მამულიშვილის, საბჭოთა კავშირის გმირის მელიტონ ვარლამის ძე ქანთარიას საგმირო საქმეებს.

მელიტონ ქანთარია 1940 წელს წითელ არმიაში გაიწვიეს. ოცი წლის ყმაწვილმა გამოსათხოვებლად ჯვარში მშობლებს ჩააკითხა. აგუბედიიდან ჯვარამდე ჩაისა და ციტრუსების უამრავ პლანტაციას ჩაუარა, მრავალ აყვავებულ სოფელსა და დაბა-ქალაქს ეწვია, შრომაში გამარჯვებულ ნაცნობ-მეგობრებთან ისაუბრა, მათთან ერთად ღვინოც გადაჰკრა და გული სიამაყით აევსო. აი, როგორი კარგი ქვეყნისა და ხალხის დასაცავად მივდივარ, ამათთვის ბრძოლაც ღირს და თავის გაწირვაც.

ჯვარელებმა გულთბილად მიიღეს არმიაში მიმავალი თანასოფლელი.

— აბა, შვილი, შენ იცი! — ეუბნებოდნენ მოხუცები მელიტონს, — შორს მიდიხარ, იქ უნდა გამოჩნდეს შენი ვაჟკაცობა. მუდამ გახსოვდეს, რომ შენ ჯვარიდან ხარ, ჯვარელები კი არასოდეს ყოფილან მხდალები.

სამხედრო ეშელონით შორეულ გზაზე მიმავალს სადღაც გულის სიღრმეში მაინც აწვალებდა ფიქრი — როგორ წარიმართებოდა მისი მომავალი ცხოვრება. ეს ფიქრი უსაფუძვლო გამოდგა. ის მოხვდა ჩვენი ქვეყნის დასავლეთ საზღვარზე, ლიტვის ტერიტორიაზე განლაგებულ სამხედრო ნაწილში, მაგრამ ერთი წუთითაც არ უგრძვნია თავი უცხო გარემოცვაში.

წითელარმიელებმა მალე შეიყვარეს ეს ცოცხალი, გაბედული ქერა ყმაწვილი.

პირველი საბრძოლო ნათლობა მ. ქანთარიამ 1941 წლის 22 ივნისს მიიღო, როცა ფაშისტი ჯალათები ვერაგულად თავს დაესხნენ ჩვენს ქვეყანას.

სამხედრო ნაწილმა, სადაც მელიტონი მსახურობდა, ერთმა პირველთაგანმა განიცადა მტრის დარტყმა. წითელარმიელები გამოაღვიძა ყუმბარების აფეთქებამ, რომლებსაც გერმანელები უშენდნენ ყაზარმებს. წითელარმიელები ელვის სისწრაფით ეწყობოდნენ ხანძრის სინათლეზე და საბრძოლო პოზიციებს იკავებდნენ. მელიტონ ქანთარია და მისი მეგობრები მზის ამოსვლას სანგრებში შეხვდნენ.

მელიტონს არასდროს დაავიწყდება იმ დღის განთიადი. ახალბედა მსროლელს მაგრად ეჭირა ხელში შაშხანა. იმ უბანზე, სადაც კაპიტან ჟელანოვის ბატალიონი ჩასანგრდა, ფაშისტებმა ფსიქიური იერიში მოიტანეს. პომერანიის მსროლელთა რჩეულმა ასეულებმა ავტომატის ტყვიების სეტყვა დააყარეს ჩვენს მესანგრეებს. მთვრალი ჯარისკაცების ბრბო ხორხოცით, ღრიანცელით მოიწევდა წინ. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათ წინსვლას ვერაფერი შეაჩერებდა, რადგან თავიანთი ბინძური ჩექმებით უკვე გადაქელილი ჰქონდათ ავსტრიის, ბელგიის, საფრანგეთისა და პოლონეთის მიწა-წყალი; მათ წინააღმდეგ კი იბრძოდნენ ქანთარია და მისი ამხანაგები — ბრძოლაში გამოუცდელი ახალგაზრდები.

ამ პირველ შერკინებაში მელიტონ ქანთარიამ თავისი თვალით დაინახა, როგორ წააქცია მის მიერ გასროლილმა ტყვიამ ერთი მაღალი ფაშისტი მსროლელი — პირველი ჰიტლერელი მის ანგარიშზე!

აქედან დაიწყო მელიტონ ქანთარიას ჯარისკაცური საბრძოლო ნათლობა. მაგრამ კაპიტან ჟელანოვის ბატალიონმა მტრის ჭარბი ძალების მოწოლის გამო უკან დაიხია. დაიწყო პირველი წარუმატებლობანი. თუმცა ჩვენს მებრძოლებს მტკიცედ სწამდათ, რომ ეს უკანდახევა მომავალი დიდი შეტევისა და ბრწყინვალე გამარჯვებებისთვის იყო გამიზნული, მაინც ყველანი მძიმედ განიცდიდნენ მშობლიური მიწის ყოველი მტკაველის დატოვებას.

კაპიტან ჟელანოვის ბატალიონი, რომელშიც მელიტონ ქანთარია ირიცხებოდა, თითქმის თვე-ნახევარი თუ ორი თვე უკან იხევდა, მაგრამ

ამ უკანდახევაში იჭედებოდა ჩვენი მებრძოლების ძლიერი ნებისყოფა, სამაგიეროს გადახდის მძაფრი სურვილი. ეს სულისკვეთება მათ მთელი სისრულით გამოავლინეს სმოლენსკისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში. სმოლენსკის დაცვას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. რამდენჯერმე ხელიდან ხელში გადავიდა ეს ტყვიებით გულდაცხრილული ძველისძველი ქალაქი. აქ მელიტონი დაიჭრა და ერთ-ერთი უკანასკნელი გაიყვანეს ბრძოლის ველიდან. ერთი შეხედვით მსუბუქმა ჭრილობამ მელიტონი ოთხი თვით ჰოსპიტლის სარეცელს მიაჯაჭვა.

ჰოსპიტლიდან ახალგამოსული მელიტონი გაიგზავნა ნაწილში, რომელიც ჩრდილოეთის ფრონტზე იბრძოდა. მელიტონი კაპიტან კონდრაშოვის მზვერავთა ოცეულში ჩარიცხეს. ოცეულის მეთაურმა მელიტონს მზვერავისათვის საჭირო თვისებები შეამჩნია — სისწრაფე, ამტანობა, სროლის ოსტატობა, გამჭრიახობა.

— გახსოვდეს, ქანთარია, — ეუბნებოდა კონდრაშოვი, — ქვეითი ჯარისკაცი, თუ კი ის დაეუფლება რომელიმე იარაღს, შეიძლება სრულყოფილ ჯარისკაცად ჩაითვალოს, მაგრამ მზვერავისათვის ეს საკმარისი არ არის. მზვერავი უნივერსალი უნდა იყოს. რევოლვერიდან ტყვიამფრქვევამდე ყველაფერი უნდა „ათამაშდეს“ მზვერავის ხელში. მას ყველა სახეობის იარაღის მოხმარება უნდა შეეძლოს, სულ ერთია, ჩვენი იქნება ის, თუ მოწინააღმდეგისა.

კონდრაშოვი ადგა, მიწურში ბოლთა დაარტყა, მერე მელიტონისკენ შემოტრიალდა და მოულოდნელად შეეკითხა:

— როდის უნდა ისწავლო უიარაღოდ ლაშქრობა?

ქანთარიას თვალები გაუფართოვდა.

— უიარაღოდ ლაშქრობა? — გაკვირვებით იკითხა ქანთარიამ.

— დიახ, სწორედ უიარაღოდ. ყოველ შემთხვევაში, ცეცხლმსროლელი იარაღის დაუხმარებლად. ნამდვილი მზვერავი ისაა, ვინც უსროლელად, უხმაუროდ შეძლებს საბრძოლო დავალების შესრულებას. გასაგებია?..

კაპიტანი კონდრაშოვი ბევრჯერ ესაუბრა ქანთარიას მზვერავის ღირსებაზე, მის მოვალეობაზე. რაც

მელიტონ ქანთარია და მიხეილ ეგოროვი გამარჯვების დროშით, რომელიც მათ რაიხსტაგზე აღმართეს

დრო გადიოდა, ქანთარია უფრო და უფრო ოსტატდებოდა. ის ერთ-ერთი საუკეთესო მზვერავი დადგა.

1942 წელი. ომის მძიმე დღეები. გერმანელები კავკასიას მოადგნენ და ალაგ-ალაგ უღელტეხილებიც გადმოლახეს.

უმცროსი სერჟანტი მელიტონ ქანთარია იმ დროს ყუბანში იბრძოდა.

ასე მუდმივ დაძაბულობაში, მტრის საცეცხლე პოზიციების დაზვერვასა და “მოენეებზე” სახიფათო ნადირობაში განვლო ერთმა წელმა.

იმ ხანებში ფრონტზე მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. დაიწყო საბრძოლო გარდატეხა ომის მსვლელობაში, საბჭოთა ჯარებმა ფაშისტი დამპყრობლები დასავლეთისკენ დაძრეს.

1943 წლის აგვისტოში „მოენეზე“ ნადირობის დროს, ქანთარია მძიმედ დაიჭრა. კვლავ ჰოსპიტალი. მოსკოვში უკვე ქუხდა სალუტები გამარჯვებული საბჭოთა მეომრების პატივსაცემად. ხოლო ქანთარია იძულებული იყო შეესრულებინა სამკურნალო პროცედურები და თავისი მჩქეფარე ბუნება დაექვემდებარებინა ჰოსპიტლის რეჟიმისათვის.

და, აი, ქანთარია კვლავ ფრონტზეა, ძველ მეგობართა გარემოცვაში, კაპიტან კონდრაშოვის მზვერავთა ოცეულში. მელიტონი თავის ნაწილს პოლონეთში დაეწია, მონაწილეობა მიიღო ლიუბლინის განთავისუფლებისთვის გამართულ ბრძოლაში, ერთ-ერთმა პირველთაგანმა გადალახა მდინარე ვისლა და თანამებრძოლებთან ერთად ვარშავაში შევიდა. აქ იგი კიდევ ერთხელ დაიჭრა, მაგრამ ექიმებსა და მეთაურებს სთხოვა, დაეტოვებინათ ნაწილში. მელიტონ ქანთარია მხრებშეხვეული მიაბიჯებდა იმ გზაზე, რომელიც გერმანიის საზღვრებისკენ, მტრის ბუნაგისკენ მიემართებოდა.

. . .

ჯარისკაცის არაჩვეულებრივი ბედი ხვდა წილად მელიტონ ქანთარიას. ის იყო ერთ-ერთი იმ მებრძოლთაგანი, რომლებმაც ომის პირველ დღეს განიცადეს მოწინააღმდეგის დარტყმა და საბჭოთა მებრძოლებიდან მანვე ერთ-ერთმა პირველმა დაადგა ფეხი გერმანიის მიწაზე.

კაპიტან კონდრაშოვის მზვერავთა ოცეული ჯერ კიდევ პოლონეთში, გერმანიის საზღვართან იდგა, როცა ქანთარიამ თავის ამხანაგებთან ერთად მორიგი დავალება მიიღო. მზვერავები მიწურში შეიკრიბნენ, რომ ჩვეულებრივ განეხილათ მომავალი სადაზვერვო ოპერაციის გეგმა. მელიტონმა შეხედა რუკას და მოულოდნელად შეკრთა.

— შეხედეთ! — დაიყვირა მან და გვერდით მჯდომ მიხეილ ეგოროვს

მხარზე ხელი დაჰკრა, — შეხედე, რა ხდება! ჩვენ დღეს გერმანიაში მივდივართ!

ყველამ თვალნათლივ წარმოიდგინა გერმანიის მიწაზე პირველი სადაზვერვო ოპერაციების სიძნელე და პასუხისმგებლობაც. დაზვერვა ფაშისტი მხეცის ბუნაგში მთლიანად განსხვავდებოდა იმ დაზვერვებისაგან, რომლებიც საბჭოთა მიწაზე წარმოებდა. გერმანიის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მზვერავებს შეიძლებოდა ყოველთვის ჰქონოდათ ადგილობრივ მკვიდრთა დახმარების იმედი, მაგრამ აქ, ამ მტრულ გარემოცვაში, საბჭოთა მზვერავებისათვის ყველაფერი საშიში იყო. არავისზე და არაფერზე არ შეიძლებოდა დაყრდნობა. ყოველ ხის ძირას სიკვდილი იყო ჩასაფრებული. მაგრამ ისინი არად აგდებდნენ ამ ხიფათს.

ამჟამად მელიტონის, ისევე როგორც ყველა საბჭოთა მებრძოლის, ოფიცრისა და გენერლის ფიქრი და აზრი მიპყრობილი იყო ბერლინისკენ.

დადგა ბერლინის იერიშის ღირსახსოვარი დღეებიც.

ბელორუსიის პირველი ფრონტი, რომელშიც მელიტონ ქანთარია ირიცხებოდა, პირდაპირ გერმანიის შუაგულს უმიზნებდა. ეს ფრონტი, ისევე, როგორც უკრაინის ფრონტი, გიგანტური ნაბიჯით მიიწევდა წინ მტრის ბუნაგის გასანადგურებლად.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ საბჭოთა ჯარები ბერლინს, მით უფრო მძაფრდებოდა ბრძოლები. მოკლე ხანში მათ თვალწინ დაეცა უზარმაზარი ქალაქები. ცეცხლმა შთანთქა გერმანიის მისადგომებზე არსებული ციხე-სიმაგრეები.

ბერლინის გზატკეცილი! ბერლინამდე სულ რამდენიმე კილომეტრიღა დარჩა.

— იერიშით ბერლინისაკენ! — გაცემულია განკარგულება სარდლობისაგან.

— მებრძოლებო, სერჟანტებო, ოფიცრებო და გენერლებო! ძვირფასო ამხანაგებო! დადგა ბრძოლების გადამწყვეტი საათი. თქვენს წინაა ბერლინი — გერმანელი ფაშისტების ბუნაგი. წინ, იერიშით ბერლინზე! — მოუწოდებდა საბრძოლო ფურცლები, რომლებსაც ირგვლივ თვითმფრინავები ფანტავდნენ, და ყოველი საბჭოთა მეომრის ოცნება ბერლინში შესვლა იყო.

მებრძოლები, რომლებიც ამ გადამწყვეტი ბრძოლის ჟამს ეცემოდნენ, მხოლოდ ერთს გაიძახოდნენ და ერთს თხოულობდნენ:

— მე ბერლინში შესვლა მინდოდა, წამიყვანეთ ბერლინში!

ბერლინს უტევდა ათეული შეჯავშნული დივიზია. ამ ქალაქს უშენდა ათასობით თვითმფრინავი და ტანკი, ათიათასობით ზარბაზანი და ნაღმმტყორცნი. იყო გამუდმებული გრიგალისებური სროლა. ცეცხლი რუჯავდა ყველაფერს.

ეს იყო დღეები, რომელთა დავიწყება შეუძლებელია. ეს იყო სამამულო ომის უკანასკნელი დღეები. მელიტონ ქანთარიას გულში კოცონივით ენთო სიხარული. ის ხედავდა, როგორ ახლოვდებოდა ფაშისტ დამპყრობთა აღსასრული, როგორ ამოდიოდა გამარჯვების მზე ჰორიზონტზე.

ერთხელ შესვენებისას, როდესაც მზვერავებმა ბერლინის გარეუბნის ნახევრადდანგრეულ სახლს შეაფარეს თავი, მათთან მივიდა ბატალიონის კომორგი ლეიტენანტი ბერესტი და ახალი გაზეთები და საბრძოლო ფურცლები ჩამოურიგა. საბრძოლო ფურცლებში ეწერა:

„წაიკითხე და გადაეცი მეომრებს! სიკვდილი გერმანელ ფაშისტებს!

მებრძოლებო!

ნაბრძანებია, რომ მტერს მივაყენოთ კიდევ ერთი ძლიერი დარტყმა და გამარჯვების დროშა ავაფრიალოთ!

პირნათლად შევასრულებთ სამშობლოს ბრძანებას!“

— ამხანაგებო, თქვენ ხედავთ, — თქვა კომორგმა, — რომ საბჭოთა არმია შეუცდომლად მოქმედებს. ჰიტლერელთა დღეები დათვლილია. ჩვენი მებრძოლები საპარადო მარშით გაივლიან ბრანდენბურგის კარს და წითელი დროშა იფრიალებს რაიხსტაგის თავზე.

მელიტონმა ნათლად წარმოიდგინა ალისფერი დროშა, დროშა გამარჯვებისა, რომელიც იფრიალებდა ფაშისტური გერმანიის დედაქალაქის თავზე. რაიხსტაგზე ავიდოდნენ საბჭოთა მებრძოლები და მისი სიმაღლიდან გამოჩნდებოდა საბჭოთა არმიის მიერ ფაშისტური მონობისაგან განთავისუფლებული მსოფლიოს თითქმის ნახევარი... დიახ, მთელი მსოფლიოს თითქმის ნახევარი...

ვერც ერთი საველე ბრძოლა ვერ შეედრებოდა გერმანიის დედაქალაქის ქუჩებში გამართულ ბრძოლებს. აქ ყოველი ფანჯარა იყო საცეცხლე წერტის ამბრაზურა, ყოველი სახლი იყო ფორტი, რომლის მისასვლელები ყოველი მხრიდან ტყვიით იყო გადაღობილი. განსაკუთრებით ძნელდებოდა სადაზვერვო ოპერაციები. არაჩვეულებრივად მძიმე იყო ორიენტირის აღება უზარმაზარი ქალაქის მრავალსართულიანი სახლების ჯურღმულებსა და ლაბირინთებში, რომლებიც ერთმანეთს უერთდებოდა მრავალრიცხოვანი გასასვლელებით, მიწისქვეშა კოლექტორებითა და მეტროს გვირაბებით. აქ ყოველ ნაბიჯზე, როგორც ქუჩებში — სასახლეთა ნანგრევების ტყეში, ისე მიწისქვეშა ჯურღმულების ყოველ მოსახვევში მოსალოდნელი იყო ხიფათი.

ბრძოლების ამ მძიმე დღეებში მელიტონმა არ იცოდა არც ძილი, არც მოსვენება.

შექმნილი რთული ვითარება კაპიტან კონდრაშოვის მზვერავებს ახალ თავსატეხ ამოცანას უყენებდა. აი, პოლკის შტაბის უფროსისაგან მოვიდა ბრძანება: „გაარკვიეთ, რა ხდება გერმანელთაNN№ კვადრატის დასაყრდენ პუნქტზე“.

დასაყრდენი პუნქტი, რომელზედაც შტაბიდან ეკითხებოდნენ, არც ისე შორს იყო, კვარტლის ბოლოს, მოსახვევთან, მაგრამ წარმოუდგენლად გაძნელდა იქ მისვლა. მოწინააღმდეგის სნაიპერები განუწყვეტლივ ისროდნენ ყოველი სახლის სახურავიდან, სხვენიდან, ზედა სართულის ფანჯრებიდან.

ბრძანების შესასრულებლად აგურის ნამსხვრევებით მოფენილ ქვაფენილზე გახოხდნენ ქანთარია და სამი სხვა მზვერავი. ირგვლივ ზუზუნებდა ტყვიები, რომლებიც ნაპერწკლებს ყრიდა ქვაფენილის გრანიტის ფილებზე. სახლები ხანძარში იყო გახვეული. ისმოდა ხშირი აფეთქებები, ქუჩებზე წარმოუდგენლად ცხელოდა. მზვერავები კი მაინც მიცოცავდნენ. კიდევ რამდენიმე მეტრი, კიდევ რამდენიმე მამაცური ნაბიჯი და მელიტონი თავისი ამხანაგებით მოსახვევთან გაჩნდებოდა. მათ წინ აღმართული იყო ფანჯრებჩამსხვრეული ნაცრისფერი ექვსსართულიანი შენობა. რამდენიმე საათის წინ ეს შენო-

ბა ბატონობდა მთელს რაიონზე. ათეულობით ტყვიამფრქვევი გამანადგურებელ ცეცხლს უშენდა გზაჯვარედინს. მაგრამ ახლა ტყვიამფრქვევები დადუმებულიყვნენ. ჩანდა, სახლი მიეტოვებინათ.

ნუთუ მართლა ასეა? ქანთარია მიცოცდა სადარბაზო შესასვლელის მუხის მძიმე კართან, ამხანაგებს ხელით ანიშნა და სახლში შევიდა.

ძლივს მოასწრო ორიოდე საფეხურზე ასვლა, რომ ზემოდან ყუმბარა სტყორცნეს. მელიტონი მარმარილოს კიბის ყრუ ბარიერს ამოეფარა და ამან გადაარჩინა, არც ერთი ნამსხვრევი არ მოხვედრია. გაისმოდა პარკეტზე ჩექმის ბრახაბრუხი. მეორე თუ მესამე სართულზე ვიღაცა გარბოდა.

„ერთი კი გარბის, მაგრამ რამდენი დარჩა აქ?“

— მელიტონ, ცოცხალი ხარ? — დაუძახეს ამხანაგებმა ქვემოდან.

— ცოცხალი ვარ, წამოდით აქეთ, — განგებ ხმამაღლა დაიყვირა მელიტონმა და კიბის საფეხურზე ფეხების ბრახუნი ატეხა, რომ შექმნილიყო შთაბეჭდილება, თითქოს ზემოთ ჯარისკაცთა მთელი ასეული ამოდიოდა. მას ამხანაგებიც აჰყვნენ. კიბის პატარა მოედანთან მზვერავებმა ავტომატების ჯერი მისცეს და თან ყვირილი მორთეს:

— ჰენდე ჰოხ! ხელები მაღლა!

ბოლოს კიბის ყველაზე მაღალ მოედანთან გამოჩნდა შაშხანის ხიშტზე გამობმული თეთრი ჩვარი.

— ჰენდე ჰოხ! — კვლავ იყვირა ქანთარიამ და გერმანული სიტყვების არც ისე მდიდარი მარაგიდან ძლივს კიდევ ორი სიტყვა დაუმატა: — კომ ჰირ! მოდი აქ!

კიბის თავზე გამოჩნდა სამ ათეულზე მეტი გაფითრებული და ხელებაწეული გერმანელი ჯარისკაცი.

მზვერავებმა სწრაფად განაიარაღეს ისინი და დაკითხეს ათიოდე გერმანული სიტყვისა და უმთავრესად ჟესტების დახმარებით. მზვერავებმა შესანიშნავი პასუხი მიიღეს ყოველივე იმაზე, რაც მათ აინტერესებდათ.

გამოირკვა, რომ ეს სახლი დაცვის მეორე ხაზში შედიოდა. ის ჯერ საბჭოთა ჯარების უშუალო მოქმედების ზონაში არ იმყოფებოდა. რადგან წინა მხარე ცეცხლის საფარველით კარგად იყო დაცული, გერმანელთა აზრით, ლაპარაკიც ზედმეტი იყო რუსების აქ მოსვლაზე. ამასთან ერთად ეს ტყვეები არ აღმოჩნდნენ ამ დასაყრდენი პუნქტის ძირითადი დამცველები. აქ იმყოფებოდა ესესელების დიდი რაზმი, რომელიც ორი საათის წინ ჰიტლერელთა სარდლობამ მეტროს გვირაბის დამცველთა დასახმარებლად გამოიძახა. რაზმმა ამ სიკვდილის ზონაში, ყოველი შემთხვევისათვის, რამდენიმე ჯარისკაცი დატოვა.

ბერლინის აეროდრომი. 1945 წლის 20 ივნისი. მოსკოვში, გამარჯვების აღლუმზე დასასწრებად გაფრენის წინ. გამარჯვების დროშასთან არიან (მარცხნიდან მარჯვნივ): კაპიტანი კ. სამსონოვი, უმცროსი სერჟანტი მ. ქანთარია, სერჟანტი მ. ეგოროვი, ზემდეგი ი. სიანოვი და კაპიტანი ს. ნეუსტროევი

— კოლოსალ! — ამბობდნენ გერმანელები და ამით გამოხატავდნენ გაკვირვებას იმის გამო, რასაც საბჭოთა ჯარისკაცებმა მიაღწიეს. მზვერავები ოთხნი იყვნენ, გერმანელები კი თურმე ფიქრობდნენ, შენობაში რუსების ბატალიონი შემოიჭრაო.

ქანთარიამ, რომელიც მზვერავთა ამ მცირე ჯგუფს მეთაურობდა, ბრძანა ტყვე გერმანელები სარდაფში დაემწყვდიათ, ხოლო ერთი ჯარისკაცთაგანი უფროსთან წასულიყო და შექმნილი ვითარების შესახებ მოეხსენებინა. თვითონ ორ მზვერავთან ერთად ტყვიამფრქვევთან გაწვა. მელიტონი ფიქრობდა, რომ ესესელები, რომლებმაც დროებით დატოვეს სახლი, უთუოდ დაბრუნდებოდნენ.

მელიტონის მოსაზრება გამართლდა. მალე მზვერავებმა დაინახეს, როგორ მოუახლოვდნენ სახლს ესესელები და გულდაგულ შემოვიდნენ კარში. აქ მათ ტყვიამფრქვევის ჯერი შეეგება და მიაწყდნენ კედლებს.

რამდენიმე ხნის შემდეგ კიდევ ორმოცდაათამდე გერმანელი ჯარისკაცი გამოჩნდა. კვლავ ტყვიამფრქვევის გრძელი ჯერი! გერმანელები პირველად დაიბნენ, შემდეგ დაწვნენ, ზოგმა სახლს უკანა მხრიდან შემოუარა.

ესესელები გაცოფებული იბრძოდნენ შენობის დასაბრუნებლად, რომელსაც მთელი რაიონის დაცვის ცენტრალური ადგილი ეჭირა, მაგრამ სამი მამაცი საბჭოთა მზვერავი მშვიდად ხვდებოდა გერმანელთა ყოველგვარ შემოტევას. ამასობაში ჩვენმა ჯარისკაცებმაც მოუსწრეს. ძალთა თანაფარდობა მკვეთრად შეიცვალა და ფაშისტებმა უკან დაიხიეს. მათ მიატოვეს ათეულობით სხვა სახლიც, რადგან მათ დაცვას, დასაყრდენი პუნქტის დაცემის შემდეგ, არავითარი აზრი აღარ ჰქონდა.

არმიის შტაბში რუკაზე წითლად დაიშტრიხა გერმანიის დედაქალაქის კიდევ რამდენიმე კვარტალი. ეს იყო ის უბნები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებოდა ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალებს.

28 აპრილს კონდრაშოვმა თავისი მზვერავები შეკრიბა:

— წაგიკითხავთ ბრძანებას, რომელიც კორპუსის მეთაურისაგან მივიღეთ და ყველა ჩვენთაგანმა უნდა იცოდეს.

„კორპუსმა უნდა გადალახოს მდინარე შპრეე. აიღოს რაიხსტაგის შენობა და აღმართოს გამარჯვების დროშა. როგორც კი შეასრულებს

ამ ბრძანებას, იგი უნდა შეუერთდეს სამხრეთიდან მომავალ ჩვენს ნაწილებს“.

კაპიტანი კონდრაშოვი ბრძანებას კითხულობდა ხმამაღლა. ნათლად და გარკვევით. მზვერავები ყურადღებით უსმენდნენ.

— ამხანაგებო, მე მგონი, საჭირო არაა აგიხსნათ ამ ბრძანების მნიშვნელობა, — თქვა კონდრაშოვმა ბრძანების კითხვის დამთავრების შემდეგ, — ეს ისედაც ნათელი უნდა იყოს თქვენთვის. ჩვენს კორპუსს და თქვენთან ერთად მეც, დიდი პატივი დაგვდეს, რომ მოგვანდეს გერმანიის იმპერიის მთავარი შენობის — რაიხსტაგის იერიში. ჯარისკაცი, რომელიც რაიხსტაგის გუმბათზე გამარჯვების დროშას აღმართავს, საბოლოო წერტილს დაუსვამს დიდ სამამულო ომს. აი, ამხანაგებო, როგორი ისტორიული მისიის შესრულება დაგვავალა სამშობლომ. მზვერავები ყოველთვის წინ იყავით. დარწმუნებული ვარ, თქვენ იქნებით წინ ამ ოპერაციის შესრულების დროსაც, რომელსაც თვალყურს ადევნებს ყველა საბჭოთა ადამიანი, მთელი მსოფლიო.

სიტყვა „რაიხსტაგი“ არ შორდებოდა მზვერავთა ბაგეებს. ამაზე ლაპარაკობდნენ და ამაზე ფიქრობდნენ ყოველ წუთში. მაგრამ მათ ისიც კარგად იცოდნენ, რომ ჯერ ბერლინის კიდევ ბევრი ქუჩა და მოედანი უნდა გაევლოთ ბრძოლით, სანამ ისინი გერმანიის რაიხის ციტადელს დაინახავდნენ.

29 აპრილს, საღამოს, მდინარე შპრეეს გადალახვის შემდეგ, როდესაც გააფთრებული ბრძოლები გაიმართა „ჰიმლერის სახლისათვის“ (როგორც გერმანელი ტყვეები უწოდებდნენ გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს), მებრძოლთა თვალწინ აღიმართა უზარმაზარი, ვეებასვეტებიანი ნაცრისფერი სახლი, რომელიც შემკული იყო ბრინჯაოსა და გრანიტის დიდი ქანდაკებებით. ეს სახლი პარკის შუა მოედანზე იდგა და არავის არ უფიქრია, რომ ეს იყო რაიხსტაგი.

კაპიტან ნეუსტროევის ბატალიონი, რომელშიც კონდრაშოვის მზვერავები შედიოდნენ, შეეცადა აეღო ეს შენობა შესასვლელიდან, მაგრამ იქ მყოფმა გერმანელებმა ისეთი ცეცხლით უპასუხეს, როგორიც ბრძოლებში გამოწრთობილ ნეუსტროევის ჯარისკაცებსაც კი არ ენახათ. უზარმაზარი სახლის ყოველ ჩაბნელებულ ფანჯარაში, ყოველ ტალანში, ყოველ სვეტთან და ყოველ კუთხეში ენთო ტყვიამფრქვევების, ნაღმსატყორცნების და ზარბაზნების ცეცხლი. განუწყვეტლივ კაკანებდნენ ავტომატები.

მებრძოლები დაწვნენ. ცხადი გახდა, რომ ამ შენობის ასე პირდაპირ აღება შეუძლებელი იყო.

გავიდა ღამე. დილით კაპიტანმა ნეუსტროევმა პოლკის მეთაურს ზინჩენკოს ტელეფონით მოახსენა:

— ჩემს წინაა დიდი ჩაბნელებული შენობა. ჩემი აზრით, მის უკან უნდა იყოს რაიხსტაგი. უკიდურესად ძლიერი ცეცხლი გზას გვიღობავს...

— თქვენ ცდებით, კაპიტანო! — უპასუხა პოლკის მეთაურმა, — რაიხსტაგი თქვენს წინაა. შეამოწმეთ უკეთესად.

— რომელიმე ტყვე ჩემთან! — ბრძანა ნეუსტროევმა.

ტყვეები არ აკლდათ. რამდენიმე წუთში ბატალიონის მეთაურის წინ გერმანელი ოფიცერი იდგა.

— ეს რაშენობაა? — ჰკითხა ნეუსტროევმა და მიუთითა ჩაბნელებულ შენობაზე, რომელიც მოედნის შუაგულში მოჩანდა.

— რაიხსტაგი. — მოკლედ უპასუხა გერმანელმა.

— კარგად იცით?

— კარგად, ბატონო ოფიცერო. მე ძველი ბერლინელი ვარ.

საბოლოოდ რომ დარწმუნებულიყო, კაპიტანმა ნეუსტროევმა კიდევ ერთი ტყვე გამოიძახა. იმანაც იგივე დაუმოწმა. მათ წინ აღმართულიყო რაიხსტაგის შენობა.

— ვაშა! — გაისმა ჯარისკაცების ომახიანი შეძახილი, როცა გაიგეს, რომ მიზნისათვის მიეღწიათ. მათ წინ რაიხსტაგი იყო.

ამ დროს გადმოსცეს ბრძანება:

— ქანთარია და ეგოროვი კაპიტან კონდრაშოვთან!

კონდრაშოვმა მზვერავებს გამოუცხადა:

— პოლკის მეთაური გეძახით! სასწრაფოდ გამოცხადდით მასთან!

მამაცმა სერჟანტებმა მიხეილ ეგოროვმა და მელიტონ ქანთარიამ გახუნებული გიმნასტურები გაისწორეს, მოცვეთილ ჩექმებზე მტვერი ჩამოიბერტყეს და პოლკის შტაბში გამოცხადდნენ. ისინი მაშინვე მეთაურთან მიიყვანეს.

— გამოცხადდით, არწივებო?! — შეხვედრისთანავე თქვა პოლკოვნიკმა, — მე წინადადება მივეცი კაპიტან კონდრაშოვს ჩემთვის ორი საუკეთესო მზვერავი გამოეგზავნა. მან თქვენ დაგასახელათ. ვხედავ, რომ მისი არჩევანი სწორია და მსურს მოგცეთ ერთი დავალება, რომლის შესახებაც მხოლოდ ოცნება შეუძლია ყოველ საბჭოთა მებრძოლს. ერთ საათში დაიწყება რაიხსტაგის იერიში. თქვენ აიღებთ დროშას და წახვალთ მოიერიშე მებრძოლებთან ერთად. ახვალთ მაღლა და რაიხსტაგზე აღმართავთ გამარჯვების დროშას. გასაგებია?

— გასაგებია, ამხანაგო პოლკოვნიკო! — ერთხმად უპასუხეს მზვერავებმა, — ბრძანება შესრულებული იქნება.

— ძალიან კარგი, მაგრამ გაუფრთხილდით თავსაც, ტყვიას ერიდეთ.

ასეთი დიდი ნდობით აღფრთოვანებული ეგოროვი და ქანთარია ამაყად დაბრუნდნენ ბატალიონში. მათ ხელში ეჭირათ დიდ შალითაში შეფუთული დროშა.

ქანთარია მოუთმენლად დაჰყურებდა საათს. დრო უახლოვდებოდა 14.00 — იმ დროს, როდესაც რაიხსტაგის იერიში უნდა დაწყებულიყო. დაიწყო საარტილერიო მომზადება. შენობის მაღალი კედლები და სვეტები ცეცხლისა და მტვრის კვამლში გაეხვია. ზუსტად დანიშნულ დროს რაიხსტაგის შესასვლელის მიმართულებით წითელმა რაკეტამ გაიელვა და სერჟანტ სიანოვის ოცეულის მებრძოლები პირველნი ჩაებნენ ბრძოლაში. მათ მხარდამხარ გაემართნენ ეგოროვი და ქანთარიაც, გაირბინეს რამდენიმე ათეული მეტრი და დაწვნენ. ცეცხლის ღვარცოფი მოდიოდა და ყურთასმენა აღარ იყო. მებრძოლებს სული ეხუთებოდათ.

— დროა! — ყურში ჩაჰყვირა ქანთარიამ ეგოროვს. ეგოროვმა თავი დაუქნია. გავიდა რამდენიმე წუთი. მზვერავებმა შეფუთულ დროშას შეხედეს, ენერგია მოიკრიბეს და კვლავ წინ გასწიეს. კიდევ ოცდაათი, ორმოცი, ორმოცდაათი ნაბიჯი და საბჭოთა მეომრები რაიხსტაგის გრანიტის საფეხურებზე შედგნენ. სიანოვის ჯარისკაცები ვესტიბიულში შეიჭრნენ და ხელიხელ ეკვეთნენ მტერს.

შენობის მაღალი თაღები ჭექა-ქუხილით იყო სავსე, სვეტები ცახცახებდნენ, მაგრამ ორი მზვერავი არაფერს არ აქცევდა ყურადღებას.

ისინი რაიხსტაგში იყვნენ და ეს იმას ნიშნავდა, რომ შეეძლოთ გაეხსნათ შალითა, ამოეღოთ სანუკვარი დროშა და აღემართათ საბოლოოდ დამარცხებული ფაშისტური ბერლინის თავზე. მელიტონმა კედელთან მიგდებული მაღალი კიბე შენიშნა, სწორედ ეს სჭირდებოდათ. მზვერავებმა კიბე წამსვე მთავარი შესასვლელის ცენტრალურ სვეტზე მიაყუდეს, მაგრამ რით უნდა მიემაგრებინათ დროშა სვეტზე?

— მომეცი შალითა, — თქვა ქანთარიამ.

მან ორლესული დანა ამოიღო, ბრეზენტი გრძელ ნაჭრებად აქცია და ერთმანეთზე გადააბა, წუთიც და სვეტზე მიმაგრებული ალისფერი დროშა გაზაფხულის ნიავმა ააფრიალა.

შენობის შიგნით კი ბრძოლა უფრო მწვავდებოდა. მზვერავებმა გაირბინეს ვესტიბიული და მარმარილოს ფართო კიბით მეორე სართულზე ავიდნენ. აქ გერმანელებს სიანოვის მებრძოლები ავიწროვებდნენ. მედროშე მზვერავებმა გრანატები სტყორცნეს გააფთრებულ მტერს.

— იცი, მიხეილ, — უთხრა ქანთარიამ ეგოროვს უკანასკნელი გრანატის გასროლის შემდეგ, — თუკი ჩვენი ქვეითები ზევით ავლენ, მაშინ დროშაც ზევით უნდა იყოს. მოდი ავიტანოთ!

მზვერავებმა ქვევით ჩაირბინეს, დროშა მოხსნეს და მეორე სართულზე აიტანეს. შემდეგ დროშა მესამე სართულზე აფრიალდა. წითელი დროშა იყო იქ, სადაც ბრძოლები წარმოებდა. იგი ადიოდა სულ მაღლა და მაღლა.

გერმანელებმა რამდენჯერმე სცადეს დროშის მოტაცება. მაგრამ ორმა მზვერავმა მოიგერია ყველა შეტევა. ახლა ისინი ერთი ნაბიჯითაც არ შორდებოდნენ თავიანთ დროშას.

ასე გავიდა რამდენიმე საათი. კაპიტან ნეუსტროევის მებრძოლებთან ერთად რაიხსტაგში იბრძოდნენ ლეიტენანტ სამსონოვის და კაპიტან დავიდოვის ჯარისკაცები. შენობის მარჯვენა ფრთაზე მათ შეავიწროვეს ფაშისტები, ეს კი შესაძლებლობას იძლეოდა, დროშა უკანასკნელ სართულზე, ანდა რაიხსტაგის თავზე აეფრიალებინათ.

ქანთარია და ეგოროვი ნახევრადდანგრეული კიბით ჭერზე აცოცდნენ. გაირბინეს ტყვიებით დაცხრილული სხვენი და გარეთ გავიდნენ. სახურავის ირგვლივ შემოვლებული პარაპეტი შემკული იყო შუა საუკუნეების რაინდთა სხვადასხვა ზომის ქანდაკებებით.

მე-3 მოიერიშე არმიის ხელმძღვანელობა რაიხსტაგის შტურმისას გამორჩეულთ საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭებას ულოცავს
(მარჯვნიდან: მ. ქანთარია, მ. ეგოროვი...)

მზვერავები ფიქრობდნენ — სად დაემაგრებინათ დროშა, რომ იგი ქალაქის ყველა კუთხიდან დაენახათ. გუმბათზე!

გუმბათი მინის აღმოჩნდა, მისი ნამსხვრევები სახურავზე ეყარა. დამსხვრეული გუმბათის რკინის ჩონჩხიდან შენობის თვალჩაუწვდენ ჩაშავებულ სიღრმეში მოჩანდა რაიხსტაგის ვესტიბული. იქიდან სროლა და გაცხარებული ბრძოლის ხმაური მოისმოდა.

ქანთარიამ დროშა აიღო და გუმბათის ჩოჩხზე აცოცდა. მას უკან მიჰყვა ეგოროვიც. ირგვლივ ჭურვები სკდებოდა. გუმბათის რკინის ჩონჩხი ირყეოდა და ჭრიალებდა. ქვემოთ გაჩენილი ხანძრის კვამლი ბოლქვებად ამოდიოდა.

მაგრამ ქანთარია და ეგოროვი მიიწევდნენ სულ მაღლა, მაღლა და ბოლოს გამარჯვების დროშა რაიხსტაგის გუმბათის თავზე გაიშალა.

ორი მებრძოლი, ვალმოხდილი ორი საბჭოთა დევგმირი კი მშვიდად დაეშვა უკანასკნელად შეჟრჟოლებული მიწისკენ...

. . .

მოსკოვი. გამარჯვების პარადი. ქარი არხევდა დიდებით შემკულ, მრავალ ბრძოლაში დაცხრილულ საბრძოლო დროშებს. საზეიმოდ ჟღერდა მუსიკა. ათასობით ადამიანი ტაშს უკრავდა გამარჯვებულებს — ამ ლეგენდარული ბრძოლებისა და ლაშქრობების მონაწილეებს, ადამიანებს, რომლებმაც კაცობრიობა იხსნეს ფაშისტთა მონობისაგან.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების ამ ისტორიულ ზეიმზე გამარჯვების პარადის მონაწილეთა მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო ბერლინის მოიერიშე გმირებისაკენ. ამ გმირებს შორის ხალხი განსაკუთრებული დიდების შარავანდედით ამკობდა ორ ვაჟკაცს — მელიტონ ქანთარიასა და მიხეილ ეგოროვს, იმათ, ვინც გამოიჩინეს საბჭოთა მეომრისთვის ჩვეული გულადობა, გამარჯვების დროშა აღმართეს გასრესილი ფაშისტური ურჩხულის თავზე და საუკუნოდ ისახელეს თავი.

. . .

საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა ღირსეულად შეაფასეს თავიანთი სახელოვანი შვილის — მელიტონ ვარლამის ძე ქანთარიას გმირობა. იგი აირჩიეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ბერლინის გმირმა მელიტონ ქანთარიამ თავისი წვლილი შეიტანა მშვიდობიან შრომაშიც. მშობლიურ სოფელში დაბრუნებისთანავე იგი მხარში ამოუდგა მეზობლებს. იყო მესიმინდეთა რგოლის მეთაური, უხვი მოსავლის მოყვანაში დიდხანს ეჯიბრებოდა უკრაინელ მესიმინ-

მელიტონ ქანთარია და მიხეილ ეგოროვი გავშვებთან

დეს, სოციალისტური შრომის გმირს მარკ ოზერნის; მოგვიანებით აითვისა მეშახტის რთული პროფესიაც, საბოლოოდ კი დურგლობა აირჩია — სახელოვანი მეომარი სახელოვანი მშენებელი გახდა.

და აი, ისინი — რაიხსტაგის გმირები მელიტონ ქანთარია და მიხეილ ეგოროვი ისევ ერთად არიან, ამჯერად მელიტონის მშობლიურ სოფელ ჯვარში.

მელიტონი სოფლის დაშორებით შეგებებია თავის თანამოძმეს, რომ გზადაგზა ეჩვენებინა თანასოფლელთა საგმირო საქმენი, აყვავებული ბაღ-ვენახები, ჩაის პლანტაციები, მშენებლობანი — ყველაფერი ის, რითაც ხარობს და ამაყობს მთის სოფელი ჯვარი.

დიდი ხანია აქეთკენ მოუწევდა გული მიხეილს. აქ ეგულებოდა მეორე ოჯახი, და აი, ერთი ოჯახი კი არა, მოდიოდნენ ბრძოლებში ნაწრთობი მეგობრები და მოაცილებდა მთელი სოფელი, ხალხის აღრთოვანებული შეძახილები.

როცა ჯვარის კულტურის სახლის სცენაზე მიხეილ ეგოროვს ხელს ართმევდა და მამაშვილურად ეხვეოდა მელიტონის მოხუცი მამა ვარლამ ქანთარია, როცა ჯვარელი პიონერები პატაკს აძლევდნენ საქვეყნოდ სახელგანთქმულ გმირებს და დარბაზში მტრედები დაფრინავდნენ, გაისმოდა ლაღუმების გუგუნი. ეს ენგურჰესის მშენებლობის ხმა იყო. ეს ხმა კიდით-კიდემდე გაისმოდა, როგორც ომგადახდილ გმირთა საზეიმო შეხვედრისა და მშვიდობიანი შრომის მაუწყებელი სალუტი.

მოზეიმე ხალხის წინაშე იდგნენ ხალხის წიაღიდან აფრენილი არწივები, ისინი, რომლებმაც საბოლოო წერტილი დაუსვეს დიდ სამამულო ომს და რაიხსტაგზე წითელი დროშის აღმართვით მსოფლიოს აუწყეს საბჭოთა ხალხის დიდი გამარჯვება. სახელოვანი გმირები, შრომასა და ბრძოლაში გაჭაღარავებულები, მაგრამ კვლავ ახალგაზრდული ენერგიით აღსავსენი, ჯვარელებს მოუთხრობდნენ ხალხის სამსახურისათვის, მშვიდობის დაცვისათვის თავიანთ მზადყოფნაზე.

— ჩემი ყველაზე საუკეთესო ამხანაგი და თანამოძმე გახდა, — ამბობდა მელიტონ ქანთარია, — რუსი ხალხის წარმომადგენელი მიხეილ ეგოროვი. ჩვენ ერთად აღვმართეთ რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა, ჩვენი გულები მუდამ ერთადაა, გულები ქართველი და რუსი ხალხებისა. მე, როგორც დურგალი, ვაშენებ სახლებს და მსურს ამ სახლებში მშვიდობიანად იცხოვრონ საბჭოთა ადამიანებმა. მშვიდობიან შრომაში მაღფრთოვანებს და კიდევ უფრო ძალას მმატებს ის დიდი ყურადღება, რომელსაც ჩემდამი იჩენენ თანასოფლელები, მთელი საბჭოთა ხალხი. ამ ყურადღებისა და დაფასების ერთ-ერთი გამოხატულებაა თუნდაც დღევანდელი დღე, როდესაც ჩემი მეგობრის მიხეილ ეგოროვის სტუმრობას ასე გულმხურვალედ ეგებება ყოველი აქ დამსწრეთაგანი. გჯეროდეთ, ჩემო ძვირფასო თანასოფლელებო, მე არასოდეს გიღალატებთ და ბოლომდე ვიქნები თქვენი ინტერესების დამცველი.

— მელიტონ ქანთარიასა და ჩემი მეგობრობა, — თქვა მიხეილ ეგოროვმა, ფაშიზმზე გამარჯვების 20 წლის შემდეგ, როცა ქანთარიას მშობლიურ კუთხეს ესტუმრა, რუსი და ქართველი ხალხების ტრადიციული მეგობრობის ანარეკლია. ჩვენი ეს მეგობრობა ბრძოლაში ნაწრთობია და სისხლითაა მოპოვებული. მელიტონმა მძიმე ჭრილობა მიიღო სმოლენსკში — ჩემი მშობლიური ქალაქის დასაცავად. სამაგიეროდ, მე, როგორც საბჭოთა მეომარი, როცა სისხლს ვღვრიდი სამამულო ომის ფრონტზე, რუსეთსა და მის საზღვრებს გადაღმა, ვიცავდი საქართველოსაც, მელიტონის მშობლიურ სოფელსაც. ჩვენ ერთად ვიბრძოდით ხალხის საკეთილდღეოდ და ერთადვე გავიმარჯვეთ.

მე, სმოლენსკელი მოქალაქე, როცა მესმის აფეთქებების ხმა თქვენი დიდი მშენებლობიდან, ისევე ვხარობ, როგორც თქვენ. ჩვენ ერთი გვაქვს გზა და მიზანი, ეს მიზანია საყოველთაო მშვიდობა. რათა ცოცხლობდეს და დღეგრძელობდეს ჩვენი ხალხების მეგობრობა. მადლობა თქვენ, ჯვარელებო, გმირი შვილის გამოზრდისა და დღევანდელი ასეთი გულთბილი შეხვედრისთვის.

ჯვარელებმა გმირებს საჩუქრად მიართვეს თავიანთ სოფელში მოთელილი ნაბდები და მაჯის საათები, რითაც გამოხატეს სახელოვანი შვილებისადმი დიდი სიყვარული და უღრმესი მადლობა.

ჯვარში ღირსახსოვარი შეხვედრიდან დიდი ხანი არ გასულა, რომ მელტონ ქანთარია და მიხეილ ეგოროვი მოსკოვში მიიწვიეს.

დიდი სამამულო ომის დაწყების 20 წლისთავის აღსანიშნავი კრება. საზეიმო წუთი. დარბაზში შემოაქვთ გამარჯვების დროშა, რომელიც რაიხსტაგზე აფრიალდა 1945 წლის აპრილის სამახსოვრო დღეს. ყველა დამსწრე ფეხზე დგება და მქუხარედ უკრავს ტაშს. დროშა მოაქვს რაიხსტაგის იერიშის ერთ-ერთ მონაწილეს, საბჭოთა კავშირის გმირს პოლკოვნიკ კონსტანტინე ივანეს ძე სამსონოვს. მასთან ერთად არიან საბჭოთა კავშირის გმირები მიხეილ ეგოროვი და მელიტონ ქანთარია, რომლებმაც აღმართეს ეს ისტორიული დროშა ფაშისტური ციტადელის გუმბათზე.

ეს იყო გამარჯვების დიდი ზეიმი.

საბჭოთა კავშირის გმირები საქართველოდან

65 წელი გავიდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან, მაგრამ ჩვენს ხალხს, მთელ მსოფლიოს არ დაავიწყდება ის საშინელებანი, რაც ამ ომმა მიაყენა კაცობრიობას; ომმა, რომელშიც 69 ქვეყანა იყო ჩაბმული და საომარი მოქმედებანი ევროპის, აზიისა და აფრიკის 40 ქვეყანაში მიმდინარეობდა; ომმა, რომელმაც 50 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.
ფაშისტური გერმანიის განადგურებაში გარკვეული წვლილი შეიტანა სრულიად საქართველოს მოსახლეობამ. ჩვენი ქვეყნის წარგზავნილთაგან საბჭოთა კავშირის გმირი გახდა 134 მეომარი. მათი სახელი იმთავითვე „სანთლებად აინთო“ სამშობლომ და დღესაც „არავინ და არაფერია დავიწყებული!“.

ვლადიმერ ხარაზია

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის 28-ე არმიის 169-ე მსროლელი დივიზიის 307-ე საარტილერიო პოლკის დივიზიონის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი ვლადიმერ ხარაზია დაიბადა 1916 წელს გუდაუთის რაიონის სოფელ ჯირხვაში.

აფხაზი ჭაბუკი წითელ არმიაში 1936 წლიდან იყო, დაამთავრა რა თბილისის საარტილერიო სასწავლებელი; 1939-40 წლებში მონაწილეობდა საბჭოთა-ფინეთის ომში. დიდი სამამულო ომის ფრონტებზე 1941 წლიდან ჩაება. მან პირველად 1942 წლის 16 მაისს ხარკოვთან ბრძოლებში ისახელა თავი. ამ ბრძოლაში არტილერისტებმა მოწინააღმდეგის 30 ტანკი ააფეთქეს. პირადად ხარაზიამ 8 ტანკს წაუკიდა ცეცხლი და გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. იგი დაკრძალულია უკრაინაში, ქალაქ ბარვენკოვოში (ხარკოვის ოლქი).

როცა მოწინააღმდეგემ სატანკო და ქვეითი ჯარების ნაწილები დაძრა ჩვენების განლაგებისკენ, დივიზიის მეთაურის ბრძანებით, მომხდურებს საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს. მაღალი საბრძოლო ოსტატობა გამოამჟღავნეს ვლ. ხარაზიას არტილერისტებმა. დივიზიის მეთაურის გვერდით მოცელილივით დაეცა ქვემეხის მემიზნე. მოკლულის ადგილი უმალ ვლ. ხარაზიამ დაიკავა და ზუსტი სროლით მტრის რვა ტანკი მოსპო.

ქვემეხის გვერდით საბრძოლო პოსტზე მოწინააღმდეგის ტანკიდან ნასროლი ყუმბარით გმირის სიკვდილით დაეცა მზიური აფხაზეთის შვილი. ვლ. ხარაზიას არტილერისტებმა შური იძიეს საყვარელი მეთაურის სიკვდილისათვის — დღის ბოლოს ბრძოლის ველზე ფაშისტთა 30 ცეცხლმოდებული ტანკი ბოლავდა.

საბჭოთა კავშირის გმირის წოდება უფროს ლეიტენანტ ვ. ხარაზიას 1942 წლის 2 ივნისს მიენიჭა, სიკვდილის შემდეგ; დაჯილდოებულია ლენინის, წითელი ვარსკვლავის ორდენებით.

1977 წელს სს „ქართულმა ფილმმა“ გადაიღო მხატვრული ფილმი „ამბავი აფხაზი ჭაბუკისა“ (დამდგმელი რეჟისორი ალ. ჟღენტი). მასში მოთხრობილია მეორე მსოფლიო ომში ნაცისტების წინააღმდეგ ფრონტის წინა ხაზზე მებრძოლი ჯარისკაცის — ვლ. ხარაზიას გმირობის ამბავი. ფილმმა 1984 წელს ქართული ფილმების სოხუმის კინოფესტივალზე ჟიურის სპეციალური პრიზი დაიმსახურა.

ვარლამ გაბლია

უკრაინის მეორე ფრონტის 46-ე არმიის, 83 საზღვაო მსროლელი ბრიგადის, 144-ე საზღვაო ქვეითთა ბატალიონის მენაღმეთა ჯგუფის მეთაური ვლადიმერ გაბლია ოჩამჩირის რაიონიდან, სოფელ ტამიშიდან გახლდათ. 1915 წელს მან ტამიშის ორკლასიანი სასწავლებელი დაამთავრა; გატაცებული იყო საცხენოსნო სპორტით, არა ერთხელ მიუღია მონაწილეობა დოღში და გაუმარჯვნია კიდეც. ის კარგად ცეკვავდა და მღეროდა; გამოდიოდა რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში; ასევე იყო კარგი მონადირე და მიზანში მსროლელი; ომამდე მუშაობდა ოჩამჩირის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ სამეურნეო დარგში, როცა ომი დაიწყო, სამთვიანი მომზადების შემდეგ, იგი ფრონტზე გაგზავნეს.

პირველი საბრძოლო ნათლობა 1941 წლის ნოემბერში მიიღო როსტოვის ოლქში, სადაც დაიჭრა და ჰოსპიტალიზირებულ იქნა. გამოჯანმრთელების შემდეგ კვლავ ფრონტს დაუბრუნდა.

ვ. გაბლია იბრძოდა „მცირე მიწაზე“, ათავისუფლებდა ნოვოროსიისკს, ტამანის ნახევარკუნძულს, ყირიმს, უკრაინას, რუმინეთს. უფროსი სერჟანტი, ასეულის პარტორგი, ნაღმტყორცნის გათვლის მეთაური ხუთჯერ დაიჭრა და ხუთივეჯერ თავის ბრიგადაში დაბრუნდა.

1945 წლის მარტში ბრიგადა უნგრეთში იბრძოდა. სარდლობამ გერმანელთა ზურგში, სოფელ ტატის მახლობლად, აღნიშვნა 111-ზე დესანტი გადასხა. ნაღმტყორცნელთა მოსვლამ მსროლელები გაამხნევა. გაბლიას გათვლას მთელ ბრიგადაში სახელი ჰქონდა განთქმული.

მათ იმედი გაამართლეს. მედესანტეებმა გერმანელთა 18 კონტრშეტევა მოიგერიეს. 22 მარტს მტერმა გადამწყვეტი იერიში წამოიწყო. დესანტში ოფიცრები აღარ დარჩნენ. ვ. გაბლიამ ხელში აიღო ინიციატივა. იგი თავისი ბრიგადით მეწინავეთა რიგებში იყო. დესანტის მასირებულმა ცეცხლმა დაბნეულობა შეიტანა მტრის მოიერიშეთა რიგებში. ამ ბრძოლაში გაბლიას ნაღმტყორცნის გათვლამ 147 ჰიტლერელი მოკლა, თვით გათვლის მეთაურმა — 9.

გაბლიას წარდგინებაში გმირის წოდებაზე წერია: „მტკიცე თავდაცვით პარალიზება გაუკეთა მტერს, ქანცი გამოაცალა მის ძალებს, უზრუნველყო ქალაქ ესტერგომის დაკავება. დაჭრილმა არ დატოვა თავისი პოსტი და ანადგურებდა მტერს ჩვენს ჯარებთან შეერთებამდე“.

1946 წ. 15 მაისს უფროს სერჟანტ ვ. გაბლიას სსრკ გმირის წოდება მიენიჭა.

ჭიჭიკო ბენდელიანი

ჭიჭიკო ყაისარის ძე ბენდელიანი დაიბადა 1914 წელს დაბა ჩოხატაურში. კადრის ოფიცერმა, საავიაციოგამანადგურებელი ესკადრილიის მეთაურის მოადგილემ ჭ. ბენდელიანმა პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო 1941 წლის 22 ივნისს. დიდი სამამულო ომის ფრონტებზე გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისთვის დაჯილდოებული იყო ორი **ლენინის ორდენით**, **წითელი დროშისა** და **სამამულო ომის I ხარისხის ორდენებით.**

1941 წლის აგვისტოში უშიშარი მფრინავი მძიმედ დაიჭრა საჰაერო ბრძოლაში. მის მეგობრებს ეგონათ, რომ ჭიჭიკო მწყობრში ველარ დაბრუნდებოდა. მით უფრო დიდი იყო მათი სიხარული, როდესაც ცოტა ხანში ჭ. ბენდელიანი კვლავ დაბრუნდა თავის პოლკში და კვლავ აიჭრა ჰაერში მისი გამანადგურებელი.

მის გმირობასა და თავგანწირვაზე ხალხში იმ წლებში არაერთი ლექსი და სიმღერა შეიქმნა. ეს საყოველთაო სიყვარული და აღიარება იყო.

სად არ იბრძოდა იგი: სამხრეთ-დასავლეთ, სტალინგრადის და ცენტრალურ ფრონტებზე. ჯერ მფრინავად იყო, შემდეგ — ავიაესკადრილიის მეთაურის მოადგილედ, ავიაპოლკის შტურმანად. ჭ. ბენდელიანს არაერთ ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა და ყოველთვის გამარჯვებული გამოსულა. 1942 წლის 10 მაისს ხარკოვთან საჰაერო ბრძოლაში ჩვენი ოთხი თვითმფრინავი მტრის 24 მანქანას შეებრძოლა. 30 წუთი გრძელდებოდა ეს შერკინება. მოწინააღმდეგემ დაკარგა 3 თვითმფრინავი და გაიქცა. ჩვენი მფრინავები კი ყველა უკლებლივ დაბრუნდა აეროდრომზე.

1942 წლის ოქტომბერში ჭ. ბენდელიანმა და უფროსმა ლეიტენანტმა ბუბნოვმა ჩაატარეს საჰაერო ბრძოლა რიხტჰოფენის საჰაერო ესკადრის 8 თვითმფრინავთან. ამ ესკადრაში მხოლოდ საუკეთესო მფრინავებს, ეგრეთ წოდებულ ასებს იღებნენ. 25-წუთიან ბრძოლაში საბჭოთა მფრინავებმა ორი მესერშმიდტი ჩამოაგდეს.

მარტო სამხრეთ-დასავლეთსა და სტალინგრადის ფრონტებზე ჭ. ბენდელიანმა 385 საბრძოლო გაფრენა შეასრულა. მათ შორის მოწინააღმდეგის ჯარებზე იერიში 75-ჯერ ჩაატარა; მოწინააღმდეგის ჯარების დაზვერვა — 45-ჯერ; ბომბდამშენებისა და მოიერიშე თვითმფრინავების თანხლებაში 110-ჯერ იმყოფებოდა, საბჭოთა ჯარები ჰაერიდან 155-ჯერ დაიფარა. ამ პერიოდში 72 საჰაერო ბრძოლა ჩაატარა და პირადად ჩამოაგდო მტრის 7 თვითმფრინავი, ხოლო ჯგუფურ ბრძოლაში გაანადგურა 12. ამას გარდა, მოწინააღმდეგის აეროდრომებზე მიიტანა 4 იერიში და მტრის 3 თვითმფრინავი დაწვა.

ასეთი მონაცემებია მითითებული ქერჩის 54-ე გვარდიული გამანადგურებელთა საავიაციო პოლკის მეთაურის ჭ. ბენდელიანის წარდგინებაში საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაზე.

იმავე წარდგინებაში ვკითხულობთ: „ამხ. ბენდელიანი პირად შემადგენლობაში სარგებლობს განსაკუთრებით მაღალი ავტორიტეტით, როგორც მამაცი საჰაერო მებრძოლი, რომელიც მზად არის შეასრულოს ყველაზე პასუხსაგები დავალება.

როგორც ნაწილის შტურმანი ყველაფერს აკეთებს მფრინავთა შემადგენლობის სანავიგაციო მომზადების ამაღლებისთვის, დეტალურად არჩევს საშტურმანო მომზდების ყველა საკითხს თითოეულ მფრინავთან, რის შედეგად მფრინავთა საშტურმანო მომზადება მაღალ დონეზეა“.

1943 წლის 24 აგვისტოს ჭიჭიკო ბენდელიანს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ხოლო 1944 წლის 20 აგვისტოს კოვნოს მახლობლად უთანასწორო საჰაერო ბრძოლაში მაიორი ჭიჭიკო ბენდელიანი გმირულად დაიღუპა.

სოკრატე გალუსტაშვილი

სოკრატე ალექსის ძე გალუსტაშვილი დაიბადა 1920 წელს გორის რაიონის სოფელ უფლისციხეში. წითელი არმიის რიგებში 1940 წელს გაიწვიეს.

დიდი სამამულო ომის ფრონტზე გამოჩენილი გულადობისა და მამაცობისთვის დაჯილდოებულია **წითელი ვარსკვლავის** ორდენით.

იქ, სადაც დნეპრი შავ ზღვას უერთდება, მდინარის კალაპოტის ცვალებადობამ ეგრეთ წოდებული ლიმანები შექმნა. მათი სიღრმე და სიგანე ერთნაირი არ არის, მაგრამ ლიმანებს ერ-

თი აქვთ საერთო — მათი გადალახვა თითქმის შეუძლებელია. ლიმანებს შორის ყველაზე დიდი დნეპრის ლიმანია. მისი სიგანე ზოგიერთ ადგილზე 6-8 კილომეტრს აღწევს, სიღრმე კი 12-15 მეტრს არსად არ ჩამოუვარდება. 1944 წლის მარტში სწორედ ამ ლიმანს მიადგნენ პირველი გვარდიული გამაგრებული რაიონის ჯარები, რომელთა შემადგენლობაში იბრძოდა მე-8 ცალკე გვარდიული მეტყვიამფრქვევე-არტილერისტთა ათასეულის გვარდიის ჯარისკაცი, მეტყვიამფრქვევე სოკრატე გალუსტაშვილი.

სოკრატე ფრონტზე 1941 წლის აგვისტოდან იმყოფებოდა. უფლისციხეში, მტკვრის პირას გაზრდილმა ბიჭმა კარგად იცოდა, როგორ მატულობს მდინარე გაზაფხულზე. ცოტაც კიდევ რომ მოეცადათ, ლიმანის გადალახვა საერთოდ შეუძლებელი გახდებოდა, რადგან იქ რამდენიმე თვით ნამდვილი ზღვა გადაიშლებოდა.

ლიმანის მეორე მხარეს გერმანელების მიერ ძლიერ გამაგრებული სოფელი კასპეროვკა მდებარეობდა. საჭირო იყო სოფლის სწრაფი აღება. სოკრატე მეწინავეთა რიგებში იყო, როდესაც ნავები ნაპირს მიუახლოვდნენ, იგი პირველი გადახტა ნაპირზე და კასპეროვკისკენ შეუტია. მას სხვებიც მიჰყვნენ. თავზარდაცემულმა გერმანელებმა უკან დაიხიეს და სოფლის ერთი ნახევარი დატოვეს. მედესანტეებმა ცეცხლით უზრუნველყვეს მთელი ასეულის გადმოსვლა ნაპირზე, მალე კასპეროვკა მთლიანად გათავისუფლდა.

16 მარტს რუმინელთა ორი პოლკი არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ძლიერი ცეცხლის დახმარებით იერიშს აწარმოებდა სოფელ ეფიმოვკაზე. გვარდიის ჯარისკაცი ს. გალუსტაშვილი თავისი ტყვიამფრქვევით მარცხენა ფლანგზე იმყოფებოდა. მან პოზიცია ყველაზე წინ დაიკავა. მიუხედავად მტრის გააფთრებული ცეცხლისა, სოკრატეს ტყვიამფრქვევი მიბრჯენით ესროდა რუმინელებს. ვაზნები გაუთავდა, მარაგის მომტანი კი არ ჩანდა, რუმინელებმა შეამჩნიეს, რომ ტყვიამფრქვევი დადუმდა, მიხვდნენ, საქმე რაშიც იყო და მეტყვიამფრქვევის ცოცხლად ხელში ჩაგდება გადაწყვიტეს. რუმინელთა ოცეულმა ალყა შემოარტყა სოკრატეს პოზიციას. მაშინ მებრძოლთა ჯგუფი ს. გალუსტაშვილის მეთაურობით ხელჩართულ ბრძოლაზე გადავიდა. სოკრატემ გორული თავურით წააქცია რუმინელი უნტერ-ოფიცერი, დანით მოკლა იგი და მის იარაღს დაეუფლა. რუმინელთა ოცეული მთლიანად გაანადგურეს. მტრის იერიში ჩაიშალა.

მაგრამ რუმინელებს იმედი არ ჰქონდათ დაკარგული, პირველ იერიშს მეორე მოჰყვა, მერეს — მესამე, ბოლოს — მეოთხე. ამჯერად, რუმინელთა ორი ოცეული არტილერიის მხარდაჭერით წამოვიდა ს. გალუსტაშვილისკენ. დადგა გადამწყვეტი წუთები. სოკრატე ავტომატით აღიმართა და ხელყუმბარიანმა დაიძახა:

— ამხანაგებო, წინ, სამშობლოსთვის!

რუმინელ ჯარისკაცთა ორი ოცეულიდან ცოცხალი არც ერთი არ დარჩენილა. მარტო რუმინელთა ოთხი შეტევის დროს სოკრატემ მტრის 100 ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტა.

1944 წლის 3 ივნისს გვარდიის ჯარისკაცს, სოკრატე გალუსტაშვილს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. დემობილიზაციის შემდეგ ცხოვრობდა და მუშაობდა ქ. გორში.

შოთა გამცემლიძე

შოთა ლევანის ძე გამცემლიძე დაიბადა 1921 წელს ქ. თბილისში. დაამთავრა ქ. თბილისის 77-ე საშუალო სკოლა. 1941 წლის მაისში გაიწვიეს წითელი არმიის რიგებში. დაჯილდოებული იყო **მედლით „მამაცობისათვის“**.

1945 წლის 20 იანვარს მე-4 გვარდიული სმოლენსკის წითელდროშოვანი სუვოროვის ორდენის მოტომსროლელთა ბრიგადა ბრძოლებს ეწეოდა აღმოსავლეთ პრუსიის ქალაქ აულოვენის ასაღებად. ამ ბრიგადაში გვარდიის უმცროსი სერჟანტის წოდებით მსახურობდა ათეულის მეთაური, 24 წლის ჭაბუკი შოთა გამცემლიძე.

აღმოსავლეთ პრუსია გერმანული ფაშიზმის ერთ-ერთი ძირითადი დასაყრდენი პუნქტი იყო, სადაც თავდაცვის მძლავრ სისტემას გერმანელები წლების განმავლობაში აგებდნენ. მათი თავდაცვის სისტემაში ქ. აულოვენენს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. შოთა გამცემლიძემ ამ ქალაქში მოიმოქმედა გმირობა, რომელმაც უკვდავების შარავანდედით შემოსა იგი.

„მტერი მოძრავი ძალებით დიდ წინააღმდეგობას გვიწევდა. მიუხედავად იარაღის ყველა სახეობიდან ძლიერი ცეცხლისა, ქალაქში პირველი ტანკსაწინააღმდეგო თოფების ათეულის მეთაური, გვარდიის უმცროსი სერჟანტი გამცემლიძე თავის ათეულთან ერთად შეიჭრა და ტანკსაწინააღმდეგო თოფებით ცეცხლი გაუჩინეს მტრის ორ თვითმავალ ქვემეხს, დააზიანეს, აგრეთვე, ერთი ჯავშანტრანსპორტიორი. ისინი ცეცხლით უტევდნენ საბჭოთა ქვეითი ჯარის ათასეულს. მოწინააღმდეგის ცეცხლი დროებით შენელდა, ათასეული ქალაქში შევიდა და ბრძოლა ქუჩებში გაჩაღდა.

დღის მეორე ნახევარში ბრძოლა უფრო დაძაბული გახდა. გერმანელებმა მოიშველიეს ახალი ძალები — ტანკები და თვითმავალი ქვემეხები. ქალაქის დასავლეთ განაპირას ერთ-ერთ ქუჩაზე ათასეულს ძლიერ ცეცხლს უშენდა ორი „ფერდინანდი“ და „ვეფხვი“, რომლებიც წინსვლის საშუალებას არ იძლეოდნენ.

გვარდიის უმცროსმა სერჟანტმა გამცემლიძემ გადაწყვიტა, ხელი შეეწყო წინსვლისთვის, ჩუმად მიხოხდა მტრის მანქანებთან ახლო პოზიციაზე და ტანკსაწინააღმდეგო თოფის ზუსტი სროლით ცეცხლი წაუკიდა „ფერდინანდებს“. ორივე მანქანის ჯავშანზე ცეცხლი აგიზგიზდა და მოძრავი საცეცხლე წერტები განადგურდა. გმირი ჯავშანმსხვრეველის — გამცემლიძის სახეზე კმაყოფილების ღიმილმა გაიელვა. მაგრამ ჯავშანმსხვრეველს მოწინააღმდეგის მძიმე ტანკი „ვეფხვი“ არ ემორჩილებოდა, ტანკსაწინააღმდეგო თოფის ზუსტმა ცეცხლმა ტანკი მწყობრიდან ვერ გამოიყვანა.

გამცემლიძემ „ვეფხვთან“ ორთაბრძოლა არ მიატოვა. ახლა ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარა გაახსენდა. ერთი ხელყუმბარის აფეთქებით ტანკი მწყობრიდან არ გამოვიდა. ჯავშანმსხვრეველს ხელყუმბარები გამოელია. მან თავისი საცეცხლე პოზიცია ჩუმად დატოვა და ხელყუმბარებისთვის უკან, ამხანაგებისკენ გამოხოხდა.

ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარები კონად შეკრა და, როდესაც წინათ დაკავებულ ხელსაყრელ პოზიციაზე დაბრუნდა, გამცემლიძემ თანამებრძოლებს უთხრა: „ნახეთ, ახლა „ბატონი“ „ვეფხვი“ ჰაერში აფრინდებაო“.

გამცემლიძე ჩუმად მიხოხდა მტრის ტანკთან და ხელყუმბარების კონიანად ქვეშ შეუვარდა. გაისმა საშინელი აფეთქების ხმა. მტრის მძიმე ტანკი „ვეფხვი“ ჰაერში აფრინდა და გმირი მებრძოლი, გვარდიის უმცროსი სერჟანტი გამცემლიძეც თან აიყოლა.

ეს იყო 1945 წლის 20 იანვარს“...

ასე გვაცნობს შ. გამცემლიძის გმირობას დოკუმენტი, რომელიც საბჭოთა კავშირის გმირთა კარტოთეკაში ინახება.

1945 წლის 24 მარტს გვარდიის უმცროს სერჟანტს შოთა ლევანის ძე გამცემლიძეს სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ვლადიმერ გვანცელაძე

ვლადიმერ ვასილის ძე გვანცელაძე დაიბადა 1919 წელს წყალტუბოს რაიონის სოფელ უკანეთში. წითელი არმიის რიგებში 1942 წელს გაიწვიეს. დაჯილდოებულია **მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“.**

ვლადიმერ გვანცელაძე იყო ჩუმი, წყნარი ხასიათის ადამიანი, რომელიც უსიტყვოდ ასრულებდა დავალებას და ორი სიტყვით მოახსენებდა მეთაურებს: ბრძანება შესრულებულია. ხშირად ამ ორი სიტყვის უკან გმირობა და თავდადება იმალებოდა.

ასე იყო 1943 წლის სექტემბერშიც. ეს იყო დრო, როდესაც წითელი არმია დნეპრის გადალახვისთვის იბრძოდა. მესანგრეებმა ბორანი გააკეთეს, მეომრებისა და ტექნიკის გადაყვანას შეუდგნენ დნეპრის მარჯვენა ნაპირზე.

რამდენიმე დღე-ღამე ვ. გვანცელაძე წელამდის წყალში მკლავმოუღლელად მუშაობდა ბორანზე. მას ბორნის მოძრაობის უზრუნველყოფა ჰქონდა დავალებული. ვლადიმერმა პირველ ღამესვე მტრის ძლიერი ცეცხლის ქვეშ გადაიყვანა დასავლეთ ნაპირზე 15 ქვემეხი თავისი ჭურვებითა და გათვლებით. იგი მარჯვედ, გამოცდილი მეზღვაურივით მანევრირებდა დნეპრის ზედაპირზე. ჭურვები და ნაღმები ზედიზედ ფეთქდებოდა. ვლადიმერი ხან დააჩქარებდა ბორანის მოძრაობას, ხან კი შეანელებდა, ამით კი მტრის არტილერისტებს მიზნის ამოღებაში ხელს უშლიდა.

ვ. გვანცელაძემ 113 რეისი გააკეთა, მის სიცოცხლეს 113-ჯერ დაემუქრა საფრთხე, მაგრამ გულადი მებრძოლი საფრთხეზე როდი ფიქრობდა. დასავლეთ ნაპირზე სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობდა და მედესანტეები დახმარებას მოითხოვდნენ. იმ დღეებში ვლადიმერმა მდინარის მეორე მხარეს 1295 მსროლელი გადაიყვანა. ეს მთელი ასეულია; გადაზიდა 36 ტონა სურსათი — მედესანტეებს ტყვიაწამლის გარდა, საჭმელიც სჭირდებოდათ, გადაიტანა კიდევ 8 ქვემეხი და ჯავშანმსხვრეველთა ქვეგანაყოფი თავის ტანკსაწინააღმდეგო თოფებით, ხოლო აქეთ, მარცხენა ნაპირზე, 80 დაჭრილი გადმოიყვანა.

მტრის ცეცხლმა ბორანი ორჯერ დააზიანა, მაგრამ ვლადიმერს მოძრაობა არ შეუწყვეტია.

29 სექტემბერს ბორანი მტრის ტყვიამფრქვევის ცეცხლის ქვეშ მოხვდა. ვლადიმერი ბორანზე ყოველგვარი საფარის გარეშე იდგა. ოთხი ტყვია, რომლებიც ბორანს მოხვდა, შეიძლება მისთვის საბედისწერო ყოფილიყო. მიუხედავად ამ საფრთხისა, მან ქვემეხი და მისი გათვლა მეორე მხარეს გადაიტანა და იმ წუთშივე უკან გამობრუნდა.

11 ოქტომბერს მას ბორანზე 19 მეომარი ჰყავდა. გერმანელებმა არტილერიის ძლიერი ცეცხლი დაუშინეს. ვლადიმერის მანევრირებამ საქმეს ამჯერად ვეღარ უშველა. ერთ-ერთი ჭურვი ბორანთან ძალიან ახლოს აფეთქდა. მამაცი ჯარისკაცი მძიმედ დაიჭრა ფეხში, ბორანმა კი გეზი დაკარგა. თითქოს დაღვპვა გარდაუვალი იყო, მაგრამ ვ. გვანცელაძემ უკანასკნელი ძალები მოიკრიბა, ერთხელ კიდევ შეეჭიდა დნეპრის ტალღებს, მოხერხებულად შემოაბრუნა ბორანი და იგი კვლავ მარცხენა ნაპირს მიაყენა. ბორანი და 19 მეომარი გადარჩა.

წითელარმიელ ვლადიმერ ვასილის ძე გვანცელაძეს 1944 წლის 3 ივნისს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

91-ე არმიის საინჟინრო ათასეულში, სადაც ვ. გვანცელაძე მესანგრედ მსახურობდა, მთავრობის ეს მაღალი ჯილდო არავის გაჰკვირვებია. ვალმოხდილი მეომარი ომის შემდგომ მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა.



გიორგი გოცირიძე

გიორგი გიორგის ძე გოცირიძე დაიბადა 1910 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ ყანდაურაში. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ახალგაზრდა არქიტექტორი სწავლობდა მოსკოვის კომუნალური მეურნეობის აკადემიაში. 1939 წელს მიენიჭა დოცენტის წოდება. დიდი სამამულო ომის ფრონტებზე მოპოვებული წარმატებებისათვის მაიორი გ. გოცირიძე დაჯილდოებულია **სამამულო ომის I ხარისხისა** და **ორი წითელი ვარსკვლავის ორდენებით**.

ახალგაზრდა ინჟინერი გიორგი გოცირიძე დიდი სამამულო ომის დაწყებიდანვე გაიწვიეს წითელი არმიის რიგებში და სამხედრო-საინჟინრო აკადემიაში გაგზავნეს. აქ მესანგრის პროფესიას დაეუფლა.

გ. გოცირიძემ პირველი საბრძოლო ნათლობა 1942 წელს მიიღო. მესანგრეთა ათასეული მისი მეთაურობით

გმირულად იბრძოდა სტალინგრადისთვის.

ქართველმა ოფიცერმა საბრძოლო გზა სტალინგრადიდან გერმანიამდე განვლო. მან თავი ისახელა მდინარე დონის გადალახვისას. მის ათასეულს დაევალა მდინარეზე გადასასვლელის სასწრაფოდ აგება. მტრის არტილერია გასაქანს არ აძლევდა მესანგრეებს, მაშინ ათასეულის მეთაურმა გადაწყვიტა, რამდენიმე ადგილას დაეწყო გადასასვლელის აგება. მტერი მოტყუვდა და ცეცხლი იქით კი არ წარმართა, სადაც ნამდვილად აგებდნენ გადასასვლელს, არამედ იქით, სადაც მუშაობა თვალის ასახვევად წარმოებდა. ჩვენმა სატანკო ნაწილებმა მტრისგან ფარულად, გ. გოცირიძის მიერ აგებული გადასასვლელის დახმარებით, გადალახეს მდინარე დონი და გერმანელებს მოულოდნელად დაარტყეს.

გ. გოცირიძის საბრძოლო ცხოვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდია მტრის ზურგში რკინიგზის ხიდის აფეთქება. გ. გოცირიძის მეთაურობით 150 მესანგრე მტრის ზურგში გაიჭრა და ბრძოლით გაიკაფა გზა ხიდისკენ.

გმირობა, გამბედაობა და მოხერხებულობა გამოიჩინა მან, ასევე, დნეპრის გადალახვისას. მტრის ორი დივიზია 130 ქვემეხის დახმარებით გასაქანს არ აძლევდა ჩვენს ჯარებს აეგოთ გადასასვლელი და დნეპრით გადასულიყვნენ. მესანგრეთა ათასეულის მეთაურმა გადასასვლელის ასაგებად ისეთი ადგილი ამოირჩია, სადაც მტერი საინჟინრო ნაგებობის მშენებლობას არ მოელოდა.

ამასთან, მზვერავებმა აღმოაჩინეს მტრის ჯავშნიანი კატარღების ბაქანი, რომლის მოსპობაც ჩვენი ჯარების უხიფათო გადასვლას უზრუნველყოფდა. ინჟინერმა გოცირიძემ მესანგრეებს დიდი ფეთქებადი ძალის მცურავი ფუგასური ნაღმები დაამზადებინა. ზუსტად გაიანგარიშა მდინარის სიჩქარე, დინების მიმართულება. ღამით მესანგრეებმა მდინარეს გაატანეს მცურავი ნაღმები, რომლებიც დაეჯახნენ ჯავშნიანი კატარღების ბაქანს და ერთიანად გაანადგურეს. შეშინებულმა მტერმა ვერ გაარკვია, თუ როგორ და რა საშუალებით განადგურდა ბაქანი, და დნეპრის ნაპირი სწრაფად დატოვა. ამით ისარგებლეს ჩვენებმა. გადასასვლელიც ააგეს და მდინარეც გადალახეს.

საბჭოთა ოფიცერმა გმირულ ბრძოლებში თავდადებითა და მამაცობით, მოხერხებულობითა და საზრიანობით სამშობლო ასახელა.

1943 წლის 25 ოქტომბერს გვარდიის მაიორს გიორგი გოცირიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა.

დემობილიზაციის შემდეგ გიორგი გოცირიძე მოსკოვის ოლქის მთავარ არქიტექტორად მუშაობდა. მშვიდობიანი შრომის პერიოდში დაჯილდოვდა **ლენინის ორდენით**.

ამირან დანელია

ამირან იოსების ძე დანელია დაიბადა 1923 წელს ქ. ფოთში. ომამდე მუშაობდა ნავსადგურში. წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს 1942 წელს.

ამირან დანელია 1945 წლის იანვარში, როდესაც საბჭოთა ჯარები დასავლეთის ფრონტზე ძლიერ შეტევაზე გადავიდნენ, 53-ე გვარდიული ფასტოვის წითელდროშოვანი ბოგდან ხმელნიცკის ორდენის სატანკო ბრიგადის მეორე სატანკო ათასეულში ტანკის მსროლელ-მეტყვიამფრქვევედ მსახურობდა. იგი მეწინავეთა რიგებში იმყოფებოდა. სოფელ შჩიტისთვის ბრძოლაში ამირანმა ტანკის ტყვიამფრქვევის ცეცხლით 23 ფაშისტი მოსპო. 20 იანვარს კი მისმა მამაცობამ მთელი 1-ლი უკრაინის ფრონტი აალაპარაკა.

იმ დღეს ამირანის ტანკი დაზვერვაში იმყოფებოდა. მოწინააღმდეგემ საბჭოთა ტანკი აღმოაჩინა და მისი მოსპობა გადაწყვიტა; პოლონეთის ქ. ვერშუვთან საბჭოთა ტანკის ძლიერი საარტილერიო და სატანკო ცეცხლი გადაეღობა. უკან დახევის გზა არ იყო. ტანკის მეთაურმა ეკიპაჟთან მცირე თათბირის შემდეგ წინსვლა გადაწყვიტა. მაქსიმალური სისწრაფით დაიძრა წინ „ტ-34“. ეკიპაჟი ცეცხლს ყველა საშუალებით უშენდა. ტანკი პატარა ვულკანს ჰგავდა. წინ მდინარე პროსნა დაუხვდათ. ტანკმა მთელი სიჩქარით გადალახა მდინარე და გერმანიის ტერიტორიაზე, ქალაქ ვილჰელმსბრიუკეს გარეუბანში პირველი შეიჭრა.

ეკიპაჟს ერთი მიზანი ამოძრავებდა: გადაერჩინა ტანკი და რაც შეიძლება მეტი ფაშისტი დაეხოცა. მტრის ტანკებისა და არტილერიის წინააღმდეგ, ერთადერთი ტანკი გმირულად იბრძოდა. გერმანელთა ქვემეხის ჭურვმა ტანკი შეაზანზარა. ტანკის მეთაური და არტილერისტი არ პასუხობდნენ. ამირანმა შეამოწმა მდგომარეობა, აღმოჩნდა, რომ ორივე მკვდარი იყო. მან თავის თავზე აიღო ტანკის მეთაურობა. არტილერისტიც შეცვალა.

ამ ბრძოლაში ამირან დანელიამ მოსპო გერმანელთა ერთი „ვეფხვი“, ორი თვითმავალი ქვემეხი „ავაზა“, ორი ქვემეხი და 50-მდე ჰიტლერელი.

ბრძოლა გრძელდებოდა. მთელი ეკიპაჟიდან ცოცხალი ორი კაცი ღა დარჩა — თვითონ ამირანი და ტანკის მძღოლი. მეორე ჭურვმა მძღოლიც მოკლა, ტანკს კი ცეცხლი წაეკიდა. ამირანმა მძღოლის ადგილას გადაინაცვლა. ძრავა გასინჯა. ტანკი მოძრაობდა, მაგრამ ველარ ისროდა. ამირანს ორი საქმის ერთდროულად გაკეთება არ შეეძლო. მაშინ გადაწყვიტა, იარაღად ტანკის მასა გამოეყენებინა და ალმოდებული ტანკი მტრის ქვემეხებისკენ გააქანა. გერმანელი არტილერისტები დამფრთხალი კურდღლებივით გარბოდნენ. ამირანმა გერმანელთა ქვემეხები ტანკის მუხლუხებით მოსპო. ვერც მათმა გათვლებმა გაასწრეს შურისძიებით აღგზნებულ ტანკისტს. ცეცხლი ძლიერდებოდა. საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება. ამირანმა გამოიყვანა ტანკი ბრძოლის ველიდან, მოფარებული ადგილი მოძებნა და ტანკი გააჩერა. ცეცხლს მიწა მიაყარა, კომბინეზონი გაიძრო და ცეცხლს გადააფარა. ცეცხლი შენელდა და ჩაქრა. გარუჯული, გაბოლილი ტანკი კვლავ მწყობრში ჩადგა, კვლავ მზად იყო ბრძოლისთვის.

1945 წლის 10 აპრილს გვარდიის უფროს სერჟანტს ამირან იოსების ძე დანელიას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

იგი შინ ცოცხალი დაბრუნდა.

ალექსანდრე კანანაძე

ალექსანდრე გიორგის ძე კანანაძე დაიბადა 1916 წელს ქ. კროპოტკინში. I რანგის კაპიტანი ა. კანანაძე სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტში 1937 წლიდან მსახურობდა; დაჯილდოებულია **სამამულო ომის II ხარისხისა** და **ორი წითელი ვარსკვლავის ორდენებით.**

დიდმა სამამულო ომმა მას სატორპედო კატარღის მეთაურის თანამდებობაზე მოუსწრო. ომის პირველ ხანებში მას დავალებული ჰქონდა მტრის მოულოდნელი თავდასხმების მოსაგერიებლად ბადრაგად ხლებოდა სატვირთო და სადესანტო გემებს.

1941 წლის 31 დეკემბერს 5-6-ბალიან შტორმისას ლეიტენანტი ალექსანდრე კანანაძე თითქმის 12 საათის განმავლობაში დარაჯობდა ფოთის ნავსადგურში რეიდზე მდგარ კრეისერს.

1943 წლის ივნისსა და ივლისში მამაცი მეთაური თავისი კატარღებით არაერთხელ შეიპარა მოწინააღმდეგის მიერ დაკავებული ნავსადგურების მისადგომებთან და ჩააწყო მაგნიტური ნაღმები, რომლებმაც შემდეგ დიდი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს.

1943 წლის 24 აპრილს ღამით უფროსი ლეიტენანტი ალექსანდრე კანანაძე მიაცილებდა ტრანსპორტს, რომელსაც „მცირე მიწის“ გარნიზონისთვის სურსათ-სანოვაგე და საბრძოლო იარაღი მიჰქონდა. ამ დროს მათ გზაზე შეხვდა მტრის 4 ხომალდი, რომლებიც შეეცადნენ, იერიში მიეტანათ ჩვენს ქარავანზე. მიუხედავად რიცხობრივი უპირატესობისა, ალექსანდრე კანანაძემ მედგრად შეუტია მომხდურებს და დახმარების მოსვლამდე უზრუნველყო ძვირფასი ტვირთის უსაფრთხოება. გმირი მეზღვაური „მცირემიწელებთან“ 10-ჯერ იყო მისხაკოს რაიონში. იგი აქტიურად მონაწილეობდა ნოვოროსიისკის ოპერაციებში და ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლებისთვის ბრძოლების დროს მლაშე ტბის რაიონში დესანტის გადასხმაში.

1943 წლის 23 ოქტომბრის ღამით ალექსანდრე კანანაძე თავისი სატორპედო ყატარღების რაზმით მოულოდნელად თავს დაესხა ფეოდოსიის ნავსადგურს და დიდი ზარალი მიაყენა მტერს.

ქერჩის ოპერაციების მიმდინარეობისას ალექსანდრე კანანაძემ ელტიგენის რაიონში გადაიყვანა სახელგანთქმული მე-18 სადესანტო არმიის გმირი მედესანტეები, კამიშ-ბურუნის რაიონში მტრის ორი გემი ჩაძირა და, მიუხედავად გერმანელთა არტილერიის გრიგალისებური ცეცხლისა, თავისი საქმის დიდოსტატმა შეძლო მოქნილი მანევრირებით უდანაკარგოდ თავის ბაზაში დაბრუნება.

1944 წლის 27 აპრილს ღამით სევასტოპოლის განთავისუფლებისთვის ბრძოლებისას უფროსმა ლეიტენანტმა ალექსანდრე კანანაძემ შუა ზღვაში შენიშნა მტრის გემების ქარავანი. იგი არ შეუშინდა მოწინააღმდეგის ხომალდებს, რომლებიც ქარავანს ბადრაგად მოჰყვებოდნენ, შეიჭრა მათ განლაგებაში და ჩაძირა 5000 ტონა წყალწყვის ტრანსპორტი.

მამაც მეზღვაურს, უფროს ლეიტენანტს ალექსანდრე კანანაძეს 1944 წლის 16 მაისის ბრძანებულებით მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. სიკვდილამდე ცხოვრობდა ქ. სევასტოპოლში.

ვლადიმერ კანკავა

ვლადიმერ ალექსანდრეს ძე კანკავა დაიბადა 1913 წელს გეგეჭკორის რაიონის სოფელ სერგიეთში. ომის წინ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი.

392-ე მსროლელთა ქართული დივიზიის 673-ე მესანგრეთა ცალკე ათასეულის კომისარი, პოლიტხელი ვლადიმერ კანკავა ათასეულის ყველა მებრძოლის სული და გული იყო.

1942 წლის 9 სექტემბერს სპეციალურმა რაზმმა თავისი მოქნილი მოქმედებით გაარღვია მოწინააღმ-

დეგის თავდაცვა და ფაშისტებისგან გაათავისუფლა სოფელი პოკროვსკოე, მტერი დამარცხებას ვერ შეურიგდა და შედარებით მცირერიცხოვანი რაზმის წინააღმდეგ წამოიყვანა 1000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, რომელთაც წინ რამდენიმე ათეული ტანკი წამოუმძღვარა. რაზმი ალყაში მოექცა. ვლადიმერ კანკავამ წრიული თავდაცვა მოაწყო. კომისრის გმირობითა და ვაჟკაცობით აღფრთოვანებული მებრძოლები მომხდურებს სალ კლდესავით დაუდგნენ.

ძალთა უთანასწორობამ მაინც თავისი გაიტანა. ერთ ადგილზე მტერმა თავდაცვის გარღვევა შეძლო. ამ მიმართულებით მტრის ორ ასეულს 5 ტანკი მოჰყვებოდა. ძალზე რთული მდგომარეობა შეიქმნა. ამ დროს ვლადიმერ კანკავამ ტანკსაწინააღმდეგო თოფს დაავლო ხელი, წინ, მოწინააღმდეგის ტანკების შესახვედრად გავიდა და 50 მეტრის მანძილიდან გამანადგურებელი ცეცხლი გაუხსნა. მტრის ორ ტნკს პირველი სროლისთანავე ცეცხლი წაუკიდა, დანარჩენები შეშინდნენ და პირი იბრუნეს.

„სამშობლოსთვის, სტალინისთვის!“ — დაიძახა პოლიტხელმა და თავისი რაზმი იერიშზე წაიყვანა. მოწინააღმდეგე ამას აღარ მოელოდა. მის რიგებში არეულობა შეიქმნა. მტრის მრავალი მოკლული ჯარისკაცი და ოფიცერი დარჩა ბრძოლის ველზე. მაგრამ ამ ბრძოლაში მამაცი პოლიტხელიც გმირის სიკვდილით დაეცა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 13 დეკემბრის ბრძანებულებით პოლიტხელ

ვლადიმერ ალექსანდრეს ძე კანკავას სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ცხოვრობდა ქ. სევასტოპოლში.

სერგო კეთილაძე

სერგო პოლიკარპეს ძე კეთილაძე დაიბადა 1910 წელს ქ. ზესტაფონში. წითელი არმიის რიგებში იმყოფებოდა 1927 წლიდან.

მონაწილეობდა იაპონელი იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლებში ხასანის ტბასთან. მაიორი ს. კეთილაძე 1942 წელს დაჯილდოვდა **წითელი დროშის ორდენით.**

ომის დაწყებიდანვე მიიპყრო სარდლობის ყურადღება ახალგაზრდა, მზარდმა მეთაურმა. იგი ბრძოლებში გულადობისა და ვაჟკაცობის გამოჩენისთვის 1942 წელს **წითელი დროშის ორდენით** დააჯილდოეს, ხოლო იმვე წლის 18 მარტს 31 წლის მაიორი მ-4 მსროლელთა გვარდიული კორპუსის 32-ე ცალკე მსროლელთა ბრიგადის მეთაურად დააწინაურეს.

ბრიგადა მეორე დღეს, 1942 წლის 19 მარტს, იერიშზე გადავიდა და სოფელი მალინოვკა გაათავისუფლა.

მაიორმა სერგო კეთილაძემ შენიღბული მოქმედებით მოახერხა ახალ საბრძოლო პოზიციებზე ბრიგადის გადაყვანა და სრულიად მოულოდნელად თავს დაესხა მოწინააღმდეგეს. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ, 1942 წლის 21 მარტს დილის 8 საათისთვის გაათავისუფლა დასახლებული პუნქტები დიდვინო და მილაევკა.

მტერმა თავქუდმოგლეჯით დაიხია უკან და მხოლოდ ერთადერთი საწყობის გადაწვა მოასწრო, სხვა ყველა სამხედრო საჭურველი და ტექნიკა ხელთ იგდეს კეთილაძის მებრძოლებმა. მსროლელთა ბრიგადა ამით არ დაკმაყოფილდა, მტერს უკან დაედევნა და სოფელი კოროდინი გაანთავისუფლა.

ამ შესანიშნავი საბრძოლო მოქმედებით ბრიგადის მეთაურმა ძალზე მცირე დანაკარგებით მოახერხა არმიისა და კორპუსის სარდლობების ბრძანების დროულად შესრულება, რითაც წარმატებათა მოპოვება გაუადვილა თავის მეზობელ მე-3 მსროლელთა გვარდიულ დივიზიას.

გონსმოსული მოწინააღმდეგე საკმაოდ ჭარბი ძალებით გადმოვიდა კონტრიერიშზე. პირდაპირი იერიშით რომ არაფერი გამოუვიდათ, მოწინააღმდეგის სარდლობამ გადაწყვიტა დასავლეთიდან, სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ერთდროულად შეეტიათ და ალყაში მოექციათ ბრიგადა. მტრის იერიშს წინ უძღოდა მძლავრი საარტილერიო მომზადება, ხოლო შემდეგ ბრძოლაში ტანკები და ავიაციაც გამოიყენა.

ამ იერიშების დროს მტრის ყოველი ცდა ამაო გამოდგა. მან 1000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა. 1942 წლის 1 აპრილს მტერმა ისევ იერიში განაახლა. უშიშარი მეთაური ბრიგადის მეწინავე პოზიციებზე იმყოფებოდა. იგი ფეხში დაიჭრა, მაგრამ საკომანდო პუნქტზე დარჩა და ბრძოლის ხელმძღვანელობას განაგრძობდა. ბრძოლა თანდათან ცხარე ხასიათს იღებდა. საკომანდო პუნქტთან მტრის ნაღმი გასკდა და რაინდი მეთაურის სიცოცხლე შეწყვიტა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **1943 წლის 10 თებერვლის ბრძანებით 32-ე მსროლელთა ბრიგადის მეთაურს სერგო კეთილაძეს სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.**

ერმალოზ კობერიძე

ერმალოზ გრიგოლის ძე კობერიძე დაიბადა 1904 წელს ონის რაიონის სოფელ ცხმორში. საბჭოთა არმიის რიგებში იმყოფებოდა 1922 წლიდან. დიდი სამამულო ომის დაწყებას შეხვდა სსრ კავშირის დასავლეთის საზღვართან და ომი ბერლინში დაასრულა.

გენერალ-მაიორი ე. კობერიძე დაჯილდოებული იყო **ორი ლენინის ორდენით, ხუთი წითელი დროშის, სუვოროვის II ხარისხისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ორდენებით.**

117-ე მსროლელთა დივიზიის მეთაური, გენერალ-მაიორი ერმალოზ კობერიძე თავისი შენაერთით ერთ-ერთი პირველი მიადგა ფაშისტთა უკანასკნელ იმედს — მდინარე ვისლას, რომლის სანაპიროებიც მტერს საგულდაგულოდ ჰქონდა გამაგრებული.

1944 წლის 27 ივლისს, შუაღამისას საარტილერიო მომზადების შემდეგ ერმალოზ კობერიძის მებრძოლთა ერთმა ჯგუფმა ბრძოლით გადალახა მდინარე, დაიკავა პლაცდარმი ვისლის დასავლეთ ნაპირზე და მაშველი ძალების მოსვლამდე შეინარჩუნა იგი. 28-29 ივლისს, ღამით გენერალმა, რომელიც თავის დივიზიის მეწინავე რაზმების განლაგებაში იმყოფებოდა, ორი ათასეული და მეავტომატეთა ასეული მიაშველა პლაცდარმის დამცველებს. მაშველთა ძალებმა სიმაღლე 171,3-ის აღმოსავლეთი კალთა დაიკავეს, ხოლო პლაცდარმი ფრონტით 500 მეტრამდე და სიღრმით 300 მეტრამდე გაზარდეს.

მიუხედავად მტრის უსასტიკესი წინააღმდეგობისა, გამჭრიახმა გენერალმა 30 და 31 ივლისს მოახერხა დივიზიის ყველა ნაწილის გაყვანა მდინარის გაღმა. მთლიანად დაიკავა სიმაღლე 171,3 და ვოიშინის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, პლაცდარმის სიგრძე გაზარდა ორ კილომეტრამდე, ხოლო სიღრმე — ერთ კილომეტრამდე. მამაცმა გენერალმა ამ ბრძოლაში არა მარტო მიუვალი მდინარე გადალახა, ბრძოლით მიეშველა, აგრეთვე, მის მეზობელ 370-ე მსროლელთა დივიზიას მოწინააღმდეგის გამაგრებულ პუნქტ ნასილუვის აღე-

ბაში, რითაც პლაცდარმის სიგრძე სამ კილომეტრამდე გაზარდა.

სამდღიან ბრძოლებში ერმალოზ კობერიძის დივიზიამ ცოცხალი ძალის აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა მოწინააღმდეგეს, დახოცა მტრის 2300 ჯარისკაცი და ოფიცერი. გარდა ამისა, ტყვედ იგდო მტრის 124 ჯარისკაცი და ოფიცერი, რვა 75-მილიმეტრიანი ქვემეხი, ყველა სახის 38 ტყვიამფრქვევი, რვა ნაღმსატყორცნი, 86 ავტომატი, 306 შაშხანა, რვა საზენიტო ქვემეხი, 105-მილიმეტრიანი ქვემეხი, 3 ავტომანქანა, 470 ქვემეხის ჭურვი და ნაღმი, 38 ათასზე მეტი ვაზნა, საჭურვლისა და იარაღის საწყობები.

ამ მამაცური მოქმედებისთვის 117-ე მსროლელთა დივიზია **წითელი დროშის ორდენით** დაჯილდოვდა, ხოლო მის ნიჭიერ მეთაურს, გენერალ მაიორ ერმალოზ კობერიძეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოთა პრეზიდიუმის **1945 წლის 6 აპრილის ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.** გარდაიცვალა 1974 წელს.

სერგო კობლოვი

სერგო კონსტანტინეს ძე კობლოვი დაიბადა 1915 წელს ყაზბეგის რაიონის სოფელ უხათში. ეროვნებით ოსია. პოდპოლკოვნიკი ს. კობლოვი დაჯილდოებული იყო **ლენინის ორდენითა** და **წითელი დროშის ორდენით**.

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე უშიშარი საჰაერო „ასის“ სახელი გაითქვა მფრინავმა სერგო კობლოვმა, რომელიც ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე ჩაირიცხა სსრ კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალების ერთ-ერთ შენაერთში.

იგი საომარი მოქმედების პირველი დღეებიდანვე ჩაება მომხდურ მტერთან ბრძოლაში, სადაც თავი გამოიჩინა როგორც უშიშარმა მფრინავმა, ნებისყოფიანმა და ხელქვეითებზე მზრუნველმა მეთაურმა. მან გაჭირვებაში მყოფი თანამებრძოლის მდგომარეობიდან გამოსაყვანად არა ერთხელ ჩაიყენა თავი სფრთხეში.

სარდლობამ შენიშნა ახალგაზრდა მფრინავის ეს თვისებები და უფროსი ლეიტენანტი ს. კობლოვი 105-ე საავიაციო დივიზიის 182-ე გამანადგურებელი საავიაციო პოლკის მეთაურად დააწინაურა.

ომის დაწყებიდან 1942 წლის 21 სექტემბრამდე საავიაციო პოლკის ახალგაზრდა მეთაურმა 17 საჰაერო ბრძოლაში მიიღო, მონაწილეობა და პირადად მტრის 9 თვითმფრინავი ჩამოაგდო.

1942 წლის აპრილში სერგო კობლოვი თავისი პოლკის 6 მფრინავთან ერთად მონაწილეობდა მტრის ღრმა ზურგში განლაგებული აეროდრომის იერიშში, სადაც გაანადგურეს მოწინააღმდეგის 13 თვითმფრინავი, რომლებიც ჩვენი ერთ-ერთი მსხვილი სამხედრო-სამრეწველო ობიექტის დასაბომბად იყო მომზადებული. სერგო კობლოვი თავის მეგობრებთან ერთად ხან ჩვენს ბომბდამშენ ავიაციას აცილებდა მტრის ღრმა ზურგში სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების დასაბომბად, ხან — ფაშისტთა თვითმფრინავების ცალკეულ ჯგუფებზე ნადირობდა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **1943 წლის 14 თებერვლის ბრძანებულებით სერგო კობლოვს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.** მფრინავი-გამომცდელი ს. კობლოვი გარდაიცვალა 1954 წლის 17 ივნისს.

სარდიონ კოზონოვი

სარდიონ დავითის ძე კოზონოვი დაიბადა 1911 წელს ქარელის რაიონის სოფელ სუქანაანთუბანში. ეროვნებით ოსია.

მეტყვიამფრქვევეთა ათეულის მეთაურმა მდინარე დნეპრის გადალახვისთვის ბრძოლებში დიდი მოხერხებულობა, საზრიანობა და გამჭრიახობა გამოიჩინა, მტრის გრიგალისებური ცეცხლის ქვეშ მამაცმა მეთურმა უდანაკარგოდ გადაიყვანა

ათეული მდინარის დასავლეთ ნაპირზე და ჩასანგრებულ ფაშისტებს ცეცხლი გაუხსნა ტყვიამფრქვევებით. ამით დაიცვა თავისი ათასეულის მარჯვენა ფლანგი, რომელიც ამ დროს მდინარეზე გადმოდიოდა.

სარდიონ კოზონოვის მეტყვიამფრქვევეთა ათეულის ხელშეწყობით ათასეულმა შეძლო გაეფართოებინა პლაცდარმი, აეღო სიმაღლე 134,5 და განევითარებინა იერიში სოფელ ბივალკის მიმართულებით.

17 და 18 ოქტომბერს მტერი არაერთგზის გადმოვიდა კონტრიერიშზე. იგი დაკარგული პოზიციების დაბრუნებას ცდილობდა. სარდიონ კოზონოვის მეტყვიამფრქვევეებმა ენერგიული და ვაჟკაცური მოქმედებით ყველა იერიში მოიგერიეს.

საბრძოლო დავალების ბრწყინვალედ შესრულებისთვის, ამასთან, გმირობისა და მამაცობის გამოჩენისთვის მას **1943 წლის 30 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.**

გრიგოლ სამხარაძე

გრიგოლ სევასტის ძე სამხარაძე დაიბადა 1917 წელს ხაშურის რაიონის სოფელ წაღველში.

წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს 1941 წლის 23 ივნისს. დაჯილდოებულია **მედლით „მამაცობისათვის“.**

სერჟანტი სამხარაძე ანაპის 414-ე წითელდროშოვან ქართულ მსროლელთა დივიზიის მიერ ჩატარებულ ყველა საბრძოლო ოპერაციაში მონაწილეობდა.

ფაშისტ დამპყრობთაგან ჩრდილოეთ კავკასიის განთავისუფლების შემდეგ დივიზია ყირიმის ნახევარკუნძულზე იბრძოდა. ამ ბრძოლებში თავი გამოიჩინა გრიგოლ სამხარაძემ. იგი თავისი დაზგის ტყვიამფრქვევით მუსრს ავლებდა მტრის ჯარისკაცებს. 164,5 სიმაღლისთვის ბრძოლისას გრიგოლმა მტრის სამი საცეცხლე წერტი მოსპო.

დივიზია სევასტოპოლის განთავისუფლებისთვის იბრძოდა. საპუნგორას რაიონში მტერმა ღია პოზიციებზე გადმოიყვანა ორი ქვემეხი და სროლა დაიწყო. გრიგოლ სამხარაძე მოწინააღმდეგეს ფლანგიდან 150 მეტრზე მიუახლოვდა და ტყვიამფრქვევის ზუსტი ცეცხლით ორივე ქვემეხის საბრძოლო გათვლა გაანადგურა. მამაცი მეტყვიამფრქვევის გულადი საქციელით აღფრთოვანებული ჩვენი მებრძოლები იერიშზე გადავიდნენ, მტრის სანგრებში შეიჭრნენ და ხელჩართულ ბრძოლაში ასამდე ფაშისტი გაანადგურეს. გერმანელი ჯარისკაცების ერთმა ნაწილმა თავის შველა გაქცევით სცადა, მაგრამ გ. სამხარაძემ ტყვიამფრქვევის ცეცხლი გაუხსნა უკუქცეულებს. ბრძოლის ველზე მტრის 18 ჯარისკაცი და ერთი ოფიცერი დარჩა.

ერთ-ერთ ბრძოლაში გ. სამხარაძეს ტყვიამფრქვევი დაუზიანდა. ამ დროს მან მოწინააღმდეგის სანგარში მტრის ტყვიამფრქვევი შენიშნა. გრიგოლი ხელყუმბარებითა და ავტომატით შეიარაღებული მიხოხდა მტრის სანგართან, ხელყუმბარები ისროლა. შემდეგ ჩახტა სანგარში, ცოცხლად გადარჩენილი ორი გერმანელი ჯარისკაცი დაახრჩო და მათივე ტყვიამფრქვევით ცეცხლი გაუხსნა გერმანელებს. თავზარდაცემული ფაშისტი ჯარისკაცები უთავბოლოდ მიმოიფანტნენ. ამით ისარგებლეს ჩვენმა ქვედანაყოფებმა და იერიშზე გადავიდნენ.

ყირიმის ნახევარკუნძულისთვის ბრძოლებში სერჟანტმა გრიგოლ სამხარაძემ 72 ფაშისტი ჯარისკაცი და 2 ოფიცერი მოსპო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **1945 წლის 24 მარტის ბრძანებულებით სერჟანტ გრიგოლ სამხარაძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.** მუშაობს ქარელის რაიონის სოფელ სუქანაანთუბნის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ.

მაგუბა სირტლანოვა

მაგუბა ჰუსეინის ასული სირტლანოვა დაიბადა 1912 წლს. სკკპ წევრია 1942 წლიდან. ეროვნებით თათარია.

1935 წელს დაამთავრა ქ. თბილისის აეროკლუბი და ომის დაწყებამდე იქვე მუშაობდა. 1942 წლის დეკემბერში ქ. თბილისის სამხედრო კომისარიატმა გაიწვია სსრ კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალებში.

მამაცი ქალიშვილი, გვარდიის უფროსი ლეიტენანტი მ. სირტლანოვა დაჯილდოებული იყო **ორი წითელი დროშის, სამამულო ომის II ხარისხისა** და **წითელი ვარსკვლავის ორდენებით**.

თბილისის აეროკლუბის აღზრდილი მაგუბა სირტლანოვა 1942 წლის დეკემბერში გაიგზავნა მოქმედ არმიაში, სადაც თავისი მტკიცე ნებისყოფითა და სიმამაცით რიგითი მფრინავიდან საავიაციო ესკადრილიის უფროსის მოადგილემდე დაწინაურდა.

ფრონტზე ყოფნის პერიოდში უფროსმა ლეიტენანტმა მაგუბა სირტლანოვამ 780 საბრძოლო გაფრენა განახორციელა, ჰაერში 2340 საათი დაჰყო, აქედან უშუალოდ ბრძოლებში — 928 საათი. ჩამოყარა 140 ტონა ბომბი, რის შედეგადაც მტრის განლაგებაში 128 ძლიერი აფეთქება მოხდა. 85 ადგილზე გაჩნდა ხანძრის ძლიერი კერა, აფეთქდა 2 ხიდი, რკინიგზის 2 ეშელონი, დაიწვა ბენზინის დიდი საწყობი, მწყობრიდან გამოვიდა მტრის არტილერიის 3 ბატარეა, 2 პროჟექტორი და 4 ავტომანქანა.

მაგუბამ მოწინააღმდეგის ჯარების განლაგებაში 450000 ფურცელი ჩაყარა, რომლითაც ფრონტის საბჭო მოუწოდებდა გერმანელ ჯარისკაცებს, შეეწყვიტათ უმიზნო წინააღმდეგობა, დაეყარათ იარაღი და დაგვნებებოდნენ.

მაგუბა სირტლანოვა შეუფერხებლად ფრენდა დღისით და ღამით, ყოველგვარ ამინდში. ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც კი დინჯად და აუღელვებლად ეკავა შტურვალი.

სად არ იბრძოდა სახელოვანი მფრინავი ქალიშვილი — კავკასიონთან და ტამანთან, ყირიმის ნახევარკუნძულზე და მოძმე ბელორუსიის ზეცაში, პოლონეთსა და აღმოსავლეთ პრუსიაში. იგი თავის ხელქვეითებს ყოველთვის საჰაერო ბრძოლების ნიმუშებს უჩვენებდა.

მარტო 1945 წლის 26 მარტს დანციგის რაიონში თავმოყრილი მოწინააღმდეგის ჯარების გასანადგურებლად მაგუბა სირტლანოვამ ერთ ღამეში 8 გაფრენა მოახდინა და ბომბების ზუსტი სროლით მტერს დიდი ზიანი მიაყენა.

ბერლინისთვის ბრძოლების მონაწილე მფრინავს მაგუბა სირტლანოვას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1946 წლის 15 მაისს მიანიჭა. ომის შემდგომ მუშაობდა მფრინავად საქართველოს სამოქალაქო ავიაციაში.

ვლადიმერ ჯანჯღავა

ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ჯანჯღავა დაიბადა 1907 წელს ხონის რაიონის სოფელ გუბში. წითელი არმიის რიგებშია 1927 წლიდან.

მონაწილეობდა თეთრფინელების წინააღმდეგ ბრძოლებში.

დიდი სამამულო ომის დაწყებისას ვ. ჯანჯღავა გამოცდილი ოფიცერი იყო. ბრძოლები გადახდილი ჰქონდა ფინეთთან ომში და ბესარაბიისთვის განმათავისუფლებელ ლაშქრობაში. გენერალ-ლეიტენანტი ვ. ჯანჯღავა დიდი სამამულო ომის წლებში მომხდურთაგან იცავდა მშობლიურ მიწა-წყალს. მისი საბრძოლო გზა სამშობლომ 8 ორდენით აღნიშნა. გვარდიის გენერალ-ლეიტენანტი ვ. ჯანჯღავა დაჯილდოებულია **ორი ლენინის ორდენით, სამი წითელი დროშის, ორი წითელი ვარსკვლავის ორდენებით და აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების ორდენებით.**

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკამ იგი დაჯილდოვა „გრიუნვალდის ჯვრითა“ და მედლებით — „ოდერსა და ნეისაზე გადასვლისთვის“, „ბალტიის ზღვაზე გადასვლისთვის“.

1945 წლის 6 მაისს 105-ე მსროლელთა წითელდროშოვანი კორპუსის მეთაურთა გენერალ-ლეიტენანტმა ალექსეევმა საბჭოთა კავშირის გმირობაზე წარადგინა გენერალი ვ. ჯანჯღავა. აი, ეს დოკუმენტიც. „345-ე კალინკოვიჩის წითელდროშოვანმა სუვოროვის დივიზიამ გენერალ-მაიორ ჯანჯღავას მეთაურობით გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში გამოავლინა განსაკუთრებული ბრძოლისუნარიანობა.

დივიზიამ 1944 წლის 5 სექტემბერს პირველმა გადალახა მდინარე ნარევი მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების, განსაკუთრებით კი სატანკო ძალების — ორი სატანკო დივიზია — შეტევის პირობებში, შეინარჩუნა ნარევის პლაცდარმი და უდიდესი ზარალი მიაყენა მტრის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას. დივიზია მონაწილეობდა არმიის დამკვრელი დაჯგუფების შემადგენლობაში მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევაში ნარევის პლაცდარმზე, სადაც გამოავლინა განსაკუთრებული სიმტკიცე და ხელოვნება მოწინააღმდეგის დევნაში. იგი პირველი გამოვიდა მდინარე ვისლაზე გრაუდენცის სამხრეთით და ღამის მეტად მძიმე პირობებში შეუჩერებლივ გადალახა ვისლა, დაზვერა გადალახვის ადგილები. კორპუსისა და არმიის სხვა დივიზიებისთვის ვისლის პლაცდარმის გაფართოებისთვის დივიზია 7 დღეღამე ეწეოდა მძიმე გააფთრებულ ბრძოლებს, შემდგომ კი საერთო შეტევაზე გადავიდა და ხელთ იგდო დანციგი.

მოწინააღმდეგის დანციგის დაჯგუფების ლიკვიდაციის შემდეგ, დივიზია აქტიურად და გაბედულად დევნიდა მტერს მდინარე ოდერამდე შტეტინის სამხრეთით. ამასთან, დივიზიამ ერთ-ერთმა პირველმა ცუდ მეტეოროლოგიურ პირობებში გადალახა დასავლეთი და აღმოსავლეთი ოდერი. ქარმა ზღვის მხრიდან წყლის დონე ოდერში 1 მეტრითა და 45 სანტიმეტრით ასწია. დივიზიის ჯარისკაცები და ოფიცრები მკერდამდე წყალში გადადიოდნენ მდინარეზე და თან გადაიტანეს ათასეულის მთელი არტილერია, ყველა ნაღმსატყორცნი, რითაც უზრუნველყვეს პლაცდარმის შენარჩუნება დივიზიის არტილერიისა და გაძლიერების არტილერიის გადატანამდე.

დივიზია ორი დღე-ღამე იგერიებდა მოწინააღმდეგის შტეტინის დაჯგუფების გააფთრებულ კონტრშეტევებს. დივიზია არმიის მარჯვენა ფლანგზე ოდერის პლაცდარმზე იმყოფებოდა, ყველა კონტრშეტევა მოიგერია და უზრუნველყო ოდერის გადალახვა სხვა შენაერთების მიერ.

მდინარე ნარევის ზღუდეებიდან ბალტიის ზღვის სანაპირომდე დივიზიამ ბრძოლით გაიარა ათას კილომეტრზე მეტი, მონაწილეობდა 20 ქალაქის განთავისუფლებაში, მათ შორის ნოსელსკის, ნოვო-მიასტოს, პლონსკის, დრობინის, სერპცის, რიპინის, ბროდნიცას, იაბლონოვოს, დანციგის, შტეტინის, პზევალსკის, ფრიდლიანდის, ლოიტცის, გრიმენის, ფრანცბურგის, ბარტისა და სხვ.

თვითონ გენერალ-მაიორი ჯანჯღავა მუდამ იმყოფებოდა ბრძოლაში მონაწილე ქვედანაყოფებში, მტკიცედ და გაბედულად ხელმძღვანელობდა დივიზიას. დივიზიების მეთაურთა შორის იგი პირველი გადადიოდა მეორე ნაპირზე და სათვალთვალო პუნქტიდან მართავდა ბრძოლებს მდინარეების — ნარევის, ვისლისა და ოდერის პლაცდარმებზე.

ბრძოლების მთელ პერიოდში, 1944 წლის 5 სექტემბრიდან 1945 წლის 3 მაისამდე, დივიზიამ მტერს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დიდი ზარალი მიაყენა. გაანადგურა 10 ათასამდე კაცი, 120 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 150 ნაღმსატყორცნი, 135 სხვადასხვა ქვემეხი, ტყვედ წამოიყვანა 3024 ჯარისკაცი და ოფიცერი; ხელთ იგდო 68 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 1800 ავტომანქანა, 124 ქვემეხი. 200 ტყვიამფრქვევი, 68 თვითმფრინავი, 4 წყალქვეშა ნავი, 57 ორთქლმავალი, 1730 ვაგონი. მრავალი საწყობი ტყვიაწამლით, იარაღით, სურსათითა და საიტენდანტო ქონებით“.

1945 წლის 29 მაისს გენერალ-მაიორ ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ჯანჯღავას მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ომისშემდგომ წლებში დაჯილდოვდა **ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენებით**. მუშაობდა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ. არჩეული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ვასილ ჩოჩიევი

უფროსი ლეიტენანტი ვასილ ჩოჩიევი სამხრეთის ფრონტზე იბრძოდა. იგი იყო მერვე საჰაერო არმიის მე-7 თავდამსხმელთა საავიაციო კორპუსის 206-ე თავდამსხმელთა საავიაციო დივიზიის 807-ე პოლკის ესკადრილიის მეთაური. დაჯილდოებული იყო **წითელი დროშის, ალექსანდრე ნეველის, სამამულო ომის I ხარისხის ორდენებითა და მრავალი მედლით**.

ვ. ჩოჩიევი 1917 წლის 2 ნოემბერს

ცხინვალის რაიონის სოფელ ორთევში, ოსი გლეხის ოჯახში დაიბადა. რვა კლასის დამთავრების შემდეგ მფრინავთა სკოლას მიაშურა და პროფესიის დაუფლების შემდეგ ცხინვალის აეროკლუბში ინსტრუქტორ-მფრინავად მოეწყო.

წითელ არმიაში 1941 წლიდანაა. სამამულო ომის ფრონტებზე 1941 წლის ივლისიდან იბრძოდა. იყო ხარკოვის, სტალინგრადის, ტაგანროგის, სევასტოპოლის, მარიუპოლის, ბალტიისპირეთის ბრძოლების მონაწილე.

1942 წლის აგვისტოში, როცა სტალინგრადის ჩრდილოეთით სახიფათო სიუტაცია შეიქნა, საჭირო გახდა ყველა ძალისხმევით განემუხტათ შექმნილი მდგომარეობა. „ილ-2“-ის თავდამსხმელთა რვაკაციანი ჯგუფი, რომელსაც უფ. ლეიტენანტი ვასილ ჩოჩიევი მეთაურობდა, ჰაერში ავიდა და ბრძოლაში ჩაება მონინაალმდეგის 29 ბომბდამშენთან, რომლებიც საბჭოთა ჯარების პოზიციების დაბომბვას აპირებდა. წითელარმიელთა თვითმფრინავებმა იძულებული გახადეს ჰიტლერელები ბომბები მიზანში ამოღებული ობიექტებისაგან მოშორებით ჩამოეყარათ და უკან გაბრუნებულიყვნენ, საბჭოთა მფრინავები კი ბაზაზე სრულიად უვნებელნი დაბრუნდნენ. ამ ოპერაციისთვის მფრინავთა ჯგუფმა სარდლობის მადლობა დაიმსახურა. და საერთოდ, საავიაციო ჯგუფები, რომლებიც ოპერაციებზე ვ. ჩოჩიევს მიჰყავდა, არა ერთხელ გამხდარა შექების ღირსი დავალებათა ბრწყინვალედ შესრულებისთვის.

1943 წლის სექტემბერში ჩოჩიევის საავიაციო პოლკმა ზაპოროჟიეს ოლქში ქ. მარიუპოლის მიდამოებში ჰიტლერელთა ცოცხალი ძალის განადგურების ბრძანება მიიღო. მათი დახმარებით ქვეითებმა ქალაქი აიღეს. ამ დროისთვის ჩოჩიევის ესკადრილიას 577 საბრძოლო გაფრენა ჰქონდა შესრულებული, რის შედეგადაც განადგურებულ იქნა მტრის დიდი რაოდენობით სამხედრო ტექნიკა და ცოცხალი ძალა.

1943 წლის 1 ნოემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისთვის, ბრძოლებში გამოვლენილი მამაცობისა და გმირობისთვის ოს ჭაბუკს — ვასილ ჩოჩიევს მიენიჭა სსრ კავშირის გმირის წოდება, ამასთან, გადაეცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

ომის შემდგომ ვ. ჩოჩიევი უკრაინაში ცხოვრობდა და სამხედრო ავიაციაში მსახურობდა.

1947 წელს ახალი ტიპის თვითმფრინავის გამოცდისას, სამწუხაროდ, იგი დაიღუპა. მან, როგორც მაღალი ოსტატობის პილოტმა, ამ ტრაგიკულ სიტუაციაშიც შეძლო ღირსეულად მოქცეულიყო — მიუხედავად იმისა, რომ ხედავდა, დაღუპვა არ ასცდებოდა, ჩამოვარდნამდე მოახერხა, თვითმფრინავი საცხოვრებელი ობიექტებიდან განერიდებინა, რითაც თავიდან იქნა აცილებული ადამიანთა მსხვერპლი. გმირი ამჯერადაც გმირულად მოიქცა.

ლავრენტი ავალიანი

ლავრენტი ივანეს ძე ავალიანი 1923 წელს დაიბადა, წყალტუბოს რაიონის სოფელ გუმათში. ომის ქარიშხალი რომ ამოვარდა, სკოლის მერხზე იჯდა. 1942 წლის გაზაფხულზე 18 წლისა მოხალისედ წავიდა ფრონტზე.

ლ. ავალიანი იყო 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის რიგოსანი და მის ერთ-ერთ დანაყოფში გადიოდა საბრძოლო-პოლიტიკურ მომზადებას. სამხედრო ფიცი, პირველი საბრძოლო ნათლობა და პირველი მაღალი ჯილდო „წითელი ვარსკვლავის ორდენი“ 414-ე დივიზიაში მიიღო. სამჯერ დაიჭრა გუმათელი შევარდენი, მაგრამ სამივეჯერ დაუბრუნდა მწყობრს. ამ პერიოდში მისი მხედრული ოსტატობა ზედიზედ ორი წითელი დროშის ორდენით აღინიშნა.

ხუტორ გორნო-ვესიოლიეს მისადგომებთან ლ. ავალიანმა ხელის ტყვიამფრქვევით 20 ფაშისტი მოსპო. საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ნეიტრალური ზონა გადალახა და დაჭრილებს წყალი მიუტანა. ძნელია იმ ეპიზოდების ჩამოთვლა, რაც ლავრენტის მეომრულ ცხოვრებას ამშვენებს, მაგრამ სამუდამოდ გამოიკვეთა უკანასკნელი ბრძოლა, რომელშიც მის მიერ ჩადენილი გმირობა დიდი სამამულო ომის პერიოდში განუმეორებელი აღმოჩნდა. ეს იყო 1943 წლის 9 ოქტომბერს. მისი დივიზია ხუტორ კანადსკის მიმართულებით უტევდა. მტერი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იცავდა პოზიციებს, რადგან ეს მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო. იმ დღეს ლავრენტიმ 18 გერმანელი მოსპო. გამთენიისას მტერმა მთელი ძალით შეუტია ზღუდეს, რომელიც ავალიანის ოცეულს ეკავა. გერმანელებმა ამ უბანზე ტანკები გადმოისროლეს. ლავრენტიმ პირველივე გასროლით მოწინააღმდეგის სამი ტანკი მოსპო. როცა ვაზნები გაუთავდა, ფინური დანით ხელში დაერია იგი ცოცხლად დარჩენილ ჰიტლერელებს. მოკლა რა 12 კაცი, თავადაც გმირულად დაეცა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 2 ნოემბრის ბრძანებულებით, გერმანელთა ძლიერ გამაგრებული თავდაცვითი ზღუდის გარღვევისთვის და საბრძოლო დავალების შესრულებისას გამოჩენილი მამაცობისთვის **ლავრენტი ავალიანს სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება**.

ვლადიმერ ჯანჯღავა:

ანაპის 414-ე წითელდროშოვანი ქართული დივიზიით მთელ ერს შეუძლია იამაყოს!

„ანაპის 414-ე ქართულმა მსროლელმა წითელდროშოვანმა დივიზიამ ღირსეული წვლილი შეიტანა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე დიად გამარჯვებაში. მან დიდ სამამულო ომში მრავალი სისხლისმღვრელი ბრძოლა გადაიხადა და არაერთხელ ისახელა თავი. ომის პერიოდში მის რიგებში იბრძოდა 20 ათასამდე მეომარი, მათ შორის — 2 ათასამდე ოფიცერი. მტერთან გააფთრებულ შერკინებებში დივიზიის მეომრებმა ნამდვილი ვაჟკაცობა გამოიჩინეს, ბევრი მგზნებარე პატრიოტი გმირულად დაეცა, ბევრმა თავგანწირულ ბრძოლაში ჯანმრთელობა დაკარგა, ბევრი გულადი ადამიანი სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი დაუბრუნდა თავის კერას. საჭიროდ ჩავთვალე, პირადი ჩანაწერების, ბრძოლების მონაწილეთა მოგონებების, არქივის მასალების ნაწილი მაინც ყველასათვის ხელმისაწვდომი გამეხადა. ამ საქმეში მორალური პასუხისმგებლობაც მაკისრია, რადგან 1943 წლის თებერვლიდან ვიყავი ამ დივიზიის მეთაურის მოადგილედ პოლიტიკურ ნაწილში და პოლიტგანყოფილების უფროსად. ამის გაკეთება მით უმეტეს საჭირო იყო, რადგან, სამწუხაროდ, ნაწილი იმისა, რაც დღემდე დაიწერა დივიზიის საბრძოლო გზაზე, ბევრ შეცდომასა და დამახინჯებას შეიცავს. ნათქვამია, სასწაულები ცხოვრებაში არ ხდებაო. ჩვენმა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა კი ნამდვილი სასწაული მოახდინეს დიდ სამამულო ომში“, — ვლადიმერ ჯანჯღავა.

დივიზიის დაბადება და დაჭაჭკაცება

1942 წელი კვლავ მძიმე წელი იყო ჩვენი სამშობლოსათვის. მართალია, ჰიტლერელების გიჟური გეგმა საბჭოთა კავშირის ელვისებური სისწრაფით დაპყრობის შესახებ სამარცხვინოდ ჩაიფუშა, სოციალიზმის ქვეყნის იზოლირებისა და მის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის ცდები ამაო შეიქნა, მაგრამ მტერი თავის ბოროტ მიზნებზე ხელს არ იღებდა, იგი ჯერ კიდევ ძლიერი და საშიში იყო. დაპირებული მეორე ფრონტი არ იხსნებოდა. მტერთან გამკლავება და მისი განადგურება ჩვენი ქვეყნისგან ძალთა კიდევ მეტ დაძაბვასა და ახალ-ახალი შენაერთების შექმნას მოითხოვდა.

სწორედ ამან განაპირობა წითელი არმიის კიდევ ერთი ახალი შენაერთის — 414-ე ქართული დივიზიის ფორმირება. საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დირექტივის თანახმად ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭომ 1942 წელს მიიღო საბრძოლო დადგენილება 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის შექმნის შესახებ, რომლის შესრულებაც დაუყოვნებლივ დაიწყო.

ფრონტზე არსებული და ახლო მომავალში მოსალოდნელი მდგომარეობის სწორი გათვალისწინებით დივიზიის ფორმირების ადგილად შერჩეულ იქნა დაღესტნის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც კავკასიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, კავკასიის მთავარ ქედსა და კასპიის ზღვას შორის, მდებარეობს. დივიზიას აქ, მთების სამეფოში, საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ მეზობლის ტერიტორიაზე, საშუალება ეძლეოდა, მოკლე დროში დაემთავრებინა ფორმირება, სწრაფად გაეშალა საბრძოლო მზადება, შეექმნა თავდაცვის ძლიერი ზღუდეები, საინჟინრო დაბრკოლებები და ყოველმხრივ საბრძოლო მზადყოფნაში დახვედროდა მტერს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სარდლობას, საჭიროების შემთხვევაში, აქედან ადვილად შეეძლო გადაესროლა დივიზია იქ, სადაც ამას მდგომარეობა მოითხოვდა. 414-ე ქართულ დივიზიას წითელი არმიის სხვა შენაერთებთან ერთად უნდა დაეცვა ამიერკავკასიის მისადგომები, მოწინააღმდეგისთვის არ მიეცა საქართველოსკენ გაჭრის საშუალება, დაეცვა გროზნი, გუდერმესი, ხასავიურტი, მახაჩყალა და კასპიის ზღვის სანაპიროები და ამით ბაქოს მიმართულება.

1942 წელს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობის ბრძანებით, დაღესტანში ჩამოვიდა **პოდპოლკოვნიკი ივანე გიორგის ძე ქანთარია** და შეუდგა 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის ჩამოყალიბებას. ამ დღეს აქ მეთაურთა თანამდებობის დასაკავებლად ჩამოვიდა 2 უფროსი და 5 საშუალო მეთაური.

თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა, აგრეთვე, დივიზიის კომისარი, წოდებით ბატალიონის უფროსი კომისარი, **ვასილ ილარიონის ძე ხუსკივაძე. დივიზიის პოლიტგანყოფილების პირველი უფროსი იყო ბატალიონის კომისარი კონსტანტინე სიმონის ძე ცეკვავა, დივიზიის შტაბის პირველი უფროსი — პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე ანტონის ძე კრასკოვი, ხოლო დივიზიის შტაბის კომისარი, წოდებით ბატალიონის კომისარი, გრიგოლ ეგნატეს ძე ლუტოვინოვი.**

414-ე ქართული მსროლელი დივიზიის შემადგენლობაში შეიქმნა: დივიზიის შტაბი, პოლიტგანყოფილება, წითელარმიული გაზეთის „სამშობლოს დამცველის“ რედაქცია“, მსროლელი პოლკები, 1053-ე

1375-ე მსროლელი პოლკის ჯავშანმტვრეველთა ჯგუფი

საარტილერიო პოლკი, ცალკე სასწავლო მსროლელი ბატალიონი, 443-ე ცალკე ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონი, 347-ე ცალკე მესანგრეთა ბატალიონი, 920-ე ცალკე სამეკავშირო ბატალიონი, 846-ე ცალკე 120-მილიმეტრიანი ნაღმმტყორცნი დივიზიონი, 518-ე ცალკე სამედიცინო-სანიტარული ბატალიონი, 497-ე ცალკე საზენიტო-საარტილერიო ბატარეა, 235-ე ცალკე მოტომსროლელი მზვერავი ასეული, 1442-ე ცალკე კავშირგაბმულობის ასეული, 568-ე ცალკე ავტოსატრანსპორტო ასეული, 222-ე ცალკე ქიმიური დაცვის ასეული, დივიზიის არტილერიის უფროსის შტაბი და საშტაბო ბატარეა, დივიზიის ზურგის ქვეგანაყოფები და მთელი რიგი სხვა სამსახურები. ჩამოყალიბდა დივიზიის პროკურატურა, სამხედრო ტრიბუნალი და საგანგებო განყოფილება.

პოლკებისა და ცალკე ბატალიონების (დივიზიონების) პირველი მეთაურები და კომისრები იყვნენ:

1367-ე მსროლელი პოლკისა — **მაიორი ალექსანდრე შავლიაშვილი** და ბატალიონის **კომისარი ამბერკი ლორია;**

1371-ე მსროლელი პოლკისა — **მაიორი ნოე ჟორჟოლიანი** და ბატალიონის **კომისარი ალექსანდრე გარსევანიშვილი;**

1375-ე მსროლელი პოლკისა — **მაიორი ტიტე მეძმარიაშვილი** და **ბატალიონის კომისარი ნოე პაიჭაძე;**

1053-ე საარტილერიო პოლკისა — **მაიორი ივანე ფროლოვი** და **ბატალიონის კომისარი ავთანდილ კუცია;**

ცალკე სასწავლო მსროლელი ბატალიონისა — **კაპიტანი დავით მაჭარაძე** და **უფროსი პოლიტხელი პოლიკარპე მდივნიშვილი;**

443-ე ცალკე ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონისა — **ლეიტენანტი აკაკი დაშნიანი** და **უფროსი პოლიტხელი გიორგი კუპრაძე;**

347-ე ცალკე მესანგრეთა ბატალიონისა — **კაპიტანი ალექსანდრე ტალანოვი** და **უფროსი პოლიტხელი ივანე ჩხეიძე;**

920-ე ცალკე სამეკავშირო ბატალიონისა — **კაპიტანი პეტრე ჩხიკვაძე** და **უფროსი პოლიტხელი ვარლამ კირკიტაძე;**

846-ე ცალკე 120-მილიმეტრიანი სანაღმმტყორცნო დივიზიონისა — **უფროსი ლეიტენანტი ვლადიმერ დათიაშვილი** და **უფროსი პოლიტხელი გიორგი ყვირილიანი;**

518-ე ცალკე სამედიცინო-სანიტარული ბატალიონისა — მე-3 რანგის **სამხედრო ექიმი დავით მოსიძე** და **პოლიტხელი ალექსანდრე მაცაბერიძე;**

497-ე ცალკე საზენიტო-საარტილერიო ბატარეისა — **უფროსი ლეიტენანტი ალექსანდრე პოლიპენკო** და **პოლიტხელი ვარლამ კუპრეიშვილი;**

235-ე ცალკე მოტომსროლელი მზვერავთა ასეულისა — **უფროსი ლეიტენანტი სიმონ კოროშუნოვი** და **უფროსი პოლიტხელი დიმიტრი შველიძე;**

568-ე ცალკე ავტოსატრანსპორტო ასეულისა — **უფროსი ლეიტენანტი პორფილე ხუხუნაშვილი** და **პოლიტხელი ესტატე კვიკვინია;**

222-ე ცალკე ქიმიური დაცვის ასეულისა — **კაპიტანი ივანე ზოდელავა** და **პოლიტხელი ნოე ხირანეიშვილი;**

დივიზიის არტილერიის უფროსის ცალკე საშტაბო ბატარეისა — **ლეიტენანტი სპარტაკ კოპალეიშვილი** და **პოლიტხელი ლავრენტი ვაშაკიძე;**

დივიზიის არტილერიის პირველი უფროსი (იგივე დივიზიის მეთაურის მოადგილე არტილერიის დარგში) იყო **პოდპოლკოვნიკი ივანე ბაბალაშვილი;**

დივიზიის პირველ ინტენდანტად, შემდეგ დივიზიის მეთაურის მოადგილედ ზურგის დარგში უცვლელად იყო **მაიორი რუბენ ანისონიანი;**

დივიზიის წითელარმიული გაზეთის „სამშობლოს დამცველის“ რედაქტორად უცვლელად მუშაობდა **მაიორი არჩილ კოკილაშვილი;**

დივიზიის პროკურორად ომის პერიოდში უცვლელად მუშაობდა იუსტიციის **მაიორი დავით ესაკია** და სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარედ **მაიორი ლუკა კალმახელიძე.** საგანგებო განყოფილების პირველი უფროსი იყო **მიხეილ მენთეშაშვილი.**

პოდპოლკოვნიკი ივანე ქანთარია პირველივე დღიდან ენერგიულად შეუდგა დივიზიის ფორმირებას. იგი ყველა საკითხს უნარიანად და ოპერატიულად წყვეტდა, ყოველ ნაბიჯზე სამხედრო საქმის ღრმა ცოდნასა და დიდ ორგანიზატორულ ნიჭს ამჟღავნებდა. ამიტომ მოკლე დროში ამ შავგვრემანმა, წარმოსადეგმა, ტანად კოხტა და სახით ლამაზმა ვაჟკაცმა დივიზიის მთელ პირად შემადგენლობაში სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მაგრამ მალე იგი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კადრების განყოფილებაში გამოიძახეს და მოქმედ არმიაში გაგზავნეს.

ამის შემდეგ 414-ე დივიზია ჩაიბარა პოლკოვნიკმა ფილიპე რიბალჩენკომ.

დივიზია დიდი სამხედრო ორგანიზმია, დიდი შენაერთია და, ბუნებრივია, ყველა მისი ნაწილის, განა-

ყოფისა და ქვეგანაყოფის ფორმირება ერთდროულად არ დამთავრებულა. ყველაზე ადრე შეიქმნა დივიზიის სამმართველო, შტაბი და პოლიტგანყოფილება, რომლებიც შემდგომში თვითონ ჩაუდგნენ სათავეში ნაწილების, განაყოფებისა და ქვეგანაყოფების შექმნას.

თავდაპირველად შედგენილ იქნა 1367-ე მსროლელი პოლკი, შემდეგ 1371-ე, 1375-ე მსროლელი პოლკები, 1053-ე საარტილერიო პოლკი და ა.შ. თანდათანობით ჩამოყალიბდა შენაერთის ყველა ნაწილი და ქვეგანაყოფი.

გეგმა „ედელვაისი“

1941-1942 წწ. ზამთარში საბჭოთა არმიამ მოსკოვის მისადგომებთან სასტიკი სამხედრო დამარცხება აგემა ჰიტლერულ ჯარებს. მიუხედავად ამისა, 1942 წლის ზაფხულში მტერმა კვლავ შეძლო შეტევაზე გადმოსულიყო.

1942 წლის გაზაფხულზე საბჭოთა ჯარების მდგომარეობა გაუარესდა. მაისში მათ ხარკოვის რაიონში წარუმატებლობა განიცადეს. მარცხით დამთავრდა 1942 წლის მარტში ქერჩის ნახევარკუნძულზე დაწყებული შეტევაც. 23 მაისს წითელმა არმიამ ქერჩი დატოვა.

ამ დროისათვის კიდევ უფრო გართულდა სსრ კავშირისა და თურქეთის ურთიერთობა. საბჭოთა ქვეყანა განიცდიდა დიდ ეკონომიურ სიძნელეებს. მეორე ფრონტი არ გაიხსნა ევროპაში. ყოველივე ამით ისარგებლეს ჰიტლერელებმა — მათ დასავლეთიდან არავინ ემუქრებოდა და მთელი ძალები კვლავ დაძრეს აღმოსავლეთის ფრონტზე, საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ.

მაგრამ ამჯერად ჰიტლერული არმიის ჯარები შეტევაზე გადმოვიდნენ არა მთელ ფრონტზე, როგორც ეს იყო 1941 წელს, არამედ სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ამოცანით — სტალინგრადისკენ განევითარებინათ შეტევა, მოსკოვი მოეწყვიტათ ვოლგისა და ურალის ზურგისაგან, შემდეგ დაერტყათ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქისთვის აღმოსავლეთიდან, ამავე დროს ალყაში მოექციათ და გაენადგურებინათ საბჭოთა არმიის მარცხენა ფრთა, შემდეგ იერიში მიეტანათ სამხრეთის მიმართულებით და დაეპყროთ კავკასია.

ამ ოპერაციების შედეგად პირსისხლიანი მტერი ფიქრობდა, ომი მოეგო და თავისი გამარჯვებით დაემთავრებინა იგი 1942 წელს.

ჰიტლერელებს, დიდი ხანია, იზიდავდა კავკასია, მისი სიმდიდრე, ადგილმდებარეობა. კავკასიის დაპყრობით უნდოდათ საწვავის — მათთვის ამ მეტად მძიმე პრობლემის მოგვარება, თურქეთზე ზემოქმედების გაძლიერება, შავ ზღვაზე გაბატონება, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში გასვლა. ფაშისტურმა ჯარებმა 24 ივლისს აიღეს როსტოვი, გადალახეს მდინარე დონი და ჩვენთვის მეტად არახელსაყრელ პირობებში სტალინგრადზე შეტევასთან ერთად იწყეს კავკასიის დაპყრობის გეგმის „ედელვაისის“ განხორციელება. ჰიტლერმა ამ ამოცანის შესრულება დაავალა არმიების „ა“ ჯგუფს, რომელსაც ფელდმარშალი კლეისტი სარდლობდა.

გეგმით ჰიტლერულ ჯარებს ალყა უნდა შემოერტყათ ჩრდილოეთ კავკასიისკენ უკანდახეული წითელი არმიის ნაწილებისთვის მდინარეების — დონისა და ყუბანის ქვემო დინებებს შორის, გაენადგურებინათ ისინი და შემდეგ ერთი ჯგუფით აეღოთ ნოვოროსიისკი და ტუაფსე, განევითარებინათ შეტევა შავი ზღვის სანაპიროზე და გასულიყვნენ ბათუმში; მეორე ჯგუფით, რომელიც ძირითადად სატანკო და მოტომექანიზირებული ნაწილებისგან შედგებოდა, იერიში მიეტანათ გროზნოზე, მახაჩყალასა და ბაქოზე. ამავე დროს კავკასიის მთავარი ქედის გადასასვლელებიდან განეხორციელებინათ შეტევა საქართველოს სამხედრო გზით თბილისისკენ და ოსეთის სამხედრო გზით — ქუთაისისკენ.

შეტევები და მაჯაფრი იერიშები

მეზობელ შენაერთებთან ერთად 414-ე ქართულმა დივიზიამ 2 დეკემბერს, ღამით, გადალახა მდინარე თერგი, დაიკავა შეტევისთვის საწყისი ზღუდე და 3 დეკემბერს, გათენებისას, გადავიდა კიდეც შეტევაზე, გაარღვია მოწინააღმდეგის ძლიერი თავდაცვა და უკუაგდო მისი მრავალი კონტრიერიში. ჩვენმა ნაწილებმა ალაგ-ალაგ 800 მეტრით წაიწიეს წინ. 1367-ე პოლკის მე-4 ასეულმა (მეთაური უფროსი ლეიტენანტი **დიმიტრი შველიძე**, მოადგილე პოლიტნაწილში ლეიტენანტი **შალვა თოფურია**), მიუხედავად მტრის გამანადგურებელი ცეცხლისა, მნიშვნელოვნად წაიწია წინ და მიუახლოვდა მტრის დასაყრდენ პუნქტებს — სიმაღლეებს: 110,1 და 117,3, სადაც იძულებული გახდა ჩასანგრებულიყო. ასეულმა მტკიცედ შეინარჩუნა მიღწეული ზღუდე. თავგანწირვით იბრძოდნენ პოლკის სხვა ქვედანაყოფებიც. მე-2 ბატალიონის ასეულებმა მტერთან გააფთრებული ბრძოლით რამდენიმე ასეული მეტრით წაიწიეს წინ.

ამ დღეს კაციჭამია ჰიტლერელებთან სასტიკ ბრძოლაში გმირულად დაეცნენ 1367-ე მსროლელი პოლკის 1-ელი ბატალიონის მე-2 ასეულის მეთაური ლეიტენანტი **თედორე წემსიწვერიძე** (ცაგერის რაიონიდან), ამავე ასეულის ოცმეთაური, უმცროსი ლეიტენანტი **ივანე ხელაძე** (ვანის რაიონიდან), მე-3 ბატალიონის მე-8 ასეულის მეთაურის მოადგილე სამწყობრო დარგში, 20 წლის ჭაბუკი, უფროსი ლეიტენანტი, კომკავშირელი **დავით ბედმინიკაშვილი** (თელავიდან) და სხვები.

დაიჭრნენ 1367-ე მსროლელი პოლკის მე-2 ბატალიონის მე-6 ასეულის მეთაური უფროსი ლეიტენანტი **ვახტანგ ნადირაძე**, ამავე პოლკის მე-3 ბატალიონის მე-9 ასეულის მეთაური ლეიტენანტი **გაბო მაკარაძე**, ამავე ბატალიონის მე-3 მეტყვიამფრქვევე ასეულის მეთაური ლეიტენანტი **ნიკოლოზ ოდიკაშვილი.**

3 დეკემბერს ბრძოლაში თავი ისახელეს ბატალიონის მეთაურის მოადგილემ სამწყობრო დარგში, უფროსმა ლეიტენანტმა **ვ. ელიკაშვილმა,** ნაღმმტყორცნელთა ასეულის მეთაურმა უფროსმა ლეიტენანტმა **პ. ტაბატაძემ,** მსროლელი ასეულების მეთაურებმა: ლეიტენანტმა **ა. სამთელაძემ**, ლეიტენანტმა **გ. მამალაძემ**, ლეიტენანტმა **ი.**

შვანგირაძემ, მსროლელი ასეულის მეთაურის მოადგილემ სამწყობრო დარგში 21 წლის უფროსმა ლეიტენანტმა, კომკავშირელმა **ზ. შველიძემ**, ათეულის მეთაურებმა — უფროსმა სერჟანტებმა **შ. შოთაძემ, ს. გეგეჭკორმა, ლ. ჯანაშვილმა,** ნაღმმტყორცნელმა სერჟანტმა **პ. მელიქიძემ,** რომელმაც 8 ფაშისტი მოსპო, სანინსტრუქტორმა **ა. გურაბანიძემ**, წითელარმიელმა **ბ. აბუაშვილმა**, მებრძოლმა **ა. გერაძემ** და სხვებმა.

დივიზიის მეთაურის გადაწყვეტილებით იშჩორსკაიაზე შეტევის დროს 1367-ე პოლკს იერიში მიჰქონდა მტრის თავდაცვის პოზიციებზე — სიმაღლეებზე 110,1-სა და 117,3-ზე, რომელთა დაპყრობის შემდეგ შეტევას აგრძელებდა კრივონოსოვის მიმართულებით. დანარჩენი მსროლელი პოლკები იშლებოდნენ 1367-ე პოლკის მარცხენა ფრთაზე და იერიში მიჰქონდათ სიმაღლე 116,4-ზე.

4 დეკემბერს ჩვენმა ქვეგანაყოფებმა განაახლეს შეტევა. 1367-ე პოლკმა მოწინააღმდეგის პოზიციებზე იერიში მიიტანა ამოცანის შესაბამისად. მისმა პირველმა ბატალიონმა ძლიერად დაარტყა სიმაღლე 110,1-ს. ბრძოლაში ბატალიონის მთელმა პირადმა შემადგენლობამ დიდი გულადობა გამოიჩინა და მტერს რამდენიმე ყორღანი წაართვა, მაგრამ მტრის წინააღმდეგობა ჯერ კიდევ ძლიერი იყო, ჯერ კიდევ დიდი ბრძოლა იყო საჭირო მის გასატეხად.

ენერგიულად მოქმედებდა 1367-ე პოლკის მე-2 ბატალიონი. მან შეძლო მიეღწია დანაღმულ ველამდე და მავთულხლართებამდე და იწყო ველის განაღმვა, მავთულხლართებში გასასვლელების კეთება, მაგრამ ბატალიონმა მტრის წინააღმდეგობა ერთბაშად ვერ გადალახა და ჩასანგრდა.

თავგანწირვით იბრძოდა 1367-ე მსროლელი პოლკის მე-3 ბატალიონიც. მისი საბრძოლო უბანი განსაკუთრებით ძლიერად ჰქონდა მტერს გამაგრებული, ამიტომ დიდ მანძილზე წინ წაწევა ვერც ამ ბატალიონმა შეძლო. ბატალიონმა დიდი ზარალი განიცადა და იძულებული გახდა, ისიც ჩასანგრებულიყო. ამასობაში 1375-ე მსროლელი პოლკის 1-ელი ბატალიონი გადავიდა თერგის მარცხენა ნაპირზე, ხოლო 1371-ე მსროლელმა პოლკმა თავი მოიყარა თერგის გადასასვლელთან მუნდარ-იურტში. გაავდრდა, გზები გაუვალი გახდა, შეტევითი ოპერაცია მეტად გართულდა, მაგრამ დივიზიის მთელი პირადი შემადგენლობა მაინც მხნედ იყო და იბრძოდა ამოცანის შესასრულებლად.

ამ დღეს ფაშისტებთან გააფთრებულ ბრძოლაში დაიჭრნენ 1367-ე მსროლელი პოლკის მე-2 ბატალიონის მე-5 ასეულის 1-ელი ოცეულის მეთაური ლეიტენანტი **პეტრე ჯაკობია**, ამავე პოლკის მე-3 ბატალიონის მე-7 ასეულის 1-ელი ოცეულის მეთაური ლეიტენანტი **ანტონ კერვალიძე**, ამავე ბატალიონის მე-9 ასეულის მე-2 ოცეულის მეთაური ლეიტენანტი **მიხეილ ქოიავა**, ტანკსაწინააღმდეგო მეთოფეთა ოცეულის მეთაური ლეიტენანტი **სოლომონ სულაშვილი.**

მტერთან ბრძოლაში თავი ისახელეს 1367-ე მსროლელი პოლკის 1-ელი ბატალიონის მე-4 ასეულის მეთაურმა, ლეიტენანტმა **დ. შველიძემ**, 1-ელი ბატალიონის მეტყვიამფრქვევთა 1-ელი ასეულის მეთაურის მოადგილემ, ლეიტენანტმა **ვ. ჯაფარიძემ**, სანინსტრუქტორმა **ლ. ადამიამ**, მებრძოლებმა **ვ. ბეჟიტაშვილმა** და **შუბითიძემ,** რომლებმაც ზუსტი ცეცხლით მოსპეს ფაშისტების ჯგუფი, ზემდეგმა **ალექსანდრე ხატიაშვილმა**, წითელარმიელმა **ივანე სოლოლაშვილმა,** ათეულის მეთაურმა სერჟანტმა **სოლომონ მჭედლიძემ**, რომელმაც 7 ფაშისტი მოსპო, 1371-ე მსროლელი პოლკიდან მე-3 ასეულის პოლიტხელის მოადგილემ **ა. ჭელიძემ**, რომელმაც მოსპო 8 ფაშისტი, და მე-2 ასეულის მებრძოლებმა **კვანტალიანმა** და **კენჭაძემ**, რომლებმაც მოსპეს ორ-ორი ფაშისტი.

ბრძოლებში კარგად მუშაობდნენ სამეკავშირო ქვეგანაყოფები.

გივი ბერძენიშვილი

მეკავშირეები ყველა პირობებში უზრუნველყოფდნენ მეთაურებს რადიო და სატელეფონო კავშირით, ხაზის დაზიანება-განყვეტის შემთხვევაში სწრაფად აღადგენდნენ მას.

4 დეკემბრის გააფთრებული ბრძოლების დროს განსაკუთრებით კარგად მუშაობდა 1367-ე პოლკის კავშირის სამსახურის უფროსი, უფროსი ლეიტენანტი, **ა. აბესაძე**, მებრძოლი **კ. სანაძე**, წითელარმიელი **ლ. ჩეფიჩაშვილი** და წითელარმიელი **ე. ლეჟავა**, რომლებმაც მტრის ძლიერი ცეცხლის ქვეშ რამდენჯერმე აღადგინეს დაზიანებული ხაზი 2-4 კილომეტრის მანძილზე და ამით ბრძოლის მეტად პასუხსაგებ მომენტში უზრუნველყვეს მეთაურები შტაბებთან და ქვეგანაყოფებთან მუდმივი კავშირით.

1367-ე მსროლელი პოლკის ასეულების პარტორგები — უფროსი სერჟანტი **ვ. გარსევანიშვილი** და სერჟანტი **ს. ტოტიკაშვილი** დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდნენ ქვეგანაყოფში. ისინი შესანიშნავი აგიტატორებიც იყვნენ, ყოველთვის იქ გაჩნდებოდნენ, სადაც მეტი გასაჭირი იყო და თავიანთი გულადობით ყველას სიმტკიცეს უნერგავდნენ.

როდესაც ფლანგიდან მტრის

ძლიერი ცეცხლის გამო ასეული იძულებული იყო დროებით შეეჩერებინა შეტევა, ასეთ მომენტში ტოტიკაშვილმა გონივრული ინიციატივა გამოიჩინა, სწრაფად აიღო შექმნილ ვითარებაში ორიენტაცია, მოხერხებული პოზიცია დაიკავა, მტრის ტყვიამფრქვევის სამყოფელი დაადგინა, მანძილი სწორად განსაზღვრა, აუღელვებლად და ზუსტად ამოიღო მიზანში და მალე მტრის საცეცხლე წერტი თავის ტანკსაწინააღმდეგო თოფით დაამსხვრია. მსგავსი ინიციატივა არა ერთხელ გამოუჩენია მებრძოლ გარსევანიშვილსაც.

იშჩორსკაიასათვის ერთ-ერთ ცხარე ბრძოლაში ორივენი გმირული სიკვდილით დაეცნენ.

ყველა ამ ბრძოლებში სანგრებსა და საცეცხლე პოზიციებზე იმყოფებოდნენ და აქტიურად მოქმედებდნენ პოლიტმუშაკები და აგიტატორები. ისინი მებრძოლებთან ატარებდნენ საუბრებს, უხსნიდნენ მათ ამოცანებს, აცნობდნენ დღის გმირებს, უნერგავდნენ მტერზე გამარჯვების ურყევ რწმენას; ამასთან, ზრუნავდნენ მეომრების კვებასა და ჩაცმაზე, ორგანიზებულად აწყობდნენ დაჭრილთა გამოყვანას ბრძოლის ველიდან და სხვ.

5 დეკემბერს, ღამით, ბენო-იურტის რაიონში დივიზიამ თავისი საბრძოლო ნაწილები და არტილერია თერგის მარცხენა ნაპირას გადაიყვანა. 6 დეკემბერს, დილით, დაიწყო შეტევა იშჩორსკაიასა და რკინიგზის გადასასვლელ გალიუგაევსკაიას მიმართულებით, მაგრამ ჩვენები კვლავ წააწყდნენ მტრის ძლიერ წინააღმდეგობას, შეტევა შეაჩერეს იშჩორსკაიას მისადგომებამდე 1,5 კილომეტრის სიშორეზე და 11 დეკემბრამდე ბრძოლებს აწარმოებდნენ ზღუდეზე — იშოჩრსკაიას სამხრეთ-დასავლეთით და სიმაღლე 117,3-ის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობებზე.

გულადად იბრძოდნენ 1375-ე მსროლელი პოლკის ტანკსაწინააღმდეგო ბატარეის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში **მ. სარჯველაძე**, 120-მმ ნაღმმტყორცნელთა ბატარეის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში **ა. თვალიაშვილი,** ასეულის პოლიტხელის მოადგილეები **კ. საალიშვილი, ვ. კაკაბაძე და ს. ჯიოევი,** სანაღმმტყორცნო ოცეულის მეთაურის თანაშემწე, სერჟანტი **ა. კობახიძე**, ოცეულის მეთაური ლეიტენანტი **დ. გამეზარდაშვილი**; 1367-ე მსროლელი პოლკიდან ასეულის პოლიტხელის მოადგილე **ი. ქორიძე**, ოცეულის მეთაური ლეიტენანტი **ა. კაცაძე**, ასეულის მეთაური, ლეიტენანტი **ა. სამთელაძე** და სხვები.

ოცეულის მეთაურმა ლეიტენანტმა **დ. გამეზარდაშვილმა** გმირობისა და ვაჟკაცობის არა ერთი მაგალითი მოგვცა. იშჩორსკაიასთვის შერკინებებში მტერს დიდი ზარალი მიაყენა, ერთ-ერთ ბრძოლაში პირადად 7 მეავტომატე მოსპო, რამდენიმე დღის განმავლობაში 19-ჯერ მიიღო მონაწილეობა მტრის იერიშების უკუგდებაში. 5 დეკემბერს იგი დაიჭრა, მაგრამ ამოცანის შესრულებამდე მწყობრიდან არ გამოვიდა. ამ დღეს გამეზარდაშვილის ქვეგანაყოფმა მტრის ერთი ოცეული მოსპო. როდესაც ოცმეთაური მძიმედ დაიჭრა, იძულებული გახდა, დაეტოვებინა ბრძოლის ველი, მაგრამ გამოჯანმრთელების შემდეგ იგი კვლავ თავის ნაწილში დაბრუნდა.

ბრძოლაში მწყობრიდან გამოსული მეთაურის სწრაფად და უნარიანად შეცვლას წარმატებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ეს კარგად იცოდა ასეულის პოლიტხელის მოადგილემ **ივანე ქორიძემ**, რომელსაც ამ თემაზე არა ერთხელ ჩაუტარებია საუბარი მებრძოლებთან. საერთოდ, ქორიძე შესანიშნავი აგიტატორი და მტკიცე ბოლშევიკი იყო, ცხოვრების დიდი გამოცდილება ჰქონდა და ეს 44 წლის კაცი ჭაბუკური გზნებით ყველას აღაფრთოვანებდა.

იშჩორსკაიასთვის ბრძოლის დროს მტრის მიერ ფლანგიდან დაშენილი ძლიერი გამანადგურებელი ცეცხლის ზონაში აღმოჩნდა ერთ-ერთი ოცეული. მეთაური დაიღუპა. მწყობრიდან გამოვიდა კიდევ რამდენიმე მებრძოლი. ოცეულში მდგომარეობა დაიძაბა, აშკარა დაბნეულობის რეალური საშიშროება შეიქნა. ამ მომენტში ოცეულთან ახლოს იმყოფებოდა ქორიძე. მან მდგომარეობა სწრაფად შეაფასა, ოცეულის მეთაურობა იკისრა და მთელ პირად შემადგენლობას ომახიანად შესძახა: „არავითარი დაბნეულობა, მეგობრებო! მეთაურობას მე ვკისრულობ, მომყევით!“

ოცეული ერთსულოვნად გაჰყვა უფროსი მეგობრის ბრძანებას და სწრაფად გამოვიდა გამანადგურებელი ცეცხლის ზონიდან.

1367-ე მსროლელი პოლკის მე-2 ბატალიონის მე-5 ასეულის მეთაური, 24 წლის ახალგაზრდა ლეიტენანტი **ანდრო სამთელაძე** მონაწილეობდა, თავის მებრძოლებს ნამდვილი გმირობის მაგალითს აძლევდა. ლეიტენანტი სანთელაძე ერთ-ერთი საბრძოლო ამოცანის შესრულების დროს დაიჭრა, მაგრამ მწყობრიდან არ გამოვიდა, დაჭრილი აგრძელებდა ასეულის მართვას ბრძოლაში. 9 დეკემბერს იგი გმირულად დაეცა. **სიკვდილის შემდეგ სანთელაძე დაჯილდოებულ იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.**

5-8 დეკემბერს სამშობლოსთვის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ კომუნისტები **გიორგი ერმინეს ძე ადეიშვილი, ივანე ტროფიმეს ძე ვარძანაშვილი, დავით ალექსანდრეს ძე იმერლიშვილი, სიმონ დავითის ძე ნოზაძე, ვლადიმერ ესტატეს ძე ჩხუტნაშვილი; კომკავშირელები — ბორის არკადის ძე ბზიავა, ტიგრან ალექსანდრეს ძე ბერიკაშვილი, ალი ასლანის ძე გერაძე, შოთა აკაკის ძე გრძელიშვილი, სიმონ პავლეს ძე კირკიტაძე, ბესო გიორგის ძე ნათომაშვილი, დავით გაბრიელის ძე ფირცხალავა, შამილ მამედის ძე შამილოვი, ალიოშა კალისტრატეს ძე ქაჯაია, ვლადიმერ დომენტის ძე მიქავა და სხვები.**

1367-ე მსროლელი პოლკის 1-ელი ბატალიონის მე-2 ასეულის მე-2 ოცეულის მეთაური, 23 წლის ჭაბუკი, ლეიტენანტი **ა. კაცაძე** უნარიანად ხელმძღვანელობდა ოცეულს. იშჩორსკაიასთან ბრძოლის დროს მოჰყვა მტრის ჯოჯოხეთური ცეცხლის ქვეშ, ოცეული თითქმის მთლიანად განადგურდა — დარჩა მხოლოდ სამი მებრძოლი, მაგრამ მიღწეული ზღუდე შენარჩუნებულ იქნა.

1375-ე მსროლელი პოლკის მე-3 ბატალიონის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში უფროსი ლეიტენანტი **ძ. დვალიშვილი** ყოველმხრივ ეხმარებოდა მეთაურს საბრძოლო ამოცანის შესრულებაში. იგი ყოველთვის იქ გაჩნდებოდა ხოლმე, სადაც მეტი გასაჭირი იყო და თამამად იღებდა თავის თავზე უშუალო პასუხისმგებლობას. იშჩორსკაიასთვის ბრძოლის დროს ერთ-ერთი

ოცეულის მეთაური დაიჭრა. სწორედ ამ ოცეულზე მტრის მეავტომატეთა ჭარბმა ძალამ მოიტანა კონტრიერიში. შეიქმნა კრიტიკული მდგომარეობა ოცეულისთვის, რაც, ცხადია, დიდ საშიშროებას უქმნიდა ასეულსაც. ამიტომ იყო, რომ პოლიტმუშაკი დვალიშვილი უშუალოდ ჩაუდგა სათავეში ოცეულს, პირადი მაგალითით აღაფრთოვანა მეომრები და მტერი დიდი ზარალის მიყენებით უკუაგდო.

ᲘᲨᲩᲝᲠᲡᲙᲐᲘᲐᲡᲗᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲓᲒᲝᲛᲔᲑᲖᲔ — 110,1, 116,4, 117,3 ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ 10 ᲓᲦᲘᲡ ᲒᲐᲜᲒᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲐᲤᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲒᲐᲜᲣᲬᲧᲕᲔᲢᲔᲚᲘ, ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡᲛᲭᲠᲔᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲓᲐ. ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲨᲔᲣᲜᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ, ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘᲡ, ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲓᲣᲔᲚᲘᲡ, ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲘᲔᲠᲘᲨᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲢᲠᲘᲔᲠᲘᲨᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ, ᲛᲢᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲣᲡᲢᲘ ᲣᲑᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲘᲜᲯᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ, ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲯᲝᲯᲝᲮᲔᲗᲣᲠᲘ ᲡᲘᲫᲜᲔᲚᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲚᲐᲮᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ.

დივიზიის ნაწილები პირდაპირ მტრის თვალწინ, ღია ადგილზე იმყოფებოდნენ. მტერი ძლიერ ცეცხლს უშენდა ჩვენების საბრძოლო წყობებს, ღამის საათებში განუწყვეტლივ ანათებდა წინა ხაზს და არ იძლეოდა თავის წამოყოფისა და ძელმიწურ საცეცხლე წერტებთან მიახლოების საშუალებას. ყველა ამ სიძნელეს ისიც ემატებოდა, რომ დივიზია არ იყო უზრუნველყოფილი საჭირო რაოდენობის თბილი ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით. ტრანსპორტი სრულიად არ იყო საკმარისი. ამიტომ საბრძოლო მასალებით მომარაგება და დაჭრილების ევაკუაცია გაძნელებული იყო. ასეთ პირობებში ძლიერი ყინვების შედეგად, ცხადია, ბევრი მებრძოლი გამოდიოდა მწყობრიდან.

მიუხედავად ამისა, დივიზიის მთელი პირადი შემადგენლობის საბრძოლო განწყობილება და სულისკვეთება მაღალი იყო, მისი სიმტკიცე და მედგრობა — დაუძლეველი.

1367-ე მსროლელი პოლკის მე-2 და მე-3 ბატალიონები 3-დან 6 დეკემბრამდე განუწყვეტლივ უტევდნენ ფაშისტთა პოზიციებს. ჩვენი ბატალიონების წინააღმდეგ მტერი აწარმოებდა სასტიკ ჩაწერტებულ საარტილერიო და სანაღმმტყორცნო ცეცხლს, მათ შორის ავტომატური ექვსლულიანი ნაღმსატყორცნებით. მაგრამ ქართველ მებრძოლებს ერთი ნაბიჯითაც არ დაუხევიათ უკან.

ბრძოლების გააფთრებულ ხასიათზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ მარტო ორ დღეში, 5 და 6 დეკემბერს, დივიზიამ მტერთან ბრძოლაში დაჭრილებისა და მოკლულთა სახით 898 კაცი დაკარგა.

ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ. ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ

ანაპის 414-ე ქართულმა დივიზიამ ყირიმის განთავისუფლებისთვის ბრძოლებში მტერს დიდი ზარალი მიაყენა. მან თავის შეტევის ზოლში გაანადგურა მტრის 5224 ჯარისკაცი და ოფიცერი, 250 ხელისა და 140 დაზგის ტყვიამფრქვევი, 15 საზენიტო ტყვიამფრქვევი, 135 ნაღმსატყორცნი, 91 ქვემეხი, 63 ავტომანქანა, 4 ტრაქტორი. ამ პერიოდში დივიზიამ ტყვედ წამოიყვანა მოწინააღმდეგის 600 ჯარისკაცი და ოფიცერი. გარდა ამისა, დივიზიამ მტერს წაართვა 49 ტყვიამფრქვევი, 47 ნაღმსატყორცნი, 12 ქვემეხი, 635 ცხენი, მილიონამდე ვაზნა და ჭურვი და უამრავი სხვა საბრძოლო მასალა.

ამ ბრძოლებში გადამწყვეტ როლს ასრულებდა დივიზიის არტილერია. მარტო სევასტოპოლისთვის უკანასკნელი 5 დღის ბრძოლებში ჩვენმა არტილერიამ მტრის მისამართით გაგზავნა 19874 ყუმბარა, მოსპო მტრის 1700 ჯარისკაცი და ოფიცერი, დაადუმა და გაანადგურა 133 ტყვიამფრქვევი, 6 სანაღმმტყორცნო ბატარეა, 5 საზენიტო ბატარეა, 1 საარტილერიო ბატარეა, 25 ცალკე ქვემეხი, 4 ცალკე ნაღმსატყორცნი, 3 ჯავშანმანქანა, 11 ხანგრძლივი და ძელმიწური საცეცხლე წერტი, ჩაძირა 2 კატერი.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲡᲝᲤᲠᲝᲛᲐᲫᲔ

ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲘ ᲓᲐᲛᲪᲧᲠᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲧᲘᲠᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲔ-11 ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲣᲚᲘ ᲛᲡᲠᲝᲚᲔᲚᲘ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲖᲦᲕᲘᲡᲞᲘᲠᲗᲘᲗᲘᲡ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲠᲓᲚᲝᲑᲔᲑᲛᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ. ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘᲡ ᲡᲐᲠᲓᲚᲝᲑᲐᲛ 414-Ე ᲐᲜᲐ�პᲘᲡ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲐ 1944 ᲬᲚᲘᲡ 16 ᲛᲐᲘᲡᲡ ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐᲖᲔ ᲬᲐᲠᲐᲓᲒᲘᲜᲐ.**

„... 414-ე ანაპის ქართული მსროლელი დივიზია, — ნათქვამია წარდგინებაში, — გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან, მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის ღირსია გარდაიქმნას გვარდიულ დივიზიად... ეჭვი არ არის, რომ ქართველი მეომრები, რომლებიც მტკიცედ არიან შეკავშირებულნი და აღსავსენი არიან მტრის სწრაფად განადგურების სურვილით, შემდეგშიაც სასახელოდ შეასრულებენ სარდლობის მიერ მათ წინაშე დასმულ ყველა საბრძოლო ამოცანას“.

ზღვისპირეთის ცალკე არმიის სამხედრო საბჭომ დივიზია წარადგინა წითელი დროშის ორდენზე და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 24 მაისის ბრძანებულებით ანაპის 414-ე ქართული მსროლელი დივიზია დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით.

ზღვისპირეთის ცალკე არმიის სამხედრო საბჭომ დივიზიის ნაწილების საბრძოლო მოქმედებას ყირიმის განთავისუფლების საქმეში მაღალი შეფასება მისცა და თითქმის ყველა საბრძოლო ნაწილი წარადგინა უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკში „ქერჩისა“ და „სევასტოპოლის“ სახელწოდებების მისანიჭებლად.

სახელდობრ, 1944 წლის 6 მაისის დადგენილებით „ქერჩის“ სახელწოდებაზე წარდგინდა 1375-ე მსროლელი და 1053-ე საარტილერიო პოლკები, ხოლო 14 მაისის № 114 დადგენილებით „სევასტოპოლის“ სახელწოდებაზე 1367-ე და 1371-ე მსროლელი პოლკები, 443-ე ცალკე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონი და 347-ე ცალკე მესანგრეთა ბატალიონი.

უმაღლესი მთავარსარდლის 1944 წლის 24 მაისის ბრძანებულებით „სევასტოპოლის“ სახელწოდება მიენიჭათ 1367-ე და 1371-ე მსროლელ პოლკებს.

5 ათასზე მეტმა ჯარისკაცმა, უფროსმა მეთაურმა და ოფიცერმა, მათ შორის 1500 კომუნისტმა, მიიღო მთავრობის საბრძოლო ჯილდოები — ორდენები და მედლები.

ზღვისპირეთის ცალკე არმიის სამხედრო საბჭომ 1944 წლის 29 მაისს მიიღო გადაწყვეტილება ყირიმის განთავისუფლებისათვის გმირულად დაღუპული მეომრების ხსოვნის უკვდავსაყოფად ქალაქ სევასტოპოლთან ახლოს, მთა საპუნ-გორაზე, და ქალაქ ქერჩთან, მითრიდატის მთაზე, ძეგლის აგების შესახებ. 1944 წლის 18 სექტემბერს არმიის სამხედრო საბჭომ დაამტკიცა ამ ძეგლების მემორიალურ დაფაზე შესატან მეომართა სია.

ანაპის 414-ე ქართული მსროლელი წითელდროშოვანი დივიზიიდან მითრიდატის მთაზე აგებული ძეგლის მემორიალურ დაფაზე შეტანილ იქნა **ვლადიმერ იასონის ძე ჯორბენაძე**, სერჟანტი, ნაღმმტყორცნი მემიზნე, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ იმყოფებოდა მტრის საარტილერიო ძლიერი ცეცხლის ქვეშ, არ შეწყვიტა ჩვენი ქვეითებისათვის ცეცხლით დახმარება, თვითონ დაიღუპა, მაგრამ ჩვენებს საშუალება მისცა საბრძოლო ამოცანა შეესრულებინათ.

საპუნ-გორაზე აგებული ძეგლის მემორიალურ დაფაზე შეტანილ სახელებს შორის ვკითხულობთ: **ვალერიან ილარიონის ძე ნიკურაძე**, დივიზიის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, პოდპოლკოვნიკი, რომელიც უნარიანად ხელმძღვანელობდა დივიზიის ნაწილების ბრძოლას სევასტოპოლის მისადგომებთან და **კონსტანტინე ვარლამის ძე მიქაბერიძე**, კომუნისტი, ლეიტენანტი, 1375-ე მსროლელი პოლკის 120-მილიმეტრიანი ნაღმმტყორცნი ბატარეის ოცეულის მეთაური, რომელმაც სევასტოპოლის მისადგომებთან ბრძოლაში ისახელა თავი, ოცეულის ცეცხლით მოსპო ერთ ასეულამდე ფაშისტი, გაანადგურა მტრის 20 საცეცხლე წერტი და დაადუმა ორი ბატარეა.

სევასტოპოლისათვის ბრძოლებში დივიზიას უნარიანად მეთაურობდა გენერალ-მაიორი ვალერიან სერგოს ძე ძაბახიძე.

დიდების ძეგლი

ქალაქ სევასტოპოლის განთავისუფლებისთვის ისტორიულ ბრძოლებში გმირულად დაცემულ 414-ე ქართული დივიზიის მებრძოლთა ხსოვნის უკვდავსაყოფად ძმათა სასაფლაოზე, საპუნ-გორის რაიონში, აგებულია გრანდიოზული მონუმენტური ძეგლი. მონუმენტი გაიხსნა 1961 წლის 21 ივნისს დიდი სამამულო ომის დაწყებიდან 20 წლისთავთან დაკავშირებით.

ძეგლი თაობიდან თაობას გადასცემს, თუ როგორ მამაცურად იბრძოდნენ სამშობლოსათვის, მომავლისათვის ქართველი ხალხის წარგზავნილები დიდ სამამულო ომში. დედა-სამშობლოსადმი მათი უსაზღვრო სიყვარული და თავდადება, გმირობა და ვაჟკაცობა მუდამ ცოცხალი მაგალითი იქნება ჩვენი ახალგაზრდობისთვის.

იტალიის ეროვნული გმირი ფორე მოსულიშვილი

1970 წლის 28 თებერვალს იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჯუზეპე სარაგატიმ ხელი მოაწერა დეკრეტს იტალიის ეროვნული წინააღმდეგობის მონაწილის, ქართველი მეომრის, ქვემომაჩხაანელი ფორე ნიკოლოზის ძე მოსულიშვილის სიკვდილის შემდგომ ქვეყნის უმაღლესი ჯილდოთი — ოქროს მედლით „მხედრული მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ. ეს ოქროს მედალი იტალიის უმაღლესი და ყველაზე საპატიო ჯილდოა. მისი კავალერი იტალიის ეროვნულ გმირად ითვლება და გენერალიც კი ვალდებულია, პირველი მიესალმოს ჯარისკაცს, რომელიც ამ მედალს ატარებს. მედლით აჯილდოებენ განსაკუთრებულ შემთხვევაში და განსაკუთრებული დამსახურებისთვის. ოქროს მედლის კავალერთა რაოდენობა მცირეა და იშვიათია, რომ იგი მის მფლობელს გადაეცეს, რადგან, უმრავლეს შემთხვევაში, ისინი ცოცხლები აღარ არიან. ჩვენი სახელოვანი თანამემამულე მეორე უცხოელი იყო, რომელიც იტალიელმა ხალხმა თავის ეროვნულ გმირად აღიარა.

მეორე მსოფლიო ომის წლებში იტალიაში ხუთი ათასზე მეტი საბჭოთა მებრძოლი ომობდა.

ჩრდილოეთ იტალიაში, განსაკუთრებით კი ნოვარის პროვინციაში, პარტიზანულ რაზმებში 300-ზე მეტი ქართველი მეომარი ირიცხებოდა. ისინი გმირობისა და მამაცობის შესაშურ მაგალითებს იძლეოდნენ. ბევრმა ქართველმა ვაჟკაცმა ისახელა თავი იტალიის მიწაზე. საქვეყნოდ არის ცნობილი **ნოე კუბლაშვილის, ვასილ ურუშაძის, გრიგოლ ჩხაიძის, კოტე ლეჟავას, შალვა კვასხვაძის, ნიკოლოზ ესართიას, შალვა სიგუას, ალექსანდრე ფარცხალაძის, ვლადიმერ გაბისონიას, ვარლამ ლეკვეიშვილის, გიორგი ნასარიძისა** და სხვათა სახელები.

იტალიის ეროვნული გმირის, ფორე მოსულიშვილის ვინაობის დადგენა და მის მიერ შორეულ იტალიაში გამოჩენილი თავდადებისა და სიმამაცის შესწავლა-გამომზეურება ჟურნალისტ ედუარდ სიხარულიძის საგულდაგულო ძიების შედეგია. ამ მიზნით 1971 წლის თებერვალში იგი თავის კოლეგა ვ. ესვანჯიასთან ერთად მივლინებით იტალიაში გაემგზავრა. სწორედ ამ მოგზაურების შედეგია ის წიგნი, რომელიც ე. სიხარულიძემ სახელოვანი თანამემამულის ნაკვალევზე მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილებების შემდეგ დაწერა სათაურით „იტალიის ეროვნული გმირი“.

* * *

ოცდაოთხი წლისა იყო ფორე მოსულიშვილი, დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო. იგი ბალტიისპირეთში ებრძოდა მტერს და უგონოდ მყოფი ჩაიგდეს ტყვედ. ესეც ბედის დაცინვა იყო, რადგან ყველაზე ნაკლებად ტყვეობას ეგუებოდა მისი ბუნება.

მისი მეგობრისა და თანამებრძოლის, ისაკ ძამნაშვილის ნაამბობი:

„1943 წლის დამლევს ტყვეთა ერთი ნაწილი პოლონეთიდან საფრანგეთში გადაიყვანეს.

აქაური ბანაკის უფროსის სიმხეცესა და ავკაცობაზე არაკებს ჰყვებოდნენ და ახალჩამოყვანილებიც საგანგებოდ გააფრთხილეს უკვე გამოცდილმა ტყვეებმა.

მეორე დღეს, დილაადრიან, სამუშაოდ გასულ ტყვეებში ნიავივით ჩამოიქროლა ჩურჩულმა:

— მოდის, მოდის!

მალე ბარაკის გვერდით მაღალი ტანის გერმანელი ოფიცერი გამოჩნდა. უკან ავტომატებით შეიარაღებული ჯარისკაცები მოჰყვებოდნენ.

ბანაკის უფროსი დაკვირვებით ათვალიერებდა და ამოწმებდა ნამუშევარს. დიდხანს იარა აქეთ-იქით, ზოგს მათრახი გადაუჭირა, ზოგს დახვრეტით დაემუქრა. შემდეგ, თითქოს განგებ, ფორეს წინ შეჩერდა. ეტყობა, მისმა ტანადობამ და მოშვებულმა წვერმა მიიქცია ყურადღება.

— სადაური ხარ? — იკითხა ოფიცერმა.

— ქართველი.

— აჰა, ქართველი, ქართველი, — გაიმეორა ბანაკის უფროსმა და უცებ არაადამიანური ხმით იყვირა:

— აბა, დაიჩოქე!

ფორე კიდევ უფრო გაიმართა წელში და თვალი თვალში გაუყარა.

კარგა ხანს უყურებდნენ ერმანეთს. მერე ბანაკის უფროსმა დინჯად მოიმარჯვა ტყავის მათრახი და გამომწვევად გაჩერებულ ფორეს გადაუჭირა...

ფორე არც კი შერხეულა... ელვის სისწრაფით გამართა გოლიათური მკლავი და ისეთი ალიყური აჭამა ბანაკის უფროსს, რომ იგი მოცელილივით დავარდა.

ხალხი მონუსხულივით იდგა.

საოცარ სიჩუმეში ყველა და ყველაფერი დაიძაბა.

ძლივს წამოდგა გერმანელი ოფიცერი. ცხვირიდან და ყურებიდან სისხლი სდიოდა. ავტომატმომარჯვებულ ჯარისკაცებს ანიშნა, უკან დაიხიეთო და აკანკალებული ხელით ამოიღო პარაბელუმი...

ფორე კვლავ გაუნძრევლად იდგა და ზიზღით სავსე თვალებით შესცქეროდა გერმანელს.

იმ წუთებში ყველამ იგრძნო, თუ როგორ დაჯაბნა უიარაღო კაცმა სვასტიკიანი მხეცი“.

ძნელია იმის თქმა, თუ რატომ არ დახვრიტა გერმანელმა ფორე მოსურიშვილი იმ დღეს. იქნებ, შინაგანი პატივისცემით განიმსჭვალა მისი ვაჟკაცური საქციელისადმი? ვინ იცის.

1944 წლის დასაწყისში სამხედრო ტყვეთა ერთი ნაწილი, რომელთა შორის ფორე მოსულიშვილიც იყო, ჩრდილოეთ იტალიაში გადაიყვანეს. იმხანად იქ პარტიზანული მოძრაობა იყო გაჩაღებული. სულ მალე ქართველ სამხედრო ტყვეთა ჯგუფი ნოე კუბლაშვილის მეთაურობით გერმანელთა ბანაკიდან გაიქცა და პარტიზანებს შეუერთდა. ბუნებრივია, ამის შემდეგ ქართველები ერთმანეთს დააშორეს. ასე მოხვდა ფორე ნოვარის პროვინციაში. სწორედ აქედან დააღწია მან თავი ტყვეობას და პარტიზანებს შეუერთდა.

გარიბალდელთა 118-ე ბრიგადის ყოფილ პოლიტიკურ კომისარს ერალდო გასტონეს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩვენი სახელოვანი თანამემამულის გმირობამ უკვალოდ არ ჩაიარა. სწორედ მან ერთ-ერთმა პირველმა მოაწერა ხელი ბრძანებას ფ. მოსულიშვილის ოქროს მედლით დაჯილდოების შესახებ.

ე. გასტონეს ნაამბობიდან:

„ფორე მოსულიშვილი 1944 წლის 8 სექტემბერს მოვიდა ჩვენთან და 70-ზე მეტი ქართველი მოიყვანა. ყველა მართლაც შესანიშნავი ბიჭი იყო, ვეფხვივით მამაცი და გაბედული. იმ დროს ეს დიდ ძალას წარმოადგენდა, მით უმეტეს, რომ იარაღიც არ აკლდათ, რომელიც გერმანელებისთვის აეყარათ.

...პარტიზანებთან შეერთების ორიოდე დღის შემდეგ, 14 სექტემბერს, პარტიზანთა ხელმძღვანელობამ განიზრახა, ფაშისტთა ტყვეობიდან ეხსნა ქალაქ ომენის ჰოსპიტალში მყოფი დაჭრილები, რომლებსაც გერმანელები წამებით სიკვდილს უპირებდნენ. მათ შორის იყვნენ სოფელ ჯენეზიასთან ბრძოლაში ტყვედ ჩავარდნილი **ძმები გოგიშვილები** და იტალიელი ათმეთაური **ედო დელგრატო.**

სარისკო საქმე იყო. ომენიაში ფაშისტები ბლომად იყვნენ. დაზვერვის ცნობის თანახმად, ჰოსპიტლის შენობას დღედაღამ გერმანელთა გაძლიერებული რაზმი იცავდა.

ოპერაციის განხორციელება დაევალა პარტიზანთა ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში ფორე მოსულიშვილთან ერთად ხუთი ქართველი — **ვალოდია ჭედია, ნასყიდა სონღულაშვილი, მიტო ჩოლოყაშვილი, ბობოხია და ერთი იტალიელი — სტეფანო განჯი** შედიოდნენ.

რაზმი გვიან ღამით დაიძრა დავალების შესასრულებლად. ჩამოიარეს მთის კალთები და შეუმჩნევლად შევიდნენ ქალაქში.

ჰოსპიტლის შენობას მაღალი გალავანი ერტყა. ღამის მყუდროებაში გარკვევით ისმოდა გერმანელი გუშაგის ფეხის ხმა.

— თქვენ აქ იყავით და ჩემს ნიშანს დაელოდეთ, — ჩურჩულით უთხრა ფორემ რაზმის წევრებს, ფრთხილად წამოდგა და ჭიშკრისკენ წავიდა.

კარგა ხანმა განვლო.

ფორე სუნთქვაშეკრული ელოდა, როდის გაივლიდა მის ახლოს ფაშისტი, რომელიც თითქოს განგებ არ ჩქარობდა. ბოლოს, როგორც იქნა, გამობრუნდა. ორიოდე მეტრზე მიუახლოვდა თუ არა, ფორე ავაზასავით დააცხრა და ისე მოგუდა, ხმის ამოღებაც არ დააცადა. შემდეგ გერმანელის ფორმაში გამოეწყო, მისივე ავტომატი აიღო და გუშაგის მოვალეობის „შესრულებას“ შეუდგა.

პარტიზანები სწრაფად შევიდნენ ეზოში, უხმაუროდ განაიარაღეს მოულოდნელობისგან თავზარდაცემული ფაშისტები და დაჭრილები წამოიყვანეს. მათ შორის იტალიელი მეთაური ედო დელგრატოც იყო“.

1944 წლის სექტემბერში ცხარე ბრძოლები გაჩაღდა დომოდოსოლოს მისადგომებთან. ფორე მოსულიშვილს პარტიზანთა ხელმძღვანელობამ საპატიო დავალება მისცა — უნდა მოესპოთ დომოდოსოლოსკენ მიმავალი სარკინიგზო და საავტომობილო გზები. ოპერაცია ფრიადზე შესრულდა.

ფორეს თანამებრძოლებმა არაერთი საინტერესო და საამაყო ეპიზოდი შემოუნახეს შთამომავლობას ამ არაჩვეულებრივი ვაჟკაცის პარტიზანული ცხოვრებიდან. მას, როგორც გერმანულის შესანიშნავ მცოდნეს, რამდენჯერმე მოუწია გერმანელი ოფიცრის ფორმაში გადაცმულს სახიფათო და სარისკო დავალების შესრულება.

1944 წლის 3 დეკემბერს იმ სუსხიან დილას, სოფელ კოლონიას განაპირას ფ. მოსულიშვილმა შეგნებულად გასწირა თავი მეგობრებისთვის. შინაგანმა კეთილშობილებამ და დიდბუნებოვნობამ აიძულა იგი, მსხვერპლად გაეღო საკუთარი სიცოცხლე სხვათა გადასარჩენად.

აი, რას ყვებოდნენ ფორეს დაღუპვასთან დაკავშირებით მისი იტალიელი თანამებრძოლები.

ერალდო გასტონე: „...გერმანელებმა ალყა შემოარტყეს რაზმს, რომელშიც ფორე მოსულიშვილიც იყო. მტერმა სასიკვდილოდ განწირულ პარტიზანებს წინადადება მისცა: თუ თქვენი მეთაური ჩაგვბარდება, სიცოცხლეს შეგინარჩუნებთო. ფორე რაზმის მეთაური არ იყო, მაგრამ გერმანელებს თავი ასე წარუდგინა: „რაზმის მეთაური მე ვარ, მაგრამ თქვენთან ტყვეობას სიკვდილი მირჩევნიაო, და მათ თვალწინ მოიკლა თავი“.

მარიო ძინონი: „...გერმანელები თანდათან ავიწროებდნენ რკალს და რაზმის მეთაურს მოითხოვდნენ.

...ერთმანეთს გადავხედეთ, ვერც რაზმის მეთაური ედო დელგრატო და ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ ბედავდა ადგილიდან დაძვრას. გერმანელებთან გასვლა უეჭველ სიკვდილს ნიშნავდა, წამებით სიკვდილს.

და სწორედ მაშინ, როცა ჩვენს დახოცვამდე, ალბათ, წამები იყო დარჩენილი, სისხლით შეღებილი ფორე მოსულიშვილი კართან მივიდა, გამოაღო და გერმანელებს განუცხადა:

— მეთაური მე ვარ, მაგრამ თქვენთან ტყვეობას სიკვდილი მირჩევნიაო და საკუთარი ხელით მოისწრაფა სიცოცხლე.

— გაუმარჯოს პარტიზანებს! გაუმარჯოს თავისუფლებას! ასეთი იყო მისი უკანასკნელი შეძახილი.

მისმა თავგანწირვამ თექვსმეტ კაცს შეგვინარჩუნა სიცოცხლე“.

1972 წელს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ფ. ნ. მოსურიშვილი სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

განა ოდესმე წარმოიდგენდა ქვემომაჩხაანელი ბიჭი, რომ ალპების ძირას დალევდა სულს და ცივგომბორის ნაცვლად მონტე როზას თოვლიანი მწვერვალი იქნებოდა მისი უკანასკნელი სამზერი?!

ახლა უკვდავებაა მისი სახელი, რადგან უკვდავია ხალხის თავისუფლებისთვის დაღუპული მებრძოლის ნათელი სახე.

დეა სვანიძე

ქართველი პარტიზანები საფრანგეთში

არსებობს მრავალი სარწმუნო ფაქტი, რომ ასობით საბჭოთა ადამიანი, რომელიც გერმანელთა ტყვეობაში იმყოფებოდა, გმირულად იბრძოდა მტრის წინააღმდეგ.
ცნობილია, რომ სამხედრო ტყვეებმა, რომლებიც გერმანელებმა საფრანგეთის ტერიტორიაზე გარეკეს, თავი დააღწიეს ტყვეთა ბანაკს და ფრანგ პარტიზანებს შეუერთდნენ. გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისთვის ორასზე მეტი ქართველი პარტიზანი საფრანგეთის რესპუბლიკის მაღალი სამხედრო ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა. სწორედ ქართველთა საგმირო საქმეებზე მოგვითხრობს წიგნი „ქართველი პარტიზანები საფრანგეთში“, რომლის ავტორი ალექსანდრე გუჯაბიძე თავად იყო მონაწილე წიგნში ასახული ამბებისა.
გთავაზობთ ნაწყვეტს ამ წიგნიდან.



ფიქრები სიკვდილის წინ

რვა ქართველი პატრიოტისთვის სიკვდილის განაჩენის სისრულეში მოყვანის წინ ბერლინიდან ჩამოფრენილმა გესტაპოს უფროსმა გამომძიებელმა სიკვდილმისჯილები სათითაოდ გამოიძახა, კალმისტარი და ქაღალდი მიაწოდა და ასეთი დავალება მისცა:

— სიცოცხლეს სიკვდილი არჩიეთ. ყველაფერი თქვენს თავს დააბრალეთ. მაგრამ მაინც ვიჩენთ კაცთმოყვარეობას. დახვრეტის წინ გაძლევთ უფლებას, რაც გინდათ, დაწეროთ!

რა იყო ეს, ჰუმანურობა? არა. ჰუმანურობასა და კაცთმოყვარეობას რა კავშირი ჰქონდა ჰიტლერელებთან. ეს იყო გამოცდა, გაიძვერული ხერხი, იმის გაგების სურვილი, თუ სიკვდილის წინ რა ფიქრები ამოქმედებდათ პატრიოტებს; ხომ შეიძლებოდა, რომ მათ სიკვდილის შიშით დასცდენოდათ რაიმე საიდუმლო, ეთქვათ ვისთან ჰქონდათ კავშირი ანდა რა სურდათ, რატომ ამჯობინეს გერმანელებთან სიცოცხლეს სიკვდილი.

მაგრამ გესტაპოელები მოტყუვდნენ. სიკვდილმისჯილთა წერილებში ახალი და მათთვის სასარგებლო ვერაფერი გაიგეს, გარდა იმისა, რომ პატრიოტებს აღმოაჩნდათ უტეხი ნებისყოფა, სამშობლოს უანგარო სიყვარული, ბრძოლისა და თავდადების დიდი სურვილი.

ვიდრე წერილებს წაიკითხავდეთ, თქვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ იმაზე, თუ როგორ მოვახერხეთ ამ წერილების პოვნა, როგორ მოაღწიეს მათ ჩვენამდე.

ეს წერილები ლიმოჟის საპატიმროში გრიგოლ ნემსაძემ წაუკითხა მის ბედში მყოფ, სასიკვდილო-საკონცენტრაციო ბანაკში გასაგზავნად გამზადებულ თანამემამულეებს **ბიჭიკო კალანდაძეს, აკაკი ჭანტურიას, დათიკო მშვიდობაძეს, კონსტანტინე კირცხალიას, სოსო კახიძეს, აკაკი ფორჩხიძესა და ჰუსეინ ჯინჭარაძეს.** მკითხველი, ალბათ, დაინტერესდება, საიდან ჩაუვარდა ხელში პატიმარ გრიგოლ ნემსაძეს აღნიშნული წერილები?

ქართულად დაწერილი წერილების რუსულად გადათარგმნისთვის გესტაპოს გამომძიებელმა გრიგოლ ნემსაძე თავის კაბინეტში გამოიძახა და ასეთი წინადადება მისცა:

— თუ სწორად არ გადათარგმნი, საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნა დახვრეტით შეგეცვლება!..

გ. ნემსაძე საგონებელში ჩავარდა. მიხვდა, რომ გერმანელები ცდიდნენ, უკვე თარგმნილს ხელახლა ათარგმნინებდნენ. თუ სწორად არ გადათარგმნიდა, მიზეზი მიეცემოდათ და საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნას, მართლაც, დახვრეტით შეუცვლიდნენ.

დავალება მყისვე შესრულდა. გრ. ნემსაძემ გადათეთრებულ თარგმანს ქვეშ გერმანულად მიაწერა: თარგმანი სწორია. მოაწერა თავისი სახელი, გვარი და გერმანულის მცოდნე რუს თარჯიმანს გადასცა, რაც შეეხება შავ ჩანაწერებს, გრიგოლ ნემსაძემ იგი საიმედო ადგილას გადამალა.

საკანში დაბრუნებულმა გრიგოლ ნემსაძემ შვიდივე თანამემამულეს გადააწერინა წერილები და პირობა დასდეს: თვალისჩინივით გაფრთხილებოდნენ ქართველი პატრიოტების მიერ სიკვდილის წინ დაწერილ წერილებს, გადაერჩინათ იგი და, ვინც ცოცხალი დაბრუნდებოდა სამშობლოში, მიეტანათ დახვრეტილთა მშობლებისთვის.

რაღაც სასწაულით საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნილი რვა ქართველი პარტრიოტი დაბრუნდა სამშობლოში, მაგრამ წერილების გადარჩენა მხოლოდ ორმა შეძლო — **გრიგოლ ნემსაძემ და ბიჭიკო კალანდაძემ**. ფიცი პირნათლად შესრულდა: გ. ნემსაძის, ბ. კალანდაძისა და ამ სტრიქონების ავტორის თაოსნობით ყველა დახვრეტილის ოჯახმა წაიკითხა გამოსათხოვარი, სიყვარულითა და პატრიოტული გრძნობით აღსავსე სტრიქონები.

აი წერილები, რომლებიც პატრიოტმა ქართველებმა ივანე აბრამიძემ, ივანე ჩხენკელმა, ეფრემ ებრალიძემ, სულიკო აბულაძემ და ნიკო მარგებაძემ დახვრეტამდე ორი საათით ადრე დაწერეს, წერილები, რომლითაც თავიანთი ფიქრები და მიზნები მტერსა და მოყვარეს გაუმჟღავნეს.

ივანე აბრამიძე:

„საყვარელო და სანატრელო მშობლებო, სამთავე დებო!

ორ საათში მანქანა „შავი ყორანით“ დასახვრეტად წამიყვანენ სვასტიკიანი ჯალათები. საღამოს ჰაერს ველარ ჩავისუნთქავ, დაისზე დახვრეტილი ვიქნები. თითქოს აქედანვე გხედავთ, ვგრძნობ, თუ როგორ გეცვალათ ფერი, შეგეშალათ სახე, გაა-

ბით კივილი, დაიკაწრეთ ლოყები. ნუ, ნუ იზამთ ამას. ნუ მოიკლავთ გულს, ჩემო დედა, ჩემო მამავ, ჩემო დებო! გამხნევდით, გაგიკვირდათ და გაიძახით – რისთვის მოგკლეს, ბიჭოვო? გეტყვით: სამშობლოს საკეთილდღეოდ ვიბრძოდი, სინდისისა და მოვალეობის წინაშე პირნათლად ვმოქმედებდი მტერს თვალს ვუხვევდი, თავს რისხვად ვევლინებოდი, სამარის გათხრას და მათ შიგ ჩაყრას ვუპირებდი, მაგრამ არ დამცალდა. სულმდაბალი, მშიშარა და გარეწარი გამცემლების მეშვეობით მტერმა ჩვენვე გაგვითხარა საფლავი. მჯერა, ჩემს ამაგს ადრე თუ გვიან დამიფასებენ. არ ვიბნევი, შიშით არ ვცახცახებ. თვალებიდან ცრემლი ღაპაღუპით არ გადმომდის, მერე რა, რომ მალე ჩემს გულმკერდს ავტომატის ტყვიებით დაცხრილავენ, ვერცხლისფერ კუბოში არ ჩამდებენ, მშობლები და ჩემიანები ვერ დამიტირებთ, ჩემს საფლავზე ობოლი ვარდი არ გაიშლება, ბულბული რომ მოფრინდეს და გალობით მიდამო დაატკბოს, არ აღმისრულდება ჩემი ოცნება დავბრუნებულიყავ სამშობლოში, მეცხოვრა და მემუშავა საქართველოში, კვლავ მეხილა ქართლის ველ-მინდვრები, ჩვენი ლაჟვარდი ცა, ჩვენიანები. არა, ჩემო ძვირფასებო! მე არაფრის არ მეშინია! მე ვიბრძოდი თავისუფლებისთვის, მზის ამოსვლისთვის, ხალხთა ბედნიერებისთვის. და განა ამ დიდი მიზნისთვის მებრძოლი შეიძლება შიშმა და სასოწარკვეთილებამ შეიპყროს, სიკვდილის წინ ქედი მოიხაროს, დიდი სინანული გამოთქვას? არა. საამაყოდაც მრჩება ასეთი სიკვდილი!..

ერთი თხოვნა შემისრულეთ, ვინც ჩემს სტრიქონებს წააწყდებით, გააგებინეთ საქართველოში, სოფელ დოესში მცხოვრებ ჩემს მშობლებს, რომ ქართველი კაცი ვაჟკაცურად შევეწირე წმინდა საქმეს. მომიგონონ და ნუ დამივიწყებენ!..

მაპატიე, ჩემო ტკბილო დედავ, რომ სიტყვისმოყვარულმა შვილმა პირობა ვერ შეგისრულე ოცდარვა წლის ასაკში დაცოლშვილების ნაცვლად ბედმა სამშობლოსთვის თავის შეწირვა მარგუნა... გიმეორებთ, უდროოდ სიკვდილი კი არ მაშინებს, არამედ მიხარია კიდეც. წარმომიდგენია, გერმანიის ფაშიზმზე გამარჯვების შემდეგ ცხოვრება რარიგ საინტერესო და საამური იქნება დედამიწაზე. რა ვუყოთ, რომ მე ვერ ვიხილავ და ვერ დავტკბები. ისტორია, სამშობლოში დაბრუნებული თანამებრძოლები ხომ იტყვიან, რომ ადამიანების ბედნიერებისთვის ჩვენც თავი დავდეთ? უმიზნოდ ხომ არ ვკვდებით? უმსხვერპლოდ ხომ ასეთი სასიქადულო საქმე თავისუფლება არ მოიპოვება?

მე მჯერა და თქვენც გჯეროდეთ, დიდხანს ვერ გასტანს ჭექა-ქუხილი. გადაიდარებს. დედამიწაზე ბოროტს სძლევს კეთილი. მზე ისევ ამოვა. გადათელილი ყვავილები ისევ გაცოცხლდებიან. ცხოვრება კალაპოტში ჩადგება. და ვიღაც ჩვენს ბედში ნამყოფი თუ უცხოელი, აიღებს პატრიოტულ ვალდებულებას მოძებნოს ჩვენი მშობლები, ყველას გააგებინოს ჩვენი სიმართლე.

...მომეცი, დედი, პირობა, რომ სიმხნევეს არ დაკარგავ, უდროოდ არ დაჩაჩანაკდები... გამოიჩინე ქართველის დედობა. ჩემს მაგიერ მზრუნველობა გაუდიდე პატარა გოდერძის ჩემს საყვარელ დისშვილს.

იგი სამამულო ვაჟკაცად გაზარდე. ისეთ ვაჟკაცად, რომ ფიზიკურად ძლიერი იყვეს, სულიერად მაღალი, კაცთმოყვარე და პატრიოტი.

თქვენთვის თავდადებული, სამუდამოდ გემშვიდობებით, ჩემო სამშობლო საქართველოვ, დედ-მამავ, დებო, ამხანაგებო და მეგობრებო!..“

ივანე ჩხენკელი:

„ვერც გესტაპოს გამომძიებლის მომნუსხველი თვალების მოშტერებულმა ცქერამ, ვერც მისმა გადაკრულმა სიტყვებმა, ვერც ჩემს სხეულზე დამიზნებული ავტომატის ჯერის ცეცხლის ენების წარმოდგენამ მორალურად ვერ გამტეხა, ნერვებიდან ვერ მომშალა. ეს არის, რომ კიდევ უფრო შემაძულა ბოროტი მტერი, კიდევ უფრო შემაყვარა ამქვეყნად მშვიდობა, სიკეთე და სიცოცხლე. გული ჩვეულებრივად მიძგერს, სიკვდილის წინ წარსულს რომ ვიგონებ — ჩვენს მშვიდობიან წარსულს, გული სიხარულით მევსება და ჩემს თავს ვეუბნები: რა კარგი იყო მშვიდობიან პირობებში ცხოვრება და შრომა, სწავლა და გართობა!.. რა კარგი იქნება იგი წყეულ ფაშიზმზე გამარჯვების შემდეგ!..

სამამულო ომში ჩაბმულ ახალგაზრდა პატრიოტს ბედმა საშიში და ამავე დროს სამარცხვინო ხვედრი მარგუნა დაჭრილი და გრძნობადაკარგული ტყვედ ამიყვანეს გერმანელებმა. ბედს არ შევუშინდი, ცხოვრება მიკარნახებდა მომეხდინა არჩევანი: მამაცურად მებრძოლა თუ სიცოცხლის შესანარჩუნებლად მტრის მონა გავმხდარიყავ, სამშობლოსთვის მეღალატა. 24 წლის ასაკში მყოფი სიცოცხლეს დიდად ვაფასებდი, მაგრამ არა ნაძრახს, არამედ სახელოვანს. ჩემი არჩევანი შოთა რუსთაველის ბრძნულ სიტყვებს გაჰყვა: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

ერთგულ თანამემამულეებთან ერთად დარწმუნებული ვიყავ, რომ არალეგალურ პირობებში საშიში მტრის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგად მოგველოდა დახვრეტა, სახრჩობელა ან სასიკვდილო ბანაკი. მაგრამ იმარჯვებდა დიდი მიზანი საერთო, საზოგადო ინტერესები. ჩვენ ბრძოლას განვაგრძობდით...

და როცა სიკვდილის წინა წუთებში ცხოვრებას ვუკვირდები, დასანანებელი არაფერი მრჩება. ვკვდები, მაგრამ ვიცი — გერმანიის ფაშიზმი მალე დაემხობა...

თქვენ, საყვარელო დედავ, მამავ, დებო, ძმებო, ჩემიანებო და მეგობრებო, ყველა ქვეყნის პატრიოტებო! დააკმაყოფილეთ სიკვდილის წინ ჩემი უკანასკნელი სურვილი: დასტოვეთ თქვენს პატიოსან გულებში პატარა ადგილი ჩვენს მოსაგონებლად, ნუ დაგვივიწყებთ. ჩვენთვის ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენთან ერთად განვაგრძობთ სიცოცხლეს.

მე ვფიქრობ და ეჭვი არ მეპარება, ვიღაცის ხელი არ დაიშურებს მადლს, ჩვენს საფლავზე დარგავს ვარდის ხეს — ბულბული რომ მოფრინდეს და სამარისებური სიჩუმე გალობით დაარღვიოს. არ შეიძლება ისტორიას დაეკარგოს სიმართლე, ადრე თუ გვიან გაიგებთ, რომ აქ, შორეულ საფრანგეთში, ქ. პერიგეში განვისვენებთ ქართველი პარტრიოტები...

„არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს და ხალხს შესწიროს დღენია,

მკვდარად ის თქმულა ვისაც აქ სახელი არ დარჩენია“.

ეს სიტყვები მამაგრებს და მოსალოდნელ სიკვდილს არ მაგრძნობინებს“...

ეფრემ ებრალიძე:

„ცხოვრებაში ყველაფერზე უკეთესო დედავ!

დადგა დრო სამუდამოდ გამოგთხოვო. ორიოდე საათში, შეიძლება უფრო ადრეც. სიცოცხლეს წამართმევენ. ოცდაცხრა წლის ასაკში დამთავრდა ჩემთვის ყველაფერი. მზე, რომელიც აგრე რიგად მიყვარდა, ჩა-

ვა, დაბნელდება და აღარც გათენდება. ვიცი, მძიმე ჭრილობას მოგაყენებ, მაგრამ ქართველ დედას მინდა მოგაგონო ილია ჭავჭავაძის „ქართვლის დედის“ სიტყვები:

„აჰა, ამ დღისთვის გაგიზარდე
მამულო შვილი,
სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს
შენთვის სიკვდილი“...

სწორედ ასეთად აღმზარდე და ასეთად ვკვდები. გჯეროდეს, დამშვიდებული ვეთხოვები სიცოცხლეს, რადგან ვიცი, რისთვისაც ვკარგავ მას. სამშობლოს დაცვა, თავისუფლების მოპოვება და ბედნიერება უბრძოლველად, უმსხვერპლოდ არ შეიძლება. ნუ სტირი, დედა, შენ ხომ იცი, როგორ მიყვარდი როგორც დედა, რომელმაც ობლობაში გამოგვზარდე. სწორ გზაზე დაგვაყენე ორი ძმა და ორი და. დედაც იყავ ჩვენთვის და მამაც.

ძმაო და დებო, მოუარეთ დაჩაგრულ დედას, ცრემლი ხშირად მოსწმინდეთ თვალებიდან, ღამით ჩემზე ფიქრით ძილგატეხილს მოსვენება მიეცით. მზრუნველობას ნუ მოაკლებთ. მე სიცოცხლეში ერთხელ მოვკვდი და ისიც სასახელოდ სამშობლოსთვის“.

სულიკო აბულაძე:

„აი, საძულველი მტრის კაბინეტში ვარ. სავარძელში მჯდომი გესტაპოს გამომძიებელი შუბლშეკრული, მოჭუტული და ცბიერი თვალებით ირონიულად შემომცქერის და ვინ იცის, რას არ ფიქრობს ჩემზე.

— არ გეშინია? ორ საათში დაგხვრეტენ! — ნიშნის მოგებით სწორედ იმ დროს მომაძახა გამომძიებელმა, როცა კალმისტარი დასაწერად მოვიმარჯვე.

— არაფრის არ მეშინია! — ვუპასუხე მაცდურ კითხვაზე და წერა დავიწყე.

ან კი რატომ უნდა მეშინოდეს? მეც ხომ ქართველი ხალხის გმირის არსენა ჯორჯიაშვილის სოფლიდან ვარ? მეც ხომ მთის ცელქი მდინარის ალგეთის პირას გაშენებულ სოფელ ბოგვში აღზრდილი და დავაჟკაცებული ვარ? არსენა ჯორჯიაშვილიც ხომ სიკვდილს ღიმილით შეეგება. რამდენჯერ მიმღერია არსენას ლექსი ბავშვობისას და რამდენჯერ მინატრია: ნეტავი მეც მისებრ სახელოვნად მოვმკვდარიყავ სამშობლოსათვის, ხალხისათთვის. და აი, ამისრულდა ბავშვობის ნატვრა, 25 წლის ასაკში უცხო მიწაზე ვეთხოვები სიცოცხლეს და სინანულს არ გამოვთქვამ. სინდისი არ შეირცხვინოს ვინმემ და არ იფიქროს, თითქოს შიშით ვიბნევი, თვალებიდან ცრემლი ჩამომდის. არა, მე ვისურვებდი ჩემებრ უშიშრად დასდონ თავიანთი სიცოცხლე სამშობლოსათვის ბრძოლაში საყვარელმა სამივე ძმამ ზაქრომ, დავითმა და ლევანმა. საშიში მტერი მხოლოდ თავგანწირული ბრძოლით შეიძლება დამარცხდეს.

...მომიგონეთ და ნუ დამივიწყებთ!..“

ნიკო მარგებაძე:

„საყვარელო დედ-მამავ, ძმაო ალექსი და დაო მარო!

სამშობლოსა და თქვენი თავისუფლებისთვის ვიბრძოდი. მუხანათი მტერი ამისთვის დღეს სიცოცხლის წართმევით დამსჯის. დიდი მიზნისთვის თავის შეწირვა არ მშურს. არ მშურს, თქვენს სიყვარულს გეფიცებით და სიკვდილს კიდევაც მხნედ, შეუდრეკლად ვეგებები. რას ვინატრებ სიკვდილის წინ? თქვენს ნახვას, თქვენს ბედნიერებას...

არ შეცდეს ვინმე, გულში ფიქრად არ გაივლოს, თითქოს ბუნებით ისეთი მოუსვენარი დავიბადე, მხოლოდ ბრძოლა და მტერზე შურისძიება მიყვარდა, სხვა არაფერი. თქვენ ხომ იცით, მაგრამ ყველამ მინდა იცოდეს, რომ სხვებზე მეტად თუ არა, ნაკლებად როდი ვაფასებ სიცოცხლეს, მეგობრობას, სიყვარულს, მზეს, ჩანჩქერებით აქუხებულ საქართველოს მთებს, ამწვანებულ ველ-მინდვრებს, ყვავილებსა და მშობლიურ კაკაბეთს.

ვიბრძოდი სწორედ იმიტომ, რომ სამშობლოს ცაზე არ ყოფილიყო შავი ღრუბლები, მტრის ჩექმებით არ გათელილიყო ყვავილები, ადამიანთა გულებში მუდამ ყოფილიყო გაზაფხული, სიყვარული, სიცოცხლისა და შრომის ხალისი.

ჩემო საბრალო დედი, მამავ, ერთადერთო ძმაო და დაო, ვიცი თქვენს თვალს ცრემლი არ შეაშრება, თქვენს გულებს ფიქრი და ბოღმა არ მოშორდება, დღედაღამ ჩემზე ლოდინი ძილსა და მოსვენებას დაგიკარგავთ; ყოველივე ამას ვგრძნობ და განვიცდი, მაგრამ ამ საქმეს არაფერი ეშველება. მე ვერ დაგიბრუნდებით. დიდმა დედასამშობლომ ასე მოითხოვა ჩემგან.

ვკვდები, მაგრამ იმედი თან მიმყვება. იმედი მტრის დამარცხებისა, დედამიწაზე მშვიდობის დამკვიდრებისა! ეს მალე იქნება! დიახ, მალე!..

ჩემს ბედში მყოფო თანამემამულენო, მეგობრებო! განსაცდელის წუთებში ნუ შედრკება თქვენი გულები, თვალს ნუ მოარიდებთ დამიზნებულ ავტომატებს, მაღლა გეჭიროთ თავები! იცოდეთ, რომ ჩვენს საფლავზე აუცილებლად დასდგამენ სამახსოვრო ძეგლს! ძმათა სასაფლაოზე ყვავილთა კონებით ჩვენთან მოვლენ ყოფილი მებრძოლები, გულშემატკივრები, ჭაბუკები და ქალიშვილები. ისინი თავს დახრიან ჩვენს მდუმარე საფლავზე და გვეტყვიან:

„თქვენ არ ხართ მკვდარი, რადგან ცხოვრობდით და მოკვდით, როგორც გმირები, ნამდვილი პატრიოტები!“.

* * *

ვეწვიე ნიკო მარგებაძის მშობლიურ სოფელ კაკაბეთს. ვინახულე ნიკოს დედა ანასტასია და მამა ესტატე, აგრეთვე ნიკოს და-ძმა. დედ-მამის ნა-

ტანჯ სახეს რომ დავუკვირდი, გული დამეწვა. ნიკოს ძმა ალექსი გარეთ გავიხმე და მის დაღუპვის ამბავი მხოლოდ მას გავანდე. ბრგე აგებულების ვაჟკაცს ძმის დაღუპვით გამოწვეულმა სიმწარემ წონასწორობა დააკარგვინა: სახე დაეღრიჯა, თვალები აუცრემლდა და ბავშვივით ატირდა.

ალექსიმ გადაწყვიტა, ძმის დაღუპვის ამბავი არ გაემხილა შინაურებისთვის, სურათსაც საიდუმლოდ ინახავდა გულის ჯიბეში.

მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ შეძლო საიდუმლოს შენახვა. ერთ დღეს დედამ მის ჯიბეში ნიკოს სურათი იპოვა. სურათის მეორე მხარეს ნაცნობი ხელით მიწერილი იყო:

„საყვარელო დედავ და მამავ! ერთადერთო დაო მარო, ძმაო ალექსი! ბედს უნდა შეეგუოთ. იქნება მტრის ტყვიამ დაცხრილოს ჩემი გული. რა ვუყოთ, მაშინ ბავშვობის განუყრელი მეგობარი და თანამებრძოლი ლეო თუ გადარჩა, ამ სურათს მოგიტანთ. შეინახავთ სახსოვრად...“

* * *

სამუშაოდან დაბრუნებულ ქართველ ტყვეებს თავზარი დასცა ბიჭების დახვრეტის შესახებ განცხადების წაკითხვამ. მათ ყველაფერი დაივიწყეს, ფარულად იცრემლებოდნენ და დასახვრეტად გამზადებული ამხანაგების მწუხარებას იზიარებდნენ, გერმანელების წინააღმდეგ ზიზღითა და შურისძიების გრძნობით ივსებოდნენ. ეს მწარე ფიქრები უცხოეთში გადახვეწილ, სამშობლოსა და ახლობლებს მოშორებულ ტყვეებს მთელ ღამეს აეკვიატათ და ძილი დაუფრთხო, მოსვენება წაართვა, სული აუფორიაქა.

...დილით, როცა სამუშაოზე წასაყვანი ტყვეების სია ამოიკითხეს, გერმანელებს სათვალავში ორი კაცი დააკლდათ **გიგილო ყელაშვილი და კონდრატი ქვარცხავა.** ისინი თავიანთ საწოლებში იპოვეს გაგუდულები. სულმოკლე ადამიანებს ტყვეებმა თვითგასამართლებით წაართვეს შერცხვენილი სიცოცხლე.

ტყვეთა შორის არ ჩანდნენ ყველასათვის საყვარელი და საიმედო ვაჟკაცები: **გრიგოლ ნემსაძე, ბიჭიკო კალანდაძე, აკაკი ჭანტურია, დათიკო მშვიდობაძე, ჰუსეინ ჯინჭარაძე, კონსტანტინე კირცხალია, აკაკი ფორჩხიძე და სოსო კახიძე. მათ არც არავინ კითხულობდა, არც არავინ ეძებდა. ისინი წინა ღამით „შავი ყორნით“ (მანქანით) გაგზავნეს ლიმოჟის საპატიმროში გერმანიის საკვდილო-საკონცენტრაციო ბანაკში წასაყვანად**.

დილაადრიან სამუშაოზე მიმავალ ტყვეებს, სამუშაოზეც და დასვენების საათშიც თვალწინ ედგათ იმ დღით დასახვრეტ თანამემამულეთა სახეები.

და აი, გაისმა საგუშაგოს უფროსის სასტვენის ხმაც. დღის სამი საათია. ოცდაცხრა საბარგო მანქანამ ხუთას ოთხმოცდახუთი ქართველი ტყვე დაიტია. ტყვეები ორი საათით ადრე წამოიყვანეს სამუშაოდან. ისინი იმ ტყეში წაიყვანეს, სადაც ხუთ საათზე რვა ქართველი უნდა დაეხვრიტათ.

ზამთრის თბილი და მზიანი დღე იყო. ტყეს, ველ-მინდორს, მთელ გარემოს ზამთრის ფერი დასდებოდა. გაძარცული ხეები ტყიდან ტყვეებივით გულჩათხრობილი გამოიყურებოდნენ. ტყის პირას, საძოვარზე ტყვიამფრქვევითა და ავტომატებით შეიარაღებულ გერმანელ ჯარისკაცებს ხუთას ოთხმოცდახუთი ქართველი ტყვე სამ მწკრივად მოწყობილ ალყაში ჰყავდა მოქცეული. ტყვეები ისხდნენ, თანამემამულეების დახვრეტის დღეს ფეხზე დგომის, ლაპარაკის, მოძრაობის უფლება არ ჰქონდათ. რკალი ღია იყო მხოლოდ ტყის დასაწყისში, იქ, სადაც ოც მეტრზე ტანკსაწინააღმდეგო დიდი ორმო იყო გათხრილი. ამ ორმოს პირას რვა ბოძი იყო გამწკრივებული. ეს იყო რვა ქართველის ეშაფოტი.

ქართველი პატრიოტების დახვრეტას ტყვეებიდან ოცი მეტრის მოშორებით ფრანგი მოქალაქეებიც ესწრებოდნენ. დრო მიიწურა. მზე დასავლეთისკენ გადიხარა. ცივმა ნიავმა დაუბერა. გაისმა მოახლოებული მანქანების დამუხრუჭებით გამოწვეული ხრჭიალი. წინა პლანზე, ბოძებთან ახლოს პატარა გასაშლელ მაგიდასთან ადგილები დაიკავეს გესტაპოს უფროსმა, ბანაკის კომენდანტმა, თარჯიმანმა და სამმა უცნობმა გერმანელმა ოფიცერმა.

— ახტუნგ!

— ჰაილ, ჰიტლერ! — გაისმა სვასტიკიანი, მწვანეფორმიანი გერმანელი მორიგე ოფიცრის ბოხი ხმა. ეს ორი სიტყვა ისე ძლიერი და ისე თავგამოდებით დაიყვირა ოფიცერმა, რომ ტყეში ექოდ გაისმა. ყველანი სმენად იქცნენ. გაფითრებულ ქართველ ტყვეებს თავიანთი გულისცემა ესმოდათ. მყუდროება დაარღვია „შავი ყორნის“ კარის გაღებამ და გერმანელი ჯარისკაცების მყეფარე ხმამ:

— გადმოდით, ღორებო! გადმოდით, ყაჩაღებო!..

მანქანიდან სათითაოდ გადმოჰყავდათ ხელბორკილიანი, თვალახვეული დასახვრეტი ქართველი ტყვეები. ისინი თითქოს მთვრალები არიანო, ბარბაცით, ფეხათრევით მოჰყავდათ ორ-ორ გერმანელ ჯარისკაცს და ბოძებზე მავთულებით აბამდნენ. შემზარავი სურათი იყო. სიცოცხლით სავსე რვა ახალგაზრდა სიკვდილის მოლოდინში ბოძებზე იყვნენ გაკრულნი. ვერაფერს ხედავდნენ, მაგრამ იცოდნენ და გრძნობდნენ, რაც ხდებოდა. დაირღვა გერმანელების მკაცრი გაფრთხილება — არავის ხმა არ ამოეღო. მოზღვავებულმა გრძნობამ როდი იცის მტრის შიში! თვალცრემლიანი ტყვეების ზლუქუნი, გულამოსკვნილი ტირილი, ოხვრა და მტრის მისამართით ჩურჩულით ნათქვამი წყევლა-კრულვა ჩოჩქოლსა და ხმაურში გადაიზარდა.

ოფიცრები ავი ძაღლებივით აყეფდნენ. საძულველი სიტყვა „ახტუნგი“ რამდენჯერმე გაუმეორეს „წესრიგის დამრღვევებს“, მაგრამ ამაოდ — როცა ძლიერი ქარი ქრის რა დააწყნარებს აღელვებულ ზღვას? წუთიერ სიჩუმეს ისევ მწარე განცდებით გამოწვეული ხმაური ფარავდა.

დაირეკა ზარი. ეს იყო დახვრეტის ნიშანი! ნამდვილი გლოვის ზარი ქართველ ტყვეთათვის, ფრანგ გულშემატკივართათვის!

უთანასწორო ბრძოლაში დაჭრილის, ტყვეობიდან თავდასაღწევად საკუთარი ტყვიით განგმირული პატრიოტის **არჩილ მირიანაშვილის** გვამი ამ დიდ ორმოში იყო ჩაფლული. მაშინ ა. მირიანაშვილის გვამს მიწა ოდნავ დააყარეს, რადგან იცოდნენ მალე კიდევ 8 ქართველ პატრიოტს წაართმევდნენ სიცოცხლეს.

გესტაპოს მდივანმა გერმანულ ენაზე დინჯად წაიკითხა საბრალდებო აქტი. იგივე შინაარსის აქტი წაიკითხეს ფრანგულად და რუსულად.

საბრალდებო აქტის წაკითხვის შემდეგ მყუდროება გესტაპოს უფროსმა დაარღვია. გრძელი ნაბიჯებით იგი პირველ ბოძზე მიბმულ ივანე აბრამიშვილთან მივიდა.

— შენ, ეი, აჯანყების მეთაურო! — უთხრა გესტაპოს უფროსმა აბრამიძეს და ტყავის ხელთათმანი გულზე მიარტყა, — სიკვდილის წინ უკანასკნელად გეკითხები, სიცოცხლე რომ გაჩუქოთ, იტყვი თუ არა მართალს, ვინ იყვნენ საიდუმლო ორგანიზაციის წევრები, ვისი მეშვეობით დაამყარეთ კავშირი ჩვენგან გაქცეულ ქართველ და სანაის მთის პარტიზანებ-

თან? თქვი და აი, სიტყვას გაძლევ, სიცოცხლეს გაჩუქებ!..

სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. მხოლოდ ბოძებზე გაკრული, თვალებაფარებული ტყვეები შეკრთნენ ამ სიტყვაზე, ყველაზე შესამჩნევად კი — აბრამიძე.

სიცოცხლე ტკბილია. სიცოცხლე ყველა ადამიანს სწყურია. ამიტომაც არის, რომ დიდ გრძნობას ადამიანები ასე გამოთქვამენ: „სიცოცხლესავით საყვარელო!“, „სიცოცხლეზე უფრო ტკბილო!“, „ჩემო სიცოცხლევ!“. ძნელია, სიკვდილს ადამიანი აუღელვებლად შეხვდეს, გამოემშვიდობოს. სიცოცხლის დაკარგვის შიში და განცდა უფრო ადვილია ბრძოლაში. როცა ამხანაგების მხარდამხარ, იარაღით ხელში მტერს ებრძვი, როდი ფიქრობ, რომ ტყვია აუცილებლად შენ მოგხვდება, მაინცდამაინც შენ მოკვდები. სულ სხვაა, სიკვდილისთვის გამზადებდნენ წინასწარ, სიკვდილს ხვდებოდე თვალახვეული, ბოძზე მიკრული, წინააღმდეგობის საშუალებას მოკლებული. ასეთ მძიმე მომენტში მხოლოდ განსაკუთრებული ნებისყოფის ადამიანს შეუძლია, უარი თქვას გესტაპოს უფროსის წინადადებაზე. დასახვრეტი ადამიანის ეს ფსიქოლოგია კარგად იციან გესტაპოელებმა. სიკვდილის ოსტატებს ამის დიდი გამოცდილება აქვთ. ამიტომ მოიქცა ასე გესტაპოს უფროსი, ხელიდან არ გაუშვა მომენტი, სცადა აბრამიძის წამოგება ანკესზე.

— თქვი, რას გაჩუმებულხარ, თქვი ყველაფერი, როგორ მოქმედებდით მოსკოვის დავალებით! სიცოცხლეს ამხანაგები გირჩევნია?! კიდევ ერთ წუთს გაძლევ! — ხელმეორედ მიარტყა მკერდზე ხელთათმანი გესტაპოს უფროსმა.

— თანახმა ვარ! მომხსენით თვალსახვევი! ვიტყვი სიმართლეს! — ხმამაღლა წამოიძახა აბრამიძემ.

— მოხსენით! — გასცა ბრძანება გესტაპოს უფროსმა.

დავალება მყისვე შესრულდა. აბრამიძემ უცებ ვერაფერი დაინახა, სინათლემ თვალი მოსჭრა, მაგრამ წამსვე აღდგა მხედველობა. ჯერ ბოძზე მიკრული საკუთარი ტანი ჩაათვალიერა, შემდეგ მის გვერდით ბოძებზე მიბმულ დასახვრეტ შვიდეულს გადახედა. პირდაპირ რომ გაიხედა, ჩაჩოქილ, ტირილისაგან თვალებდაწითლებულ ამხანაგებს მოჰკრა თვალი. როგორი გაოცებული თვალებით მისჩერებოდნენ, „ნუთუ გატყდა ვაჟკაცი სიკვდილის წინ, ნუთუ წახდა, დალაჩრდა?“, სულ ბოლოს გერმანელებს გადაავლო თვალი და მზერა გესტაპოს უფროსზე შეაჩერა.

— აბა, დაიწყე! თქვი სიმართლე! ხედავ? რა დღეში ხართ, რა მოგელის! — მაცდურივით შეუჩნდა გესტაპოს უფროსი.

თარჯიმანმა გესტაპოს უფროსის ნათქვამი რომ გაიმეორა, აბრამიძე შეკრთა. ფიქრებიდან გამოერკვა. გესტაპოს უფროსს მიმართა:

— ვიტყვი სიმართლეს! მობრძანდით ახლოს! — გესტაპოს უფროსი მიუახლოვდა, პირდაპირ თვალებში მიაჩერდა. სიხარულით თვალები მოწკურა, გულში ეცინებოდა, ეს რა კარგად მოვაწყვე, ახალ საქმეს გავხსნი, თავს გამოვიჩენო.

— თფუ შენს კაცობას! კაციჭამიები ხართ! აი, სიმართლე! — სახეში მიაფურთხა აბრამიძემ და დაიყვირა:

— დიახ, ჩვენ ვმოქმედებდით მოსკოვის დავალებით, თბილისის დავალებით, ჩვენების დავალებით, სამართლის კარნახით, რომ სამშობლოსთვის, ოჯახებისთვის არ გვეღალატა! დაგვხვრიტეთ, ჯალათებო! დაგვხვრიტეთ! ჩვენ მოვკვდებით, მაგრამ ამით თქვენ არაფერი გეშველებათ! ჩვენი საქმე მაინც გაიმარჯვებს! თქვენი აღსასრული მოახლოებულია! ფაშიზმი მალე დასაფლავდება!..

სირცხვილნაჭამ გესტაპოს უფროსს მკვდრისფერი დაედო, შეკრთა. ისე დაიბნა, ჯიბიდან ცხვირსახოცის ამოღება ძლივს მოახერხა, ძლივს მოიწმინდა სახიდან ფურთხი. კბილების ღრჭიალით იღრიალა:

— დაიხვრიტონ ცოფიანი ძაღლები!..

— ახტუნგ! — დაიძახა ბანაკის კომენდანტმა ავტომატიანი ჯარისკაცების საყურადღებოდ, — ხუთი ნაბიჯით წინ, იარ!..

რვა გერმანელი ჯარისკაცი ათ ნაბიჯზე ჩამწკრივდა დასახვრეტი ქართველების წინ. თითოეულმა ჯარისკაცმა დავალება მიიღო, ვისთვის ვის უნდა მოესპო სიცოცხლე.

ბანაკის კომენდანტი საათს დააცქერდა. დახვრეტის განკარგულების გაცემას წამები აკლდა.

— მოემზა

9 მაისი და კავკასია XXI საუკუნეში

შთაბეჭდილებები საერთაშორისო რეგიონული კონფერენციიდან «ერთიანობით მიღწეული დიადი გამარჯვება. კავკასია დიდი სამამულო ომის წლებში»

საბრძოლო დიდების ქალაქ ტუაფსეში წლეულს, 29-30 აპრილს, ევრაზიის კვლევების ინსტიტუტისა და ჰუმანიტარული თანამშრომლობის ცენტრის (მოსკოვი) მიერ ორგანიზებული კონფერენცია გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ კავკასიის ყველა რესპუბლიკის (აუღიარებელი ყარაბაღის გარდა) წარმომადგენლები — პარლამენტარები, ისტორიკოსები, პოლიტიკური მიმომხილველები, ჩინოვნიკები და, რა თქმა უნდა, ომის ვეტერანები; ასევე, ესწრებოდა მაღალი დონის დელეგაცია მოსკოვიდან — რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სამმართველოს უფროსი უცხო ქვეყნებთან რეგიონთაშორისი და კულტურული კავშირების საკითხებში ს. ი. ვინოკუროვი, რფ-ის ფედერალური კრების ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. პ. ტორშინი, სახელმწიფო სათათბიროს დსთ საქმეთა და თანამემამულეებთან კავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ა. ვ. ოსტროვსკი და სხვები.

ღონისძიება მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. თუმცა ტუაფსეში 9 მაისამდე კარგა ხნით ადრე იმართებოდა გამარჯვების დღესთან დაკავშირებული ღონისძიებები. ამჯერად ყუბანმა გულღიად მიიღო სტუმრები. კავკასიის დელეგაციის სახელით მისმა წარმომადგენლებმა გვირგვინებით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის ობელისკი. მოეწყო შეხვედრა ადგილობრივ კადეტებთან, კრასნოდარის მხარის გუბერნატორის სახელით გაიმართა მიღება. ჩატარდა კონცერტი...

ჩინებული ამინდი იდგა, რაც ამ ლამაზ, შავიზღვისპირა ქალაქში არსებულ საზეიმო განწყობილებას კიდევ უფრო ამშვენებდა; ქალაქისა, რომლის მისადგომებთან 1942 წელს კავკასიის სიღრმისკენ მიმართული გერმანული სამხედრო მანქანა შეაჩერეს.

კონფერენციის პათოსად კავკასიისა და მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიანობა უნდა ქცეულიყო, რომლის წყალობითაც მრისხანე მტერზე ბრწყინვალე გამარჯვებას მივაღწიეთ. ერთიანობაში ორგანიზატორთა ჩანაფიქრი განხორციელდა, მაგრამ დიადი გამარჯვების ზეიმსაც კი არ ძალუძს იმ ნეგატიური დამოკიდებულების აღმოფხვრა, რომელიც დღეს კავკასიის ცალკეულ ხალხებს შორის სუფევს. თავს თუ არ მოვიტყუებთ და სიტუაციას ობიექტურად შევაფასებთ, კავკასია ჯერჯერობით „მტკივნეულ ისტორიზმთან“ (სტალინის, ჩემი აზრით, ერთობ ზუსტი ტერმინი) დაკავშირებული ნაციონალისტური გრძნობებისა და ემოციების ტყვეობაში რჩება. მოცემულ მოკლე სტატიაში საილუსტრაციოდ მხოლოდ ტუაფსეში გამართულ კონფერენციას მოვიყვან.

ნაციონალური დელეგაციებიდან გამომსვლელთა უმეტესობა აქცენტს აკეთებდა თავისი ხალხის მიღწევებზე დიდ სამამულო ომში, რაშიც გასაკვირი და ურიგო არაფერია, თუმცა, მეორე მხრივ, ხალხთა ერთიანობის კონტექსტი გარკვეულწილად იკარგებოდა, ზოგ შემთხვევაში კი ცალკეული მათგანის წვლილი ნაცისტური გერმანიის განადგურებაში გადაჭარბებით ფასდებოდა. რა გაეწყობა, კავკასიელები კავკასიელებად რჩებიან — საკუთარი თავის წარმოჩენა სურთ, მაგრამ ხშირად ამას სხვის ხარჯზე აკეთებენ. სოკრატ ჯინჯოლიამ — აფხაზეთში ცნობილმა და პატივცემულმა მოღვაწემ, თავის გამოსვლაში კიდევ ერთხელ გააკრიტიკა საქართველო. მანამდე კი ეს 2008 წლის ოქტომბერში ანკარაში გამართულ კონფერენციაზე გააკეთა თავის კოლეგა პროფესორ ს. ლაკობასთან ერთად. მოკლედ, იქ, სადაც აფხაზები გამოდიან, უთუოდ უნდა ველოდოთ კრიტიკული შენიშვნების კასკადს საქართველოს მისამართით, იმის მიუხედავად, შეესაბამება იგი წარმოდგენილ თემას თუ — არა. სამხრეთ ოსეთის დელეგაციამ საქართველოს პირდაპირი

კრიტიკისგან თავი შეიკავა, მაგრამ ირიბად და ადრესატის მოხსენიების გარეშე, ეს მაინც გააკეთა. ეს ყველაფერი კი იმაზე მიუთითებს, რომ აფხაზები და ოსები მენტალურად ჯერ ძალიან შორს არიან რეალური დამოუკიდებლობისგან და ერთობ დამოკიდებულნი არიან მტრის ხატზე საქართველოს სახით. იგივე შეიძლება ითქვას ქართველებზეც. ბოლო 20 წლის განმავლობაში თითქმის ყველა მაკროპოლიტიკურ საკითხში რუსეთისადმი დაპირისპირებას ჩვენი პოლიტიკოსები საქართველოს დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტთან აიგივებდნენ — ვლანძღავთ რუსეთს, ესე იგი „დამოუკიდებლები“ ვართ. აფხაზმა და ოსმა პოლიტიკოსებმა, თავის მხრივ, თავიანთი ხალხების დამოუკიდებლობის საფუძვლად საქართველოს სახით მტრის ხატი შექმნეს — თუ არ გააკრიტიკებენ საქართველოს და თითს არ დაუქნევენ, მაშინ ხომ მათ დამოუკიდებლობას გროშის ფასი ექნება. სამაგიეროდ, რუსეთი მათთვის იგივეა, რაც საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის — აშშ, მარჩენალი პატრონი, რომლის წინაშეც ბოლომდე უნდა დაიხარჯო, რათა ერთგულება დაუმტკიცო.

თუმცა კონფერენციის ყურადღების ცენტრში მარტო საქართველო და მისი ყოფილი ავტონომიები არ აღმოჩენილა. გაიხსენეს სომეხთა გენოციდიც ოსმანთა იმპერიაში და, ასევე, გენერალ ბაგრამიანის ქანდაკების დამსხვრევა ერთ-ერთ აზერბაიჯანულ სოფელში ყარაბაღის ომის შემდეგ, რამაც აზერბაიჯანელებისა და სომხების სიტყვიერი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. ბლიც-რეჟიმში განიხილეს საკითხი, რა უფრო მნიშვნელოვანი იყო ჰიტლერისთვის, როცა ის კავკასიის დაპყრობას გეგმავდა — გროზნოს ნავთობი თუ ბაქოსი.

ჩრდილოკავკასიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა ყურადღება სტალინის ეპოქის რეპრესიებზე შეაჩერეს. მათ მხარი დაუჭირა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ისტორიის გეოპოლიტიკისა და ომების ისტორიის ცენტრის ხელმძღვანელმა მ. ი. მიაგკოვმა. ამასთან, ხაზგასმით აღინიშნა ამ ხალხების „მნიშვნელოვანი წვლილი“ ომში. როგორც ჩანს, ამ გზით მოსკოვი მაქსიმალურად უქონავს თავს ჩრდილოკავკასიელ ხალხებს და მოცემული თემის მუსირებაც შემთხვევითი არ ყოფილა. ხშირად ისტორიული სიმართლე მსხვერპლად ეწირება პოლიტიკურ კონიუნქტურას, რასაც თეორიულად შეიძლება შემწყნარებლურად მოეკიდო, თუკი ეს მსხვერპლი მშვიდობასა და სტაბილურობას შეუწყობს ხელს, თუმცა პრაქტიკა საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

სწორედ ისტორიის ფალსიფიკაციის საკითხს შეეხო საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე ჭაჭია (საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში ორი ვეტერანი იყო — 87 წლის დავით იაკობაშვილი და 85 წლის შოთა ბუაძე, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ ხელმძღვანელი ტ. გაგნიძე, გლობალიზაციის ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე ვ. ცაავა, პროფესორი შ. კვირტია, კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „რუსკი კლუბის“ პრეზიდენტი ნ. სვენტიცკი, პუბლიცისტი ა. ხიდირბეგიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი). ა. ჭაჭიას აზრით, თავად რუსეთის მედია ხელს უწყობს დიდი სამამულო ომის შესახებ დამახინჯებული სურათის გავრცელებას. ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში არ შექმნილა არც ერთი ნორმალური მხატვრული ფილმი ომზე; ვითარება ისეა წარმოდგენილი, თითქოს საბჭოთა მოქალაქეები ერთმანეთს ეომებოდნენ: სპეცსამსახურის წარმომადგენლები — ჯარისკაცებს, სარდლები — პარტიას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას სახელმძღვანელოებზეც. „ამ ფილმებითა და სახელმძღვანელოებით იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჯობდა, ჰიტლერს ეს რეჟიმი და უმაქნისი ხალხი გაენადგურებინა“, — შენიშნა ჭაჭიამ. მან ასევე, წამოაყენა წინადადება, რომ აიკრძალოს ომზე ფილმების გადაღება, ამ პროცესში მიუკერძოებელი პროფესიონალი ისტორიკოსების ჯგუფის ჩართვის გარეშე, რასაც უმალ გამოეხმაურა რფ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ბ-ნი ვინოკუროვი. მან მხარი დაუჭირა ამ ინიციატივას და დასძინა, რომ ამგვარი იდეა ადმინისტრაციაშიც დაიბადა და ამასთან დაკავშირებით ექსპერტთა კომისიაც იქმნება.

შემდგომ ბატონმა ჭაჭიამ აღნიშნა: „მიმდინარეობს მკაცრი კამპანია მეორე მსოფლიო ომში სსრკ-ის დამსახურებათა დაკნინებისთვის. ევროპაში ერთ-ერთ ფორუმზე დასწრებისას, ამერიკის ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირმა აშშ-სა და ინგლისს უდიდესი დახმარება გაუწია ნაციზმის დამარცხებაში... ცინიკურად ჟღერს, მაგრამ ისტორიის დამახინჯებას თავად ვუწყობთ ხელს, როცა საბჭოთა რეჟიმს ხალხთა მჩაგვრელად ვაცხადებთ. მონები არასოდეს იბრძოლებდნენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, ისე, როგორც ეს დიდი სამამულო ომის დროს მოხდა...“ ჭაჭია, ასევე, შეეხო საბჭოთა კავშირის წარსულის გამო მონანიების საკითხსაც, რომელსაც ასე ხშირად ახსენებენ. მი-

სი აზრით, საკითხის ამგვარად დაყენება ზიანის მომტანია. რუსეთმა არ უნდა მოინანიოს ის, რასაც არც ევროპა და არც ამერიკა არ ინანიებენ. მით უფრო არ ღირს უმაღლესი მთავარსარდლის დამსახურებათა დაკნინება.

„სად, რომელ ქვეყანაში ზეიმობენ სამხედრო გამარჯვებას უმაღლესი მთავარსარდლის სათანადოდ მოხსენიების გარეშე? განა ჩვენ უმაღლესი მთავარსარდალი არ გვყავდა? თქვენ, პატივცემულო ვეტერანებო, უიმისოდ, დამოუკიდებლად იბრძოდით? რა ბედი გვეწეოდა სარდლობის გარეშე?“ — მიმართა ჭაჭიამ დარბაზში დამსწრე ვეტერანებს, რომლებმაც მოწონების რეპლიკებით უპასუხეს. მოგვიანებით ალექსანდრე ჭაჭიას მოხსენების ამ პასაჟს ყოფილი პროფესიონალი სამხედრო მზვერავი, ფონდის — „ვერნოსტ ოტჩიზნე“ (რუსეთი) აღმასრულებელი დირექტორი იური ბაბაიანცი გამოეხმაურა, რომელმაც ხაზი გაუსვა ელემენტარულ, მაგრამ ხშირად დავიწყებულ ჭეშმარიტებას — ხალხს დამოუკიდებლად ბრძოლა არ შეუძლია, სამხედრო მოქმედებათა ორგანიზაციით სახელმწიფოა დაკავებული, ხოლო საბჭოთა სახელმწიფომ ძალიან ბევრი გააკეთა გამარჯვებისთვის (ბაბაიანცის თქმით, მარტო სამხედრო დაზვერვამ მტრის ზურგში 150 ათასი აგენტი გაგზავნა), ამ თვალსაზრისით, არ შეიძლება ხალხისა და სახელმწიფოს ერთმანეთისგან გამიჯვნა.

საქართველოს დელეგაციიდან სიტყვით გამოვიდა, ასევე, არნო ხიდირბეგიშვილი (მის გამოსვლას ჩვენს საიტზე სრულად გთავაზობთ) და ნიკოლაი სვენტიცკი, რომელმაც ისევე დაიმსახურა დამსწრეთა აპლოდისმენტები, როგორც ა. ჭაჭიას გამოსვლამ. საქართველოს დელეგაცია არ გამოეხმაურა აფხაზი კოლეგების კრიტიკას, არა იმიტომ, რომ სათქმელი არაფერი ჰქონდა, არამედ კონფერენციის კონკრეტული მიზნებიდან და, საერთოდ, ეთიკიდან გამომდინარე, ამით მხოლოდ მოიგო.

ის ფაქტი, რომ ქართული დელეგაცია თავის გამოსვლებში აქცენტს აკეთებდა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებსა და საბჭოთა კავშირის ხალხების ერთიანობაზე. სამწუხაროდ, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ საქართველოში ამ საკითხისადმი ამგვარი მიდგომა უკვე დამკვიდრებულია (ქართული დელეგაცია თანამოაზრეებისგან შედგებოდა), თუმცა ტენდენციის უგულებელყოფა არ ეგების — პოზიტიური მიდგომა ნელ-ნელა მწიფდება ქართველ საზოგადოებაშიც. სამწუხაროა, რომ თვალის ახელა „კარგი ცხოვრების“ გამო არ ხდება, თუკი, რასაკვირველია, ძალიან გვიან არ არის. მეორე მხრივ კი, როგორც ამბობენ, „ჯობს გვიან, ვიდრე...“

გულბაათ რცხილაძე

რუსეთში დიდი სამამულო ომის მონაწილეებს არ ივიწყებენ და პატივისცემით ეპყრობიან

სათაურში გამოტანილი სიტყვების ნათელი დადასტურება იყო ქ. ტუაფსეში ჩატარებული საერთაშორისო რეგიონალური კონფერენცია, რომელიც დიდი სამამულო ომის დამთავრების 65 წლისთავს მიეძღვნა.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს კონფერენციის ჩატარების ორგანიზებისა უმაღლესი დონე, რომელშიც ჩაბმული იყო კრასნოდარის მხარისა და ქ. ტუაფსის ადმინისტრაცია. როგორც ჩანს, სამამულო ომის დამთავრების 65 წლის იუბილე რუსეთში საერთო სახალხო დღესასწაულად გამოცხადდა, რომლისთვისაც მზადება, დიდი ხანია, დაუწყიათ. ეს იგრძნობოდა კრასნოდარსა და ტუაფსეში ჩასვლის პირველი საათიდანვე. ადამიანები ქუჩაში ერთმანეთთან შეხვედრისას საუბარს გამარჯვების დღესასწაულის მილოცვით იწყებდნენ. განსაკუთრებით თვალში საცემი იყო მოსახლეობის უღრმესი პატივისცემა და სითბო სამამულო ომის მონაწილეებისადმი.

საგანგებოდ აღსანიშნავია ახალგაზრდობის საოცარი ყურადღება და მოწიწება ომის ვეტერანებისადმი, რაც ზოგჯერ გადაჭარბებულადაც კი გვეჩვენებოდა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა კავკასიაში მცხოვრები ყველა ეთნოსის წარმომადგენელთა 15 დელეგაცია 100-მდე დელეგატით.

საქართველოს დელეგაცია წარმოდგენილი იყო 9 კაცის შემადგენლობით, მათ შორის ორი დიდი სამამულო ომის მონაწილე გახლდათ. დელეგაციას ხელმძღვანელობდა რუსეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე ჭაჭია.

კონფერენციის დაწყებას წინ უძღოდა საინტერესო ღონისძიებები, კერძოდ: გმირების მთაზე მარადიულ ცეცხლთან გვირგვინების მიტანა და ქალაქის ახალგაზრდობასთან შეხვედრა.

ამაღელვებელი იყო კონფერენციის მონაწილეთა შეხვედრა ოქტომბრის რევოლუციის მოედანზე ქ. ტუაფსის კადეტთა საზღვაო სკოლის მოსწავლეებთან.

კონფერენციაზე გამოტანილი იყო 39 მოხსენება, რომლებიც თავისთავად საინტერესო იყო, რადგან მათში ხაზგასმული საკითხებით კიდევ ერთხელ გაიხსენეს კავკასიაში მცხოვრებ ხალხთა ეთნოსური ჯგუფების მიერ საერთო გამარჯვებაში შეტანილი წვლილი. მოხსენებებში კრიტიკულად იყო განხილული ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთ გამოცემული მემუარებისა თუ სხვა სახის ლიტერატურულ ნაწარმოებებში წარმოდგენილი მონაცემები. მკაცრად იყო დაგმობილი ვოლკოგონოვის მსგავსი ფსევდო ისტორიკოსების, ცრუ მეცნიერების მიერ მეორე მსოფლიო ომის შედეგების მცდარი, რეალობასმოკლებული შეფასებები, რამაც ფაქტობრივად, ეჭვქვეშ დააყენა მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებაში საბჭოთა კავშირის გადამწყვეტი როლი.

კონფერენციის მსვლელობისას თვალში საცემი იყო ერთი მეტად საყურადღებო ფაქტი. ყველა მოხსენებაში ხაზგასმული იყო საბჭოთა ადამიანების ერთობა ამ ომში გამარჯვების განუზომელ მნიშვნელობაზე, რომელსაც მსოფლიო ისტორიაში ბადალი არ ჰყავდა; მის როლზე მსოფლიო ცივილიზაციის გადარჩენაში და ა.შ. სამწუხაროდ, არც ერთ მოხსენებაში სიტყვა არ თქმულა ამ გამარჯვების შემოქმედის, ორგანიზატორისა და სულის ჩამდგმელის, გენერალისიმუსის — იოსებ სტალინის შესახებ.

მართლაც, პარადოქსული და ალოგიკურია მსჯელობა მეორე მსოფლიო ომის თაობაზე ი. სტალინის როლის იგნორირებით. მე, როგორც ომის მონაწილე, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ი. სტალინმა მეორე მსოფლიო ომის გამარჯვებაში არა მნიშვნელოვანი, არამედ გადამწყვეტი როლი ითამაშა. საკმარისი იყო სტალინს მცირედი სისუსტე მაინც გამოეჩინა და ომი წაგებული იქნებოდა. საქართველოს დელეგაციის წევრის — ალექსანდრე ჭაჭიას მოხსენებაში დასმულ კითხვას „ამ ომში ჩვენ მხედართმთავრის გარეშე ვიბრძოდით?“ დარბაზში კმაყოფილების გუგუნი მოჰყვა.

მართალია, მთლიანობაში ღონისძიება საინტერესოდ ჩატარდა, მაგრამ ისიც გამოჩნდა, რომ მეორე მსოფლიო ომის შეფასებაში ბევრი რამ დასაზუსტებელია. არასწორია მეორე მსოფლიო ომის გამომწვევ მიზეზებსა და მსვლელობაზე დღევანდელი გადასახედიდან მსჯელობა იმდროინდელი ვითარების გათვალისწინების გარეშე.

კონფერენციაზე დამსწრეთა საერთო მოწონება დაიმსახურა საქართველოს დელეგაციის წარმომადგენლების ა. ჭაჭიასა და ა. ხიდირბეგიშვილის მოხსენებებმა. კონფერენციის ხელმძღვანელობამ არაერთგზის ხაზგასმით აღნიშნეს **„ქართველი მეგობრების გამოსვლებში გამოთქმული შენიშვნების შესახებ, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას“.** საინტერესო იყო ნ. სვენტიცკის მოხსენება საქართველოს საზოგადოებრივ ცნობიერებაში თუ როგორ აისახა დიდი სამამულო ომი, ის წვლილი, რომელიც შეიტანა ქართველმა ხალხმა საერთო გამარჯვებაში.

აღნიშნულმა კონფერენციამ გვიჩვენა, რომ დიდი სამამულო ომის ისტორიაში ჯერ კიდევ ბევრი რამ შესასწავლი და დასაზუსტებელია, რაც მომავალი თაობების გასაკეთებელია.

ზოთა ბუაძე,
დიდი სამამულო ომის ვეტერანი

კურორტი წყალტუბო — ომის წლებში

ომის დაწყების პირველივე დღეებში საქართველოში 74 ევაკოჰოსპიტალი გაიხსნა, რომლებშიც ერთდროულად 40 ათასი დაჭრილი და ავადმყოფი მკურნალობდა. ამგვარად, საქართველოში შეიქმნა სამხედრო ჰოსპიტლების მძლავრი ბაზა. ჰოსპიტლებს გადაეცათ სანატორიუმები, კულტურის სახლები, სკოლები... დაჭრილ მეომრებზე ზრუნვა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე იყო. ი. ბ. სტალინის 1941 წლის 3 ივლისის ცნობილ სიტყვაში უპირველეს ამოცანად დაჭრილთათვის დახმარების გაწევა ითვლება. მედიკოსები მარტო ფრონტის მოწინავე ხაზზე როდი იჩენდნენ თავგანწირვას. მათი მუშაობა ზურგის ჰოსპიტლებში სავსეა თავდადების მაგალითებით.

საქართველოს ჰოსპიტლებში ომის დროს და ომის შემდგომ მილიონამდე დაჭრილმა იმკურნალა. ამ საქმეში კურორტმა წყალტუბომ თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა. ომის დაწყებისთანავე მისი ყველა სანატორიუმი ევაკოჰოსპიტლებად გადაკეთდა და სამხედრო სახელწოდებები მიიღო. სანატორიუმებში: „მეგობრობა“, „სამგურალი“, „წყალტუბო“, „რიონი“, კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალი დაახლოებით 80 ათასი დაჭრილი მეომრის მკურნალობის საპატიო მისიას ასრულებდა. დაჭრილ მეომართა 72,3% კვლავ ფრონტზე წავიდა, 223 კაცი გარდაიცვალა. ისინი გვიშტიბის ძმათა სასაფლაოზე განისვენებენ.

წყალტუბოს ევაკოჰოსპიტლებმა მარტო 1942 წლის 1 აგვისტოდან 28 აგვისტომდე, როცა უპირატესობა ჯერაც მტრის მხარეზე იყო, 3076 დაჭრილი მიიღო. აქედან განიკურნა და ფრონტს დაუბრუნდა 1136 მეომარი.

უმაღლესი მთავარსარდლის — ი. ბ. სტალინის მითითებით, 1945 წლის 3 დეკემბერს №24-53 ჰოსპიტლის (ფილიალის) ბაზაზე შეიქმნა სამეცნიერო კვლევითი „ნეირო-ქირურგიის“ ჰოსპიტალი სამამულო ომის ინვალიდებისთვის“ 300 საწოლზე; მათ შორის 50 — სტაციონარული და აქტიური ქირურგიული ჩარევის საჭიროების ავადმყოფებისთვის, ხოლო სანატორიუმის ტიპის ინვალიდებისთვის — 250 საწოლზე. აღნიშნულ ავადმყოფთა კონტინგენტს ემსახურებოდა 10 ექიმი, 26 მედდა, 20 სანიტარი. ჰოსპიტლის გახსნიდან ცოტა ხნის შემდეგ ავადმყოფთა 60%-მა მიიღო შესაბამისი ქირურგიული დახმარება და გამოკეთების გზას დაადგა.

ჰოსპიტალს შეფობდნენ მაღალკვალიფიციური მედიკოსები: ნეიროქირურგი — პროფესორი ჩიქოვანი; ნევროპათოლოგი — პროფესორი ბახტაძე.

№24-54 („სამგურალი“) ევაკოჰოსპიტლის (მთავარი ექიმი — **გიგლა ნარეშელაშვილი**) მუშაკები: **თამარ კიკაბიძე, ქსენია გოშაძე, გიორგი ლეჟავა, ლენა კიკვიძე, ჟენია მამაგეიშვილი, ზინა გიორხელიძე, გულჩინა ხაჭაპურიძე, ეთერ გორდაძე** და სხვები. ისინი თავდაუზოგავად შრომობდნენ დაჭრილთა გადასარჩენად, მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლედნენ მათ. ჰოსპიტალს შეფობდა აკადემიკოსი გრიგოლ მუხაძე. №24-54 ევაკოჰოსპიტლის კოლექტივს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, რადგან აქ მაღალი ჩინის სამხედრო პირები მკურნალობდნენ. აქ 1943 წლის თებერვალში საქართველოს სამხედრო გზით ჩამოიყვანეს მძიმედ დაჭრილი გენერალ-პოლკოვნიკი, შემდგომში საბჭოთა კავშირის მარშალი ანდრია ივანეს ძე ერიომენკო. გენერალს მკურნალობდა მთავარი ქირურგი მიხეილ საკანდელიძე. პარალელურად იგი აბაზანებს ღებულობდა. იმავე წლის 7 ივლისს იგი სრულიად გამოჯანმრთელებული დაუბრუნდა ფრონტს.

№40-73 („რიონი“) ევაკოჰოსპიტლის (უფროსი — **მაიორი კანდელაკი**) დაჭრილთა განკურნებას დიდად უწყობდა ხელს **ქირურგების — გიორგი გელოვანისა და თამარ აბრამიძის** ცოდნა და გამოცდილება; მედიცინის დების **ტატიანა და ვენერა ბზიკაძეების, თამარ ღვინიანიძის, ქეთევან გელენიძისა** და სხვათა მონდომება და თავგანწირვა:

„სამი ოპერაციის შემდეგ დასტაქრებმა ნატყვიარი ფეხი შემინარჩუნეს, რამაც შესაძლებლობა მომცა ისევ ჩავმდგარიყავი სამშობლოს დამცველთა რიგებში. მადლობა და კიდევ მადლობა №40-73 ევაკოჰოსპიტლის კოლექტივს.

თადარიგის კაპიტანი ვ. პილუკინი“.

მსგავსი შინაარსის წერილები მრავლად ინერებოდა გულისხმიერი მედიკოსების მისამართით. კურორტ წყალტუბოს ევაკოჰოსპიტლების ბევრი ექიმი პრაქტიკული საქმიანობის პარალელურად ომის პერიოდში სამეცნიერო მოღვაწეობასაც ეწეოდა. მაღალნაყოფიერი აღმოჩნდა ომის პერიოდში მათ მიერ წარმოებული სამეცნიერო პრაქტიკული ხასიათის დაკვირვებანი. ტრავმულ დაზიანებათა სხვადასხვა ფორმებზე საგულისხმო დაკვირვებანი ჩაატარა პროფესორმა გ. ასათიანმა; ექიმებმა — გიორგი გელოვანმა და თინათინ სირიამ. გ. გელოვანმა საინტერესო კლინიკური დაკვირვებანი აწარმოა მრავალრიცხოვან მასალებსა და ქირურგიულ მეთოდებზე. კომპლექსში მკურნალობასთან ერთად გამოიყენა წყალტუბოს წყლების აბაზანები. დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ წყალტუბოს აბაზანები ხელს უწყობდა ქსოვილთა კვების პროცესების გაუმჯობესებას და ამ ნიადაგზე აჩქარებდა ტროფიული წყლულების შეხორცებას. ევაკოჰოსპიტლის ქირურგიული განყოფილების გამგემ, ექიმმა თინათინ სირიამ (შემდგომში მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა) აქ დაწერა სამეცნიერო თემა „რადიაქტიური წყლით ინფიცირებული ჭრილობების მკურნალობა“. მისი დაკვირვებანი შეეხო ოსტეომილიტებსა და ჩირქოვან ჭრილობებზე წყალტუბოს მინერალური წყლების გავლენის საკითხს. მიუხედავად ტექნიკური სიძნელეებისა, ავტორმა დადებითად გადაჭრა ეს საკითხი და მიუთითა ამ მეთოდის სამკურნალო ეფექტიანობაზე.

მაღალი სამკურნალო ეფექტიანობით აღინიშნა წყალქვეშა სამკურნალო ვარჯიშის გამოყენება ლოკომოტორული აპარატის ტრავმული დაზიანების დროს. ეს მეთოდი წყალტუბოს სინამდვილეში დანერგა დოცენტმა მ. ტყემალაძემ, ხოლო პრაქტიკულად გამოიყენეს და დახვეწეს ექიმებმა ვლ. კიკნაძემ, შ. ნუცუბიძემ და რ. ჩილაჩავამ. ექიმებმა მ. კინწურაშვილმა, ვ.

ზედგენიძემ, ა. ახობაძემ, შ. ყიფშიძემ და სხვებმა დადებითი შედეგი მიიღეს ზურგის ტვინის ტრავმულ დაზიანებათა რეზილუალური (ნარჩენი) მოვლენების წყალტუბოს აბაზანებით მკურნალობის დროს.

აქტიურ სამეცნიერო-პრაქტიკულ მუშაობას ეწეოდნენ სამედიცინო სამსახურის კაპიტანი ა. ბესელია და ნეიროქირურგი თ. კარტოზია (შემდეგში მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი).

„ჩემი განვლილი ცხოვრების არ მრცხვენია, მე პირნათელი ვარ ჩემი სამშობლოს წინაშე, იმ ხალხის წინაშე, რომელთან ერთად მთელი ჩემი ცხოვრება გავატარე. იბრძოლეთ მშვიდობისთვის. სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე, სიყვარულზე, ბავშვებზე უკეთესი არაფერია ამ ქვეყანაზე," — ამ სიტყვებს ხშირად იმეორებდა №24-52 ევაკოჰოსპიტლის მედდა ევდოკია ტერენტის ასული მაჩალოვა და ამით ყველა ევაკოჰოსპიტლელის სათქმელს ამბობდა.

წყალტუბოს სამხედრო სანატორიუმი

წყალტუბოს მკვიდრი, **ექიმ-ორდინატორი სერგო ვასილის ძე კუჭუხიძე** ევაკოჰოსპიტლიდან გაემგზავრა ფრონტზე; ჯერ იყო სამედიცინო ათეულის უფროსი 34-ე, შემდეგ 52-ე გვარდიულ სატანკო ბრიგადაში, მონაწილეობდა მოზდოკის, მინვოდის განთავისუფლებაში. იბრძოლა უკრაინის მესამე და ჩრდილო-დასავლეთ ფრონტებზე; ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ ჰოსპიტალს. პარალელურად მუშაობდა ორდინატორად. მონაწილეობდა ზაპოროჟიეს განთავისუფლებაში, ბოლოს №31-74 ქირურგიულ ევაკოჰოსპიტალში იყო I განყოფილების უფროსი. აქ „მცირე მიწაზე" დაჭრილ მეთაურს, მაიორ ცეზარ კუნიკოვს გადაუსხა საკუთარი სისხლი, გაუკეთა ოპერაცია და სიკვდილს გადაარჩინა. იბრძოდა, აგრეთვე, იუგოსლავიაში, ბულგარეთში. დაჯილდოებული იყო „წითელი ვარსკვლავის" ორდენით.

ევაკოჰოსპიტლებში ნაიარევ მეომრებს მზრუნველობდნენ მედიცინის მუშაკები: **ივანე გოგინოვი** (სტომატოლოგი), **ქეთევან ვარდანიძე, ქეთევან გელენიძე, ეთერ გორდაძე (მედდები). მათი ღვაწლი სამამულო ომის II ხარისხის ორდენებით, მედლებითა და საპატიო სიგელებით აღინიშნა.**

ექიმი ვლადიმერ კიკნაძე გახლდათ „ვცსპ"-ს №1 სანატორიუმის მთავარი ექიმი. ეს სანატორიუმი ომის დაწყებისთანავე ევაკოჰოსპიტლად გადაკეთდა. აქ მაღალი ჩინის სამხედროები (გენერლები, პოლკოვნიკები) მკურნალობდნენ. ვლადიმერმა ომის პერიოდში შემოიღო დაჭრილთათვის წყალქვეშა ფიზკულტურა, რამაც დიდი ეფექტი გამოიღო. მას რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის წოდება მიენიჭა, დაჯილდოებული იყო მედლებითა და სიგელებით.

წყალტუბოს ევაკოჰოსპიტლებთან მჭიდროდაა დაკავშირებული ბაბულია კოხრეიძისა და გოგუცა ბაზაძის სახელები. ვინ მოთვლის, რამდენი ფრონტელის ძარღვებში აჩქეფდა მათი სისხლი, რამდენი ვაჟკაცი იხსნეს სიკვდილისაგან. ოთხი შვილის დედის ბ. კოხრეიძის დონორის წიგნაკში გაკეთებული აღნიშვნით, მან ომის დღეებში 16 კილოგრამი სისხლი გაიღო; გ. ბაზაძემ კი — 20 ლიტრი სისხლი.

მოწყალების დამ **ქსენია ქაროსანიძემ** ევაკოჰოსპიტალში თავისი ცხოვრების მეგზური იპოვა. მან დაჭრილ ჯარისკაცზე ალ. დოღნაძეზე იქორწინა. აღნიშვნის ღირსია, ასევე, მედდების: ანგელინა ღვინეფაძის, მარო ნიშნიანიძის, ტატიანა ჯიბუხაიას, ზინაიდა კოვზირიძის, ცაცა აფხაძის, ელენე ლომიძის, მარიაამ გუბელაძის, ქირურგის — ეკატერინე ვაშაკიძის ღვაწლი.

თავისი მხრებით ზიდა ომის საშინელება **თამარ როინიშვილმაც.** იგი ომის დაწყებისთანავე მეუღლესთან ერთად მოქმედ არმიაში გაიწვიეს, მაგრამ, როგორც ჩვილბავშვიანი, მცირე ხნის შემდეგ წყალტუბოს ჰოსპიტალში გაგზავნეს. მან მრავალ დაჭრილს გადაუსხა სისხლი... წყალტუბოში ასევე განაწილებით მოხვდა **ქეთევან მამრიკიშვილი.** იგი ერთსა და იმავე დროს იყო ევაკოჰოსპიტლისა და საოპერაციოს უფროსი ექთანი. 1943 წელს წყალტუბოს ევაკოჰოსპიტლები დაათვალიერა ამიერკავკასიის ჯარების მთავარსარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა ტულენევმა. მისი გადაწყვეტილებით, **ქ. მამრიკიშვილი „წითელი ვარსკვლავის" ორდენით დააჯილდოვეს.**

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თენგიზ კარტოზია დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე არმიაში გაიწვიეს. მუშაობდა ექიმად სანიტარული სამსახურის სხვადასხვა ნაწილში. იბრძოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, ყირიმის ნახევარკუნძულზე, უკრაინის I ფრონტზე. ომის დამთავრების შემდეგ კი დანიშნეს წყალტუბოს ნეიროქირურგიული ჰოსპიტლის სამედიცინო ნაწილის უფროსად. 1957 წელს თენგიზ კარტოზია კონკურსით აირჩიეს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალის გინეკოლოგიური განყოფილების გამგედ. სიცოცხლის ბოლო დღემდე იგი ამ ფილიალის დირექტორი და მთავარი ექიმი გახლდათ.

ჭრილობამოშუშებული ჯარისკაცების ურთიერთობა მათ მკურნალ თეთრხალათიანებთან ომთან ერთად არ დამთავრებულა. ეს მეგობრობა დიდხანს, ბევრისთვის — სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა. წლების შემდეგ, როცა წყალტუბოში აყვავდა საკურორტო ცხოვრება, როცა აშენდა და კეთილმოეწყო სანატორიუმების ფართო ქსელი, წყალტუბოელები ჩვეული სტუმართმოყვარეობით მასპინძლობდნენ იმ ავადმოსაგონარ წლებში შეძენილ მეგობრებს. მათ ცრემლნარევ სიხარულს ჩემი თაობაც იზიარებდა, ვისთვისაც ომი მხოლოდ საშინელი ზღაპარი იყო.

დარეჯან ანდრიაძე

საქართველოს ეკლესია დიდი სამამულო ომის წლებში

XIX-XX საუკუნეების დიდ საეკლესიო და საზოგადო მოღვაწეს, პედაგოგსა და მკვლევარს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძეს დამთავრებული ჰქონდა კიევის სასულიერო აკადემია (სამეცნიერო ხარისხით) და გახლდათ ერთობ განათლებული პიროვნება; შესანიშნავად იცნობდა როგორც ბიბლიას, ისე ეკლესიის მამათა წერილობით მემკვიდრეობას, სარწმუნოებასა და ღვთისმეტყველებას. კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებში დემოკრატიის იდეას ავითარებდა და ეკლესიის სახელმწიფოსგან და სკოლის ეკლესიისგან გამოყოფის კანონზომიერების საფუძვლებს საღვთო წერილსა და საღვთო გადმოცემაში ხედავდა. პიროვნებისა და მისი სინდისის ხელშეუხებლობა, ნებისა და არჩევანის თავისუფლება, ინდივიდის დამოუკიდებლობა ქრისტიანული მოძღვრების არსებითი ნიშანია და, რაც უფრო სრულყოფილად შევიგრძნობთ ამ მოძღვრების მაჯისცემას, მისი შინაგანი კავშირი თანამედროვე ცივილიზაციის მონაპოვართან — თავისუფლებასა და დემოკრატიასთან — მით უფრო გამოიკვეთება და გაცხადდება. თავისუფლება და დემოკრატია ქრისტიანული პოლიტოლოგიის ფესვს წარმოადგენს და ისტორიის მიზანიც ამ ფესვის გახარება და განაყოფიერებაა. ესაა ეკლესიოლოგიური თვალსაზრისი, რომლის საყრდენი პუნქტი სიყვარულისა და კაცთა შორის სათნოების სახარებისეული გაგებაა.

მორწმუნე ქართველებისთვის ოდითგანვე წმიდათაწმიდა მოვალეობას შეადგენდა სამშობლო მიწისა და დედაეკლესიის დაცვა. ქვეყნის წყლული ყოველთვის იყო ეკლესიის წყლული. საქართველოს ეკლესიის სამრეკლოზე მშობლიური მიწის დასაცავად არა ერთხელ დარეკილა საგანგაშო ზარები.

„რუსეთთან შეერთების შემდგომ შედარებით მშვიდობიანი ცხოვრებით ცხოვრობდა ქართველი ხალხი. ქვეყანას აღარ განუცდია მნიშვნელოვანი ნგრევა და მტრის თარეში. თითქოს მიივიწყა კიდეც ხალხმა ჩვენი ქნევა ხმლისა და მახვილისა და სწორედ მაშინ, როცა არსაიდან იყო მოსალოდნელი საფრთხე, ფაშისტური გერმანია მოულოდნელად შემოიჭრა ჩვენს ქვეყანაში, დაიწყო დიდი სამამულო ომი“ *(ილია II, ეპისტოლე II მსოფლიო ომში გამარჯვების 40 წლისთავის გამო).*

700 ათასი ქართველი, მათ შორის 16 ათასი მანდილოსანი ჩადგა მებრძოლთა რიგებში. ქვეყნისათვის მეტად მძიმე წუთებში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ხალხის სულიერ გამხნევებასა და მასში გამარჯვების რწმენის განმტკიცებას, რასაც დიდი მონდომებითა და სიყვარულით აკეთებდნენ ქართველი მღვდელმთავარნი, მღვდელნი და რიგითი მორწმუნენი. ქართველ სამღვდელოებას შეურყევლად სწამდა სიბრძნე სახარებისეული, რომ უსამართლოდ მახვილის აღმმართველი თვითონ შეიმუსრებოდა მახვილით.

მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, შიმშილისა და მწუხარებისა, ქართულმა ეკლესიამ აქტიურად დაიწყო თავდაცვის ფონდის შეგროვება. ამ შეწირულობათა მიზანი, აღნიშნავდა უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატე, იყო სულიერი კავშირის დამყარება ომში წასულთა და შინ დარჩენილთა შორის. ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე, 24 ივნისს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ სპეციალური წერილით მიმართა სამღვდელოებასა და მრევლს და ამცნო ყველას ჟამი განსაცდელისა. „**გვახსოვდეს,** — წერდა უწმინდესი, — **რომ ყოველნი, რომელთა უბრალოთა და უდანაშაულოთა წინააღმდეგ აღიღონ მახვილი, მახვილითა წარწყმდენ... ამ იმედით მტკიცედ ვიდგეთ თავისუფლებასა მას, რომლითაც ქრისტემან განგვათავისუფლა ჩუენ და ნუ კუალად უღელსა მას მონებისასა თავს ვიდებთ (გალ. 5,1), აღვიჭურვოთ შეურყეველი რწმენით, რათა ამპარტავანთა შემმუსვრელმა ღმერთმა (იაკ. 4,6) მოჰსცეს მხედრობას ჩვენსა ძალა, რათა წარდევნოს ჩვენგან ყოველნი მტერნი და მებრძოლნი, და თავდამსხმელთა ზარდასაცემად წარვთქვან ხმითა დიდითა, ჩვენთანა არს ღმერთი“** (*საქ. მეც. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი. კ. ცინცაძის ფონდი, საქ. 97).*

ომის დროს შეიქმნა დიმიტრი დონსკოის სატანკო დივიზია და ჩვენმა ქართულმა ეკლესიამ შეგროვილი ფულით თვითმფრინავები შესწირა. გარდა ამისა, მრევლმა, რისი საშუალებაც ჰქონდა, ფრონტზე გააგზავნა. ასე რომ, ფრონტისთვის არაფერი ენანებოდათ. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის თბილი და კარგი დამოკიდებულება იყო, ოღონდ არაპოლიტიკური — ადამიანური.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ეკლესიების მდგომარეობის შესახებ 1945 წლის 26 მარტს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ შეადგინა ცნობა. აი, რას წერდა უწმინდესი:

„1917 წელში საკათალიკოსოში იყო 1500 ეკლესია, 1600 მღვდელი და ამდენივე დიაკონ-წიგნის მკითხველი.

1937 წლის პირველი იანვრისათვის კი: ეკლესია 187, მღვდელი 203 და დიაკონ-წიგნის მკითხველი 43. 1937

წელში მრავალი ეკლესია დაიკეტა, სამღვდელონი ნებით თუ უნებლიეთ ჩამოშორდნენ ეკლესიას. ზოგი კი სამრევლომ არ გაუშვა, — დარჩით ჩვენთან და უტაძროდ გაგვიწიეთ მოძღვრებაო. მღვდლებიც დარჩნენ და ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას მრევლისა თუ სახელმწიფოს წინაშე, — იხდიდნენ გადასახადს, იძენდნენ ობლიგაციებს და სხვა.

საეპარქიო მთავრობებს (უკეთ კათალიკოს-პატრიარქს) უეკლესიოდ დარჩენილი მღვდლების მდგომარეობა მიაჩნდა არა კანონიერად, რის გამოც კათალიკოსი შეეთათბირა სათანადო სამოქალაქო ხელისუფლებას, რომელთანაც შეთანხმებით მღვდლები კათალიკოსის მიერ აყვანილ იქმნენ აღრიცხვაზე, და მათ ეძლეოდათ ხელისუფლების წარმომადგენელთან ერთად გამომუშავებული შემდეგი ფორმის მოწმობა: „ხელის მოწერითა და ბეჭდის დასმით დასტურდება, რომ ამის წარმომადგენელი მღვდელი № უფლებამოსილია შეუსრულოს ყოველგვარი ქრისტიანული ღვთის მსახურება და წესები თავის მრევლსა და გარეშეთაც, როდესაც ისინი მიმართავენ ამგვარი თხოვნით.

თუ უკანასკნელნი ისეთი ადგილიდან არიან, სადაც მღვდელი არ არის და მამა №№-ს იქ მიიწვევენ, ამის შესახებ უნდა ეცნობოს ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენელს“.

ამრიგად, მღვდლები რეგისტრირებულ იქმნენ და მრევლს მიეცა საშუალება, დაეკმაყოფილებინა თავის სარწმუნოებრივი მოთხოვნილების ნაწილი, მაგრამ იგი უეკლესიოდ რჩებოდა უზიარებელი, რაც მთავარი სარწმუნოებრივი მოთხოვნილებაა ქრისტიანეთათვის.

1943 წლის ოქტომბრის 8-ს დაარსდა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა გამო ცალკე საბჭო. მართალია, ეს საბჭო დანიშნული იყო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისათვის, მაგრამ, ვინაიდან იგი დაარსებული იყო კავშირის სახკომსაბჭოსთან, ამისათვის, მორწმუნეების აზრით, მისი გავლენა უნდა გავრცელებულიყო მთელი კავშირის მართლმადიდებლებზე. ამისათვის კათალიკოს-პატრიარქს სამრევლოებმა მოართვეს თხოვნები ეკლესიების გახსნისათვის. ეს თხოვნები 1944 წლის იანვრის 10 და თებერვლის 17, №№1222, 1261 და 1262 გადაეგზავნა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს დასაკმაყოფილებლად. თხოვნები იმავე წლის აპრილში გადაეცა კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ მართლმადიდებელი ეკლესიის საბჭოს რწმუნებულს ჩვენს რესპუბლიკაში, კ.ი. ქადაგიშვილს. საქმეებთან გაცნობის შემდეგ კონსტანტინე ილარიონის ძემ აღძრა სათანადო შუამდგომლობა ვისდამიც ჯერ არს. მაგრამ ჯერჯერობით გახსნილია სამი ეკლესია — მანგლისში, სტალინირში (აწ ცხინვალი). სასაფლაოსი — ბათუმში, სამების სახელობისა. ამჟამად საკათალიკოსოში მოქმედებს 29 ეკლესია, რომელშიდაც მოღვაწეობენ 5 მღვდელმთავარი, 41 ძირითადად მომუშავე მღვდელნი, ორი პროტოდიაკონი და 3 წიგნის მკითხველი, და ზედმიწერილნი: მღვდელნი 77 და მედავითნე 2; ამას გარდა მხოლოდ აღრიცხვაზე არის აყვანილი 6, სავსებით საკათალიკოსოში ირიცხება 135 ეკლესიის მსახური. შესაძლებლად მიმაჩნია, მთებში კიდევ იყვნენ ჩარჩენილნი მღვდლები.

სამღვდელოების მოქმედება გამოიხატებოდა წირვა-ლოცვა-წესების შესრულებაში, ქადაგება-დარიგების წარმოებაში, სარწმუნოება-ზნეობით შემოსილ ადამიანის სახის მიცემაში მორწმუნეთათვის, სამამულო ომის წარმოების ჟამს თავდაცვის ფონდის დაგროვებაში, როგორც პირადი წვლილით, ისე მორწმუნეთა შორის შეკრებილით: 1944 წ. იანვრიდან დღევანდლამდე შეკრებილია 102274 მანეთი.

აღსანიშნავია შემდეგიც: 1943 წლის ოქტომბრის 31-ს მოხდა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან კანონიერ-ევქარისტული კავშირის აღდგენა, რომელიც შეწყვეტილი იყო ერთმორწმუნე ეკლესიათა შორის 1917 წლიდან, და 1945 წლის იანვართებერვალში ჩვენი ეკლესიის მეთაურის „ფრიად საპატიო სტუმრად“ მიწვევა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის არჩევნებზე დასასწრებლად. კრებაზე შეპატიჟებულნი იყვნენ ყველა მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურნი, რომელთაგან ალექსანდრიისა და ანტიოქიის პატრიარქები გამოცხადდნენ პირადად, ხოლო კონსტანტინეპოლისა, იერუსალიმისა, სერბიისა და რუმინეთისანი წარმომადგენელთა სახით. კათალიკოს-პატრიარქი ამალით, საქართველოს სს რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლის კ.ი. ქადაგიშვილის მეშვეობით, ხელშეწყობით გაემგზავრა თბილისიდან 23 იანვარს და დაბრუნდა თებერვლის 17. ალექსი პატრიარქის და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული საბჭოს თავმჯდომარის, გ. გ. კარპოვის გულთბილმა და თავაზიანმა დახვედრამ და ყველა მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურთა პირადმა ურთიერთთან შეხვედრამ, რასაც ადგილი არ ჰქონია 787 წლის (1787) შემდეგ, განაცხოველა და განამტკიცა მათ შორის ძმური სიყვარული და კავშირი. ამითაა შესანიშნავი ეს იშვიათი მოვლენა — მოსკოვის 1945 წლის კრება. საკათალიკოსოში დაბრუნდნენ სამღვდელო ეფრემი, პროტოპრესვიტერი იოანე ლოზოვი და პროტოდიაკონი ამბროსი ახობაძე. ამიერ ქვეყნით განვიდენ დეკანოზი მეთოდე გირენკო და მღვდლები ესტატე აბრამიშვილი და ლავრენტი გარსიაშვილი. გამოიცა ქართულად და რუსულად ცალკე ფურცლებზე „ღვთისმსახურების დროს სავედრებელი თხოვნანი“ და „საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1945 წლისათვის“ წიგნაკად და ტაბულად... სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე.“

ფრონტის დახმარებისათვის ქართულმა ეკლესიამ უმაღლესი მთავარსარდლისგან მიიღო მრავალი სამადლობელი დეპეშა, ერთ-ერთის შინაარსი ასეთია: „ქ. თბილისი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს. მადლობას გწირავთ საქართველოს საკათალიკოსოს მორწმუნეებსა და სამღვდელოებას წითელ არმიაზე ზრუნვისათვის. მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა. ი.სტალინი“. 1944 წლის 16 მაისს გაზეთი „კომუნისტი“ წერდა, რომ საქართველოს საპატრიარქომ სამშობლოს გმირი დამცველებისათვის ძღვნად გაგზავნა 150 ათასი მანეთი და თავდაცვის ფონდში ჩარიცხა 850 ათასი. ომის დამთავრების შემდეგ იოსებ სტალინმა საქართველოს პატრიარქს საჩუქრად ძვირფასი ავტომანქანა „ზიმი“ გამოუგზავნა.

მშვიდობა ჭეშმარიტად დიდი წყალობაა უფლისა. თუ ჩვენ შევძლებთ თითოეულ ადამიანში შინაგანი, ქრისტესმიერი მშვიდობის დამკვიდრებას, მხოლოდ ამ შემთხვევაში დადგება ის კურთხეული დრო, როცა **„დასჭრიდნენ მახვილებსა მათსა სახნისად და ლახვრებსა მათსა ნამგლად: და არა აღიღოს ნათესავმან ნათესავსა ზედა მახვილი და არღა ისწავებოდნენ მერმე ბრძოლასა“** (ისაია, 11,4).

მოამზადა
დარეჯან ანდრიაძემ

ნიურნბერგის პროცესი


ჰერმან გერინგი
ნიურნბერგის პროცესზე

ლონდონის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ ჩამოყალიბდა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი სსრ კავშირის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის სახელმწიფოების წარმომადგენელთა შემადგენლობით.
მთავარ სამხედრო დამნაშავეთა პირველი სასამართლო პროცესის გამართვა ნიურნბერგში გადაწყდა, ქალაქში, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში წარმოადგენდა ფაშიზმის ციტადელს.

სსრ კავშირიდან მთავარი ბრალმდებლის – რ. ა. რუდენკოს შესავალი სიტყვა

1946 წლის 8 თებერვალი

1933 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ სტატიაში გერინგი თავის დამსახურებულად თვლიდა გესტაპოში გარდაქმნის განხორციელებას, უშუალოდ თვითონ დაიქვემდებარა რა საიდუმლო პოლიცია და პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან საბრძოლველად შექმნა საკონცენტრაციო ბანაკები.

„ამგვარად, — ამბობდა გერინგი, — წარმოიშვა საკონცენტრაციო ბანაკები, რომლებშიც ჩვენ უნდა გამოგვემწყვდია კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების აპარატის ათასობით მუშაკი“.

საბჭოთა ბრალდებას ხელთ აქვს მარტინ ბორმანის „შენიშვნები“ 1940 წლის 2 ოქტომბერს ჰიტლერთან გამართული თათბირის თაობაზე, რომელიც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივებში აღმოაჩინეს, როცა საბჭოთა ჯარებმა ბერლინი აიღეს. ეს დოკუმენტი ოკუპირებულ პოლონეთს შეეხება. ის წარედგინება სასამართლოს.

მოკლედ ამ დოკუმენტის შესახებ:

თათბირი დაიწყო ფრანკის განცხადებით იმის თაობაზე, რომ მისი მოღვაწეობა გენერალ-გუბერნატორად ძალიან წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს: ებრაელები ვარშავაშიც და სხვა ქალაქებშიც გამომწყვდეულნი არიან გეტოებში; ძალიან მალე კრაკოვი მთლიანად გაიწმინდება ებრაელებისაგან. „არ უნდა არსებობდნენ პოლონელი მეპატრონეები, — ნათქვამი იყო დოკუმენტში, — იქ, სადაც ისინი იქნებიან, რაც არ უნდა სასტიკად ჟღერდეს, უნდა გავანადგუროთ...“ „პოლონეთის ინტელიგენციის ყველა წარმომადგენელი უნდა განადგურდეს! — ეს სასტიკად ჟღერს, მაგრამ ასეთია ცხოვრებისეული კანონი...“

„...მღვდლებს დავინდობთ. ამისათვის მათ ჩვენი მითითებები უნდა შეასრულონ. თუკი მოიძებნება მღვდელი, რომელიც სხვაგვარად მოიქცევა, მასთან მოკლე საუბარი გვექნება. მღვდლის მოვალეობაა, იზრუნონ პოლონელთა სიმშვიდეზე, მათ დაჩლუნგებასა და დაბრიყვებაზე. ეს ყველაფერი ჩვენს ინტერესებში შედის“... „...უკანასკნელი გერმანელი მუშა და უკანასკნელი გერმანელი გლეხი ეკონომიური თვალსაზრისით ყოველთვის ნებისმიერ პოლონელზე მაღლა უნდა იდგეს“.

ჰიტლერელთა არნახულ ბოროტებებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სლავი და ევროპელი ხალხისადმი მათ სისხლიან ანგარიშსწორებას. ჰიტლერი რაუშნინგს ეუბნებოდა:

„საუკუნეთა მანძილზე ღარიბთა და ჩაგრულთა დაცვაზე წუწუნის შემდეგ დადგა დრო, რომ ჩვენ დავიცვათ ძლიერნი მდაბალთა წინააღმდეგ. ეს იქნება ერთ-ერთი მთავარი ამოცანა გერმანელი სახელმწიფო მოღვაწეებისა მთელი საქმიანობის განმავლობაში, რათა ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალებით აღვკვეთოთ სლავური რასის შემდგომი გამრავლება. არა მარტო უნდა დავამარცხოთ ჩვენი მტერი, არამედ — უნდა გავანადგუროთ.

გამარჯვებულის პრეროგატივა ყოველთვის იყო მთელი ერების განადგურება“.

საბჭოთა ბრალმდებლის კითხვებზე მოწმემ განაცხადა: „გიმლერის სიტყვაში მოხსენიებული იყო, რომ უნდა შემცირდეს სლავთა რაოდენობა 30 მილიონი ადამიანითო“. აი, რა გასაოცარ მასშტაბებს მიაღწია ჰიტლერელთა დანაშაულებრივმა ჩანაფიქრმა. განსაკუთრებით სასტიკად გაუსწორდნენ ჰიტლერელები საბჭოთა ინტელიგენციას.

ჯერ კიდევ სსრ კავშირზე თავდასხმამდე მომზადდა მითითებანი საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური და რასობრივი მოტივებით დაუნდობელი განადგურების შესახებ. უშიშროების პოლიციის უფროსის 1941 წლის 17 ივნისის №8 ოპერატიული ბრძანების №2 დამატებაში ნათქვამია: „უპირველესად, აუცილებელია გაირკვეს: ყველა გამოჩენილ სახელმწიფო და პარტიული თანამდებობის პირს, განსაკუთრებით პროფესიონალ რევოლუციონერებს; კომინტერნის მოღვაწეებს; სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ყველა გავლენიან მოღვაწესა და მასზე დაქვემდებარებულ ყველა ორგანიზაციას ცენტრალურ კომიტეტში, საოლქო და რაიონულ კომიტეტებში; ყველა სახალხო კომისარსა და მათ მოადგილეებს; წითელი არმიის ყველა ყოფილ პოლიტკომისარს; სახელმწიფო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს; სამეურნეო სფეროს ხელმძღვანელ პირებს; საბჭოთა-რუს ინტელიგენტებსა და ყველა ებრაელს“.

დირექტივაში მითითებული იყო, რომ მსგავსი ღონისძიებები უნდა გატარებულიყო, ასევე, უკრაინელთა, ბელორუსთა, აზერბაიჯანელთა, სომეხთა, ქართველთა, თურქთა და სხვათა მიმართ. თავის გეგმებში ფაშისტი შეთქმულები აღნიშნავდნენ მსოფლიოში ებრაელი მოსახლეობის განადგურებაზე. ისინი ამ მიმართულების 1933 წლიდან მოქმედებდნენ.

ბრალდებულ ფრანკის სიტყვაში ნათქვამია: „ის, ვინც დღეს გაივლის კრაკოვში, ლვოვში, ვარშავაში, რადომსა და ლუბლინში, სამართლიანად უნდა აღიაროს, რომ გერმანელთა მცდელობას რეალური წარმატებები მოჰყვა — ებრაელებს ვერ ნახავთ“.

ებრაელთა მხეცურ განადგურებას ადგილი ჰქონდა უკრაინაში, ბელორუსიაში, ბალტიისპირეთში. ქ. რიგაში გერმანელთა ოკუპაციამდე 80 ათასი ებრაელი ცხოვრობდა. წითელი არმიის მიერ რიგის გათავისუფლების მომენტში იქ 140 ებრაელიღა იყო დარჩენილი.

ბატონო მოსამართლეებო!

მე აქ გამოვდივარ როგორც სსრ კავშირის წარმომადგენელი, რომელმაც საკუთარ თავზე მივიღე ფაშისტ დამპყრობთა დარტყმების ძირითადი სიმძიმე და უდიდესი წვლილი შევიტანე ჰიტლერული გერმანიისა და მისი სატელიტების განადგურების საქმეში. საბჭოთა კავშირის სახელით მე ბრალს ვდებ ბრალდებულებს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდების მე-6 მუხლის ყველა პუნქტით.

აშშ, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავარ ბრალმდებლებთან ერთად მე ბრალს ვდებ ბრალდებულებს მასში, რომ მათ მოამზადეს და განახორციელეს ვერაგული თავდასხმა ჩემი ქვეყნის ხალხებზე და მშვიდობისმოყვარე ხალხებზე.

სსრ კავშირიდან მთავარი ბრალმდებელი რ. ა. რუდენკო ნიურნბერგის პროცესზე სიტყვით გამოსვლისას

მე ბრალს ვდებ მათ იმაში, რომ გაანადგურეს ომამდე ევროპის ბევრი ქვეყანა, ანადგურებენ ინგლისელ ხალხებს, ანადგურებენ ბელგიელ, ფრანგ, ბერძენ, ნორვეგიელ, ჰოლანდიელ, ბრაზილიელ, ბალტიისპირეთელ, ბალკანელ, ბელორუს

ადგილებზე შეიქმნა რესპუბლიკური, საოლქო, სამხარეო, საქალაქო კომისიები გერმანელ ფაშისტთა ბოროტმოქმედებების დასადგენად და გამოსაძიებლად.

საგანგებო სახელმწიფო კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეები, სხვადასხვა საზოგადოებრივი, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაციებისა და რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენლები. ეს კომისია აგროვებდა და ამოწმებდა მონაცემებს და ადგენდა აქტებს გერმანელ დამპყრობთა მხეცობებზე, საბჭოთა კავშირსა და მის მოქალაქეებზე მიყენებულ ზიანზე.

მარტო სსრ კავშირის მოქალაქეების მიმართ განხორციელებული ბოროტების თაობაზე შედგა 54784 აქტი. საგანგებო სახელმწიფო კომისიის ეს აქტები ძალაშია საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდების 21-ე მუხლის მიხედვით და წარმოადგენს უტყუარ მტკიცებულებას. ყველა ამ აქტიდან საბჭოთა ბრალდება ტრიბუნალს მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს წარუდგენს.

საბჭოთა ბრალდებას, ასევე, ხელთ აქვს ფოტოდოკუმენტები, რომლებიც აღწერს იმ მხეცობასა და ნგრევას, რომლებიც გერმანელმა დამპყრობლებმა სსრ კავშირის ტერიტორიის ოკუპაციისას განახორციელეს. ამ ფოტოების ნაწილი წარედგინება ტრიბუნალს. მტკიცებულების სახით საბჭოთა ბრალდება ტრიბუნალს რამდენიმე დოკუმენტურ კინოფილმს წარუდგენს.

დამპყრობთა მიერ ჩადენილი დანაშაულებების მტკიცებულებათა წარმოდგენისას, საბჭოთა ბრალმდებელი გამოიყენებს იმ გერმანულ დოკუმენტებს, ფოტოსურათებსა და კინოფილმებს, რომლებიც გერმანელებს წაართვეს.

საბჭოთა ბრალდება, ასევე, წარმოადგენს იმ დანაშაულთა მტკიცებულებებს, რომლებიც ბრალდებულებმა და მათმა თანამზრახველებმა ჩაიდინეს ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთსა და იუგოსლავიაში. ამ მტკიცებულებათა შორის აღსანიშნავია ჩეხოსლოვაკიის მთავრობის ოფიციალური მოხსენება „გერმანიის დანაშაულები ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ“...

ამ მოხსენებას თან ერთვის დოკუმენტები. მათ შორისაა გერმანელ-

ნიურნბერგის პროცესზე. ი. რიბენტროპი, გ. შირახი და ფ. ზაუკელი

ფაშისტ ხელისუფალთა კანონები, ბრძანებები, განკარგულებები, რომლებიც გამოიცემოდა და ქვეყნდებოდა ოფიციალურ გამოცემებში; ასევე: დოკუმენტები ჩეხოსლოვაკიის მთავრობის არქივებიდან; ფიცის დადებით იმ პირთა მიერ მიცემული ჩვენებები, რომლებიც ოკუპაციის პერიოდში დიდი თანამდებობები ეკავათ ჩეხოსლოვაკიაში. წარმოდგენილი იქნება კინოფილმი სოფელ ლიდიცეს განადგურების შესახებ. კინოფილმი ლიდიცეს განადგურების შესახებ თავის დროზე დამზადდა ოფიციალური გერმანული დაწესებულებების მიერ. ის იპოვა ჩეხოსლოვაკიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებმა.

ჩეხლოსლოვაკიის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა შესახებ ოფიციალური მოხსენება და მისი თანდართული დოკუმენტები ძალაშია საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდების 21-ე მუხლით და წარმოადგენს უტყუარ მტკიცებულებას და წარედგინება სასამართლოს.

საბჭოთა ბრალდება წარადგენს ბრალს, ასევე, პოლონეთში შეთქმულთა მიერ ჩადენილ დანაშაულებებზე. ძირითადი მამხილებელი დოკუმენტი ამ საკითხთან დაკავშირებით იქნება პოლონეთის მთავრობის 1946 წლის 22 იანვრის მოხსენება. ამ დოკუმენტის წყაროს წარმოადგენს პოლონეთის ხელისუფლების ოფიციალური დოკუმენტები.

და ბოლოს, საბჭოთა დელეგაცია წარუდგენს ტრიბუნალს იუგოსლავიის ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულთა დოკუმენტებს.

ამდენად, რუდენკოს მომზადებული ჰქონდა რვა მოხსენება: „მშვიდობის საწინააღმდეგო დანაშაული“ (აგრესია ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და იუგოსლავიის მიმართ), „აგრესია სსრ კავშირის მიმართ“, „ომის წესებისა და სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობის ტრადიციების უგულვებელყოფის დანაშაული“, „სსრკ-ის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და იუგოსლავიის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობები“, სახელმწიფო და კერძო სკუთრების დატაცება და განადგურება“, „კულტურულ ფასეულობათა ძარცვა და განადგურება; ქალაქებისა და სოფლების დანგრევა და გაქრობა“, „იძულებითი შრომა და ძალადობრივი იძულება გერმანული მონობისკენ“, „დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ“.

***

საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის სასამართლოს წინაშე უნდა წარმდგარიყვნენ ბრალდებულები:

გ. გერინგი — რეიხსმარშალი, ავიაციის მთავარსარდალი, ე. წ. ოთხწლიანი გეგმით უფლებამოსილი პირი, 1922 წლიდან ჰიტლერის უახლოესი თანამზრახველი;

რ. ჰესი — ჰიტლერის მოადგილე ფაშისტურ პარტიაში, იმპერიის თავდაცვის მინისტრთა საბჭოს წევრი;

ი. რიბენტროპი — საგარეო საქ-

პირველ რიგში მარცხნიდან: გერინგი, ჰესი, რიბენტროპი, კეიტელი

მეთა მინისტრი, ფაშისტური პარტიის უფლებამოსილი პირი შიდა-პოლიტიკის საკითხებში;

რ. ლეი — ფაშისტური პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი;

ვ. კეიტელი — ფელდმარშალი, უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის უფროსი;

ე. კალტენბრუნერი — CC-ის ობერგრუპენფიურერი, იმპერიის უშიშროებისა და პოლიციის სამმართველოს უფროსი, გიმლერის უახლოესი თანამზრახველი;

ა. როზენბერგი — ჰიტლერის მოადგილე ნაცისტური პარტიის წევრთა იდეოლოგიურად მომზადების საკითხებში, აღმოსავლეთის ოკუპირებული ტერიტორიების საქმეთა მინისტრი;

გ. ფრანკი — ფაშისტური პარტიის რეიხსლეიტერი და გერმანული სამართლის აკადემიის პრეზიდენტი, ოკუპირებული პოლონეთის ტერიტორიის გენერალ-გუბერნატორი;

ვ. ფრიკი — შს მინისტრი და იმპერიის უფლებამოსილი პირი სამხედრო-ადმინისტრაციულ საკითხებში

ი. შტრეიხერი — რასიზმისა და ანტისემიტიზმის იდეოლოგი, ებრაელთა დასამარების ორგანიზატორი;

ვ. ფუნკი — ეკონომიკის მინისტრი, რეიხსბანკის პრეზიდენტი, იმპერიის თავდაცვის მინისტრთა საბჭოს წევრი;

გ. შახტი — ვერმახტის გადაიარაღების ორგანიზატორი, ჰიტლერის ერთ-ერთი უახლოესი მრჩეველი ეკონომიკისა და ფინანსების საკითხებში;

გ. კრუპი — მსხვილი სამხედრო სამრეწველო კონცერნის მეთაური, გერმანიის მილიტარიზმის აგრესიული გეგმების მომზადებისა და განხორციელების აქტიური მონაწილე, გერმანიაში კატორღულ სამუშაოებზე წაყვანილი ათასობით უდანაშაულო ადამიანის მკვლელობაში დამნაშავე;

კ. დენიცი — გროს-ადმირალი, წყალქვეშა ფლოტის მეთაური, 1943 წლიდან — სამხედრო-საზღვაო ძალების ხელმძღვანელი, ჰიტლერის შემცვლელი სახელმწიფო მეთაურის პოსტზე;

ე. რედერი — გროს-ადმირალი, 1943 წლამდე სამხედრო საზღვაო ძალების მთავარსარდალი;

ბ. შირახი — გერმანიის ახალგაზრდული ფაშისტური ორგანიზაციების ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, ჰიტლერელთა ოფიციალური წარმომადგენელი ვენაში;

ფ. ზაუკელი — CC-ის ობერგრუპენფიურერი, სამუშაო ძალის გამოყენებაში უფლებამოსილი პირი;

ა. იოდლი — გენერალ-პოლკოვნიკი, შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის ოპერატიული შტაბის უფროსი;

ფ. პაპენი — გერმანიაში ფაშისტების მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდების ერთ-ერთი ორგანიზატორი, ჰიტლერის უახლოესი თანამზრახველი ავსტრიის „შემოერთების“ საქმეში;

ა. ზეისს-ინკვარტი — ავსტრიის ფაშისტური პარტიის ხელმძღვანელი, პოლონეთის გენერალ-გუბერნატორის მოადგილე, ნიდერლანდებში ჰიტლერის წარმომადგენელი;

ა. შპეერი — ჰიტლერის უახლოესი მრჩეველი და მეგობარი, ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი დაგეგმვის საკითხებში;

კ. ნეირატი — ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, იმპერიის თავდაცვის საბჭოს წევრი, ჩეხოსლოვაკიის დაპყრობის შემდეგ ბოგემიისა და მორავიის პროტექტორი;

გ. ფრიჩი — ჰებელსის უახლოესი თანამშრომელი, პროპაგანდის სამინისტროს შიდა პრესის განყოფილების უფროსი, რადიომაუწყებლობის განყოფილების ხელმძღვანელი, ჰიტლერის უახლოესი თანამზრახველი.

მ. ბორმანი — 1941 წლიდან ჰიტლერის მოადგილე ფაშისტურ პარტიაში, პარტიის კანცელარიის ხელმძღვანელი.

მათ ბრალი ედებოდათ აგრესიული ომის გაჩაღებაში, დანაშაულში კაცობრიობის წინაშე...

ნიურნბერგის პროცესი ისტორიაში შევიდა როგორც ანტიფაშისტური პროცესი. მან მთელი მსოფლიოს წინაშე გამოააშკარავა ფაშიზმის ადამიანთმოძულეობა, განსაკუთრებით — რასიზმის არსი, რომელიც იდეურ საფუძველს წარმოადგენდა აგრესიული ომებისა და ადამიანთა მასობრივი ხოცვის მოსამზადებლად და საწარმოებლად. ნიურნბერგის პროცესის მეშვეობით ფაშიზმი გამოჩნდა ისეთი, როგორიც სინამდვილეში იყო — ბანდიტთა შეთქმულება თავისუფლებისა და კაცობრიობის წინაშე.

1946 წლის 30 სექტემბერ-1 ოქტომბერს გამოტანილ იქნა განაჩენი: **ტრიბუნალმა გერინგს, რიბენტროპს, კეიტელს, კალტენბრუნერს, როზენბერგს, ფრანკს, ფრიკს, შტრეიხერს, ზაუკელს, იოდლს, ზეისს-ინკვარტს, ასევე, ბორმანს (დაუსწრებლად) ჩამოხრჩობა მიუსაჯა; ჰესს, ფუნკსა და რედერს — სამუდამო პატიმრობა; შირახსა და შპეერს — 20-წლიანი პატიმრობა; ნეირატს — 15, დენიცს — 10 წელი; ფრიჩი, პაპენი და შახტი გამართლდნენ.**

განაჩენი სისრულეში მოყვანილ იქნა 1946 წლის 16 ოქტომბერს, ღამით.

ეგ არი და გორის ციხე!

ბრწყინავს ქართლი, ვარდის ბაღი, შეფრქვეული მინანქარით, იაგუნდის წვიმა დასწვიმს, სურნელების დაჰქრის ქარი.

ქოხი, სადაც დაიბადა სტალინი

გიორგი ლეონიძის ამ ბრწყინვალე სტროფს პოემიდან „ბელადი. ბავშვობა და ყრმობა“ ვერც ქართლს მიუსადაგებ, ვერც მის გულს — ომგადახდილ ქალაქ გორს; ვერ შეიქმნი ვარდის ბაღის განწყობილებას, რადგან ქართლის გატიალებული სანახები ლტოლვილთა უსახო დასახლებათა ერთფეროვანი პუნქტირებითაა გადახაზული. დამთრგუნველი განწყობილება ზეობს, რომელსაც 2008 წლის აგვისტოდან მოყოლებული, აგერ მეორე წელიწადი ხდება, ვებრძვით და ვერ მოვრევივართ.

ვერ მოვრევივართ კი არა, სულ ახლახან გამჟღავნებულ გარემოებათა გამო სასოწარკვეთამდე ვართ მისული: თურმე გასაწირად ვყავართ გამეტებული ხელისუფლებას, რაც მიუკიბ-მოუკიბავად დაგვიდასტურა შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა, რომელმაც „კომერსანტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ გივი თარგამაძემ 50 ათასი (ალბათ, დოლარი) შესთავაზა რუს სამხედროებს გორის ცენტრალური მოედნის დასაბომბად და სტალინის ძეგლის ასაფეთქებლად.

გორელების სიცოცხლეზე წამითაც არ დაფიქრებულა.

კიდევ ვინ და რა სძულს თარგამაძეს, ამ შეუცვლელ ერთფეროვნებას და ყველაფრის მკისრებელ დეპუტატს, რათა იაგუნდის კი არა ბომბების წვიმა დააწვიმოს საქართველოს ნებისმიერ ქალაქსა და სოფელს და ცეცხლწაკიდებული სახლების მახრჩობელა „სურნელება“ დაატრიალოს ამათ ხელში გაუბედურებულ ქვეყანასა ზედა?

არ ესადაგება ეს ყოველივე ქართლის ბრწყინვალებას. ან, ეგებ, ჩემი პირადი განწყობილებაა ამგვარი, — სუბიექტური მიდგომა და არა სინამდვილის ადეკვატური აღქმა?

სავსებით შესაძლებელია. მაგრამ ახლა მე მივემგზავრები გორში და არა — ადეკვატურობის ცნება.

მივლინების მიზანი — რეპორტაჟის მომზადება გორის სტალინის სახელმწიფო მუზეუმიდან, რომელიც ერთადერთია მსოფლიოში და თუნდაც ამითაა უნიკალური და გამორჩეული.

თუნდაც ამით, არაფერი რომ არ ვთქვათ თვით სტალინზე, რომელიც **„იყო უდიდესი, მსოფლიოში ბადალი რომ არ ჰყავდა, დიქტატორი, რომელმაც კავის რუსეთი ჩაიბარა, და დატოვა იგი ატომური იარაღით აღჭურვილი“,** — უინსტონ ჩერჩილი ლაპიდარული და, ამასთან, ტევადი შეფასებების დიდოსტატი იყო.

დიქტატორი, რომელიც განგების ნებით, თუ ისტორიულ მოვლენათა დინების ლოგიკით ავიდა იმპერიის მმართველის „ყინულის ტახტზე“ (ალექსანდრ ბუშკოვი), რომელიც მას შეიწირავდა ბოლოს და ბოლოს. ეს სტალინმა სხვებზე უკეთ იცოდა.

შეიწირა.

რა დროც მეფობდა, ისეთივე იყო „მეფის ტახტი“, რომელიც ანდამატივით იზიდავდა ძალაუფლების მოყვარულთ, იმათ, ვინც სტალინს ებრძოდა ამ ტახტის წინაშე გველივით დაკლაკნილი.

აქ შევჩერდეთ, რადგან განსჯის გაგრძელება ან სტალინის „კულტამდე“ მიგვიყვანს, ან — მის რეაბილიტაციამდე.

მას კი ამ უკიდურესობათაგან არ სჭირდება არც ერთი, რადგან ამგვარ შეფასებებზე მაღლა დგას. ხოლო მის მომდევნო ხელისუფალთა მცდელობა, საზოგადოებრივ აზრში ჩანერგონ მისდამი სიძულვილი, სხვა არაფერია, თუ არა მასაში შტამპებით აზროვნების დამკვიდრების გზით საკუთარი არარაობის ყოვლისშემძლე ფიგურებად წარმოჩენის პრიმიტიული მეთოდი.

შუა გაზაფხულის იმ დღეს, ანუ 14 აპრილს, ნაშუადღევს მუზეუმის დარბაზებში ზურგჩანთამოკიდებული, პანკის ვარცხნილობიანი ერთი ახალგაზრდა დაკვირვებით ათვალიერებდა ექსპოზიციას.

ერთადერთი მნახველი ის იყო.

მაგრამ ასეთი ხალვათობა, რაც სეზონებსშორისი პერიოდისთვის არის დამახასიათებელი, აქ იშვიათობაა.

შარშან მუზეუმი დაათვალიერა 14 ათასმა სტუმარმა — საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების მოქალაქეებმა. სტალინის ფენომენისადმი ინტერესი დიდია, განსაკუთრებით, უცხოელების მხრიდან — დამთვალიერებელთა 70 პროცენტზე მეტი სწორედ მათზე მოდის.

მუზეუმის დირექტორი რობერტ მაღლაკელიძე ამ მასას სამ კატეგორიად ჰყოფს: ვინც პატივს სცემს სტალინს, ვისაც სძაგს იგი და ვისაც ყურმოკვრით თუ სმენია ამ მასშტაბური პიროვნების შესახებ.

— ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები რომელ კატეგორიაში გადიან? — ვეკითხები დირექტორს, — ყოფილან თუ არა ქვეყნის „ცნობადი სახეები“ ხელისუფლებიდან ან ოპოზიციიდან მუზეუმში?

— ასეთ სტატისტიკას არ ვაწარმოებთ, — ვიღებ პასუხად.

ვაფასებ ბატონ რობერტის ტაქტსა და დიპლომატიურ უნარს...

მუზეუმი დამთვალიერებლებს მაქსიმალური ობიექტურობით შედგენილი ექსპოზიციით ხვდება. აქ ვერ იგრძნობთ სტალინის, როგორც ბელადის, გაღმერთების ვერავითარ მცდელობას, მაგრამ არც ხრუშჩოვის ზიზღისა და გესლისთვის არ დაუტოვებიათ არავითარი ადგილი.

სტალინი გორის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებთან ერთად

საკმარისად მოწამლა თაობები.

ვერც იმას იტყვი, რომ მუზეუმი მაქსიმალურად გრძნობადაცლილი ტურისტული ობიექტია, რადგან, სხვა თუ არაფერი, ექსკურსიამძღოლები ადამიანები არიან, რომელთაც აქვთ უფლება, საკუთარი შეხედულება ჰქონდეთ თავიანთ დიდ თანამემამულეზე.

თუმცა უნდა დავეთანხმოთ ბატონ რობერტს, რომელიც ამბობს, რომ მუზეუმი ასახავს რეალობას და არავითარ პროპაგანდას აქ არავინ ეწევა.

ალბათ, ასეც უნდა იყოს, რადგან სტალინს — ამ ბუმბერაზ ფიგურას არ სჭირდება არც ხო ში მინის, არც კიმ ირ სენის განსადიდებლად დახარჯული ტვინის ჭყლეტა და ხელოვნურობა. ექსპოზიცია თავისთავად მეტყველებს. ექსპონატები ლაკონური წარწერებით ქართულ და რუსულ ენებზე (მალე ინგლისურიც იქნებაო) ფაქტობრივი დადასტურებაა მსოფლიო სოციალისტური იმპერიის შემქმნელის მასშტაბური მოღვაწეობის — გორის სასულიერო სასწავლებლიდან დაწყებული, რევოლუციური ბრძოლისა და გადასახლებათა კალეიდოსკოპით გაგრძელებული ფაშიზმზე დიადი გამარჯვების აპოთეოზამდე.

ჯანსუღ ჩარკვიანის სარკასტული სტროფი მახსენდება:

„ვაჰმე, მთავარსარდლის კიტელს,
ბრდღვინავს გორისციხის ლომი,
სტალინი ებრძოდა ჰიტლერს,
ჟუკოვმა მოიგო ომი...“

ექსპონატები მეტყველებენ და ამ რეალობას არ სჭირდება აღტაცების ეპითეტები, რადგან ეს იქნებოდა გაუბრალოება იმისა, რაც იყო.

და აღარასოდეს განმეორდება.

გლოვის დარბაზი — განათებაშერბილებული, მუქი ფერებით დამძიმებული. ცენტრში სტალინის — სიკვდილისშემდგომი ნიღაბი.

მეექვსე რიგით.

სტალინის პირადი ნივთები, გარემო, რომელშიც ცხოვრობდა: სამუშაო ოთახი, ჩიბუხები (მათგან ერთ-ერთი ხრუშჩოვს უთავაზა), ფარაჯა, ჩექმები, საჩუქრები, რომელთაგან არც ერთი არ მიუსაკუთრებია.

— როგორ გადარჩა მუზეუმი აგვისტოს ომს?

— ხალხი იცავდა — გორელები.

— შემოსვლის მცდელობა თუ ჰქონდათ იმათ, ვინც ტანკები შემოიყვანა გორში?

— მუზეუმი დალუქული იყო და არავის — არც მტერს, არც მოყვარეს არ უცდია, აეხსნა ლუქი და შემოსულიყო. მაგრამ ომი ომია და, რადგან გამორიცხული არ იყო, დაბომბვას აეფეთქებინა მუზეუმი, სტალინის პირადი ნივთები თბილისში, სახელმწიფო მუზეუმში ჩავიტანე და შევანახვინე. ყველაფრის აღდგენა შეიძლება, მაგრამ მისი პირადი ნივთებისა — არა. ორი თვის შემდეგ ჩამოვიტანე და ახლა გამოფენილია ყველა. ჩატანაც და დაბრუნებაც სახელმწიფო კომისიის თანდასწრებით მოხდა.

— როდის გაიტანეთ?

— 11 გვისტოს.

— ეს ხომ დიდი რისკი იყო, რადგან იმ დღეებში ბომბები ცვიოდა გორში.

— რისკი იყო, მაგრამ იმ ნივთების დაკარგვა უფრო რეალური რისკი იყო.

ტაქსით წავიღე, რათა ნივთების ევაკუაცია ნაკლებად თვალშისაცემი ყოფილიყო.

დიდი მადლობა დირექტორს ამისთვის, რადგან აგვისტოს იმ უბედურების ჟამს ასეთი მშვიდობიანი პროფესიის ადამიანებმა კი არა, ისეთმა ხელმძღვანელებმაც კი დაკარგეს თავ-გზა, ვისთვისაც ქალაქის მოსახლეობის გადარჩენაზე ზრუნვა პირდაპირი მოვალეობა იყო.

ტურისტები მოდიან და მიდიან, მუზეუმში კი მათი ჩანაწერები და შენიშვნები რჩება.

14 ჰოლანდიელი ტურისტი აღნიშნავს: „მუზეუმის დამოკიდებულება და მიდგომა ძალიან საინტერესოდ წარმოაჩენს სტალინის ფენომენს. ჩვენ სულ სხვაგვარად გვაწვდიან ინფორმაციას სტალინის შესახებ. ჩვენს ქვეყანაში სულ სხვაგვარად განიხილავენ მის ფენომენს“.

ამერიკელი, შვეიცარიელი და გერმანელი ტურისტების აზრით, მეტი კრიტიკული მასალა უნდა იყოს გამოფენილი (სხვა რას უნდა ველოდოთ ამათგან?).

გერმანელთა სხვა ჯგუფმა კი თავიანთ ქვეყანაში სტალინის მუზეუმის რეკლამირების სურვილი გამოთქვა.

ორი დიდი ბრიტანელი მოითხოვდა, რომ გამოყოფილიყო ერთი ოთახი, სადაც აჩვენებდნენ ფილმს სტალინის შესახებ (ასეთი დარბაზი უკვე ფუნქციონირებს).

არის ჩანაწერები ლევ ტროცკის ფოტოსურათის გამოფენის მოთხოვნითაც. ამას ამერიკელი ებრაელები შენიშნავენ (!).

უკრაინელები — 15 ადამიანი — არ მალავენ თავიანთ ემოციებს, აღნიშნავენ, რომ აღფრთოვანებულები წავიდნენ მუზეუმიდან, ხოლო ლექციას ტაში დაუკრეს.

აპრილში პოლონელები, კანადელები და ჰოლანდიელები იყვნენ.

სულ ბოლო ჩანაწერი კი ბელგიელებისაა: „მუზეუმი დიდ ინტერესს იწვევს“...

დავეთანხმოთ.

და დავუმატოთ, რომ არა მხოლოდ მუზეუმი „იწვევს დიდ ინტერესს“, არამედ — გორის მკვიდრი.

სამამულო ომის ვეტერანთა აქსაკალი ირაკლი ყანდარელი

იყო გორში და აქაურ ღირსშესანიშნაობას პოლკოვნიკ ყანდარელს არ შეხვდე, მკრეხელობაა.

სტალინის ქუჩის გასწვრივ რამდენიმე მთავარსადარბაზოიანი სახლი. სადღაც აქ უნდა მოვძებნო.

— ხომ არ იცით, ირაკლი ყანდარელი სად ცხოვრობს? — შეკითხვა პირველსავე შემხვედრს.

— აი, აქვეა, მესამე სადარბაზოში, მეხუთე სართულზე.

ირაკლი ყანდარელი პოპულარული კაცია — ცოცხალი ლეგენდა, რომლის საქმენი საგმირონი ისტორიაში ჩაიწერა (გერმანელები აფხაზეთში ჩვენ არ შემოვუშვითო — თბილისის საოფიცრო სკოლის კურსანტებმა, — მეტყვის მერე, — ზოგიერთები კი ამბობენ, ფაშიზმთან ომი ჩვენი ომი არ იყოო) და სანამ ხელისუფლება ომის ვეტერანთა თაობისადმი პატივისცემით იყო გამსჭვალული, მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მისი წვლილი ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში სანიმუშოდ იყო მიჩნეული.

რა გაკლიათ ახლა-მეთქი, რომ ვკითხავ, მიპასუხებს — ყურადღება! თორემ სააკაშვილის ნაჩუქარი ტელევიზორი აგერ მიდგასო.

არც პენსიის სიმცირეზე დაიჩივლებს, მიუხედავად იმისა, რომ მისი პენსია სხვებისაზე ორ-სამჯერ ნაკლებია, იქნებ, უფრო მეტჯერაც.

ააღწევ მეხუთე სართულამდე, მიგიწვევს „ხრუშჩოვკის“ ერთოთახიან ბინაში დამსახურებული ადამიანი, ჩეხეთის, პოლონეთის, ჰოლანდიის საპატიო მოქალაქე, გულღიად შეგიპატიჟებს და... ვერ შემოგთავაზებს — დაბრძანდითო, რადგან ერთი სკამიც არ უდგას იმ ოთახში.

ამ უხერხულობას სტუმარ-მასპინძელი ჯენტლმენურად არ შევიმჩნევთ და ფეხზე ვიდგებით ინტერვიუს დასრულებამდე. თითქოს წესია ასეთი.

უყურადღებობა გულდასაწყვეტია, მაგრამ უარესია, როცა კონიუნქტურული პოლიტიკის გასამართლებლად ვეტერანის გამოყენებას შეეცდებიან. მიყვება: მისულან მასთან თბილისელი ტელეჟურნალისტები, ფაშიზმზე გამარჯვების 65-ე წლისთავთან დაკავშირებით უნდა ჩაგწეროთო. ილაპარაკა ბატონმა ირაკლიმ ამ თემაზე.

უკითხავთ, 9 მაისს მოსკოვში, წითელ მოედანზე საიუბილეო ზეიმზე თუ მიიღებთ მონაწილეობასო.

— არ მივუწვევივართო. რომ მივეწვიეთ, სად შემიძლია 87 წლის კაცს მოსკოვში გამგზავრება?

— რომ მიეწვიეთ, ჩახვიდოდითო?

— ჯანმრთელი რომ ვიყო, ფეხით წავიდოდი-მეთქი, ვუპასუხე და ამის გამო საერთოდ ამომჭრეს.

ირაკლი ყანდარელი ტელეეკრანზე ამ პასუხის გამო საერთოდ არ გამოაჩინეს.

— სხვა პასუხს ელოდნენო, — ეცინება პოლკოვნიკ ყანდარელს ჩემი კოლეგების პრიმიტიულ „პროფესიონალიზმზე“ და დემოკრატიული პრინციპებისადმი, რბილად რომ ვთქვათ, თავისებურ დამოკიდებულებაზე.

არადა, ძველი ჟურნალისტია. კალამი პირველად საბავშვო გაზეთ „Дети Октября“-ში მოსინჯა გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში — 80 წლის წინათ.

მოგონებებით ცხოვრობენ ვეტერანები. ირაკლი ყანდარელი საბრძოლო ეპიზოდს მიყვება ერთს. ვთხოვე და მიყვება:

სტალინის ნიღაბი

სუვენირების სალონის გამყიდველი

სტალინის სახლმუზეუმი

— გაგრაში იდგა ჩვენი სასწავლებელი — Первое Тбилисское военно-пехотное училище. პოლკოვნიკმა შალიმოვმა, სასწავლებლის უფროსმა, წაგვიყვანა პირველ ბრძოლაში სანჩაროს უღელტეხილზე. ბევრი ჩვენი მებრძოლი დაიღუპა, მაგრამ გერმანელებს ნაბიჯი არ გადმოვადგმევინეთ საქართველოსკენ. დაიშალა ჩვენი სასწავლებელი... ჰოსპიტლიდან რომ გამოვედი, შემდეგი უკრაინა იყო, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი...

ომი პრაღაში დაამთავრა.

კიტელი, რომელზეც საბრძოლო ჯილდოები ძლივს ეტევა (ერთი კოლოფი მედლებისა შენახული მაქვს) კარადაში უკიდია. მხოლოდ საზეიმო დღეებში იცვამს. საბრძოლო ჯილდოებს შორის ღირსების ორი ორდენია!

— სააკაშვილმა არ იცოდა, რომ ერთი უკვე მიღებული მქონდა, — ეშმაკურად ეღიმება, — და ჩამომიტანა მეორე.

არ მინდაო, ვერ ეტყოდა...

87 წლის გადმოსახედიდან ყველა ასეთი ფორმალობა კნინდება და მნიშვნელობას კარგავს. უმაღლესი ჯილდო მისი წლებია (ვიღაცის ნათქვამს ვიმეორებ), რომელთაც ვერავინ წაართმევს. ამიტომ, მოდით, ბატონო ირაკლი, გული იმ სიტყვებით გავიმხნევოთ, ინტერვიუს დასაწყისში რომ მითხარით:

Хотя зовут нас — ветераны,
Мы духом молоды всегда!

არმაზ სანებლიძე

რეზო ჩხეიძე:

დიდი ბედნიერებაა, როცა იგრძნობ, რომ შრომამ ფუჭად არ ჩაგიარა, რომ ფილმმა თავისი ადგილი ჰპოვა მაყურებლის გულში და ადამიანებს ცხოვრებაში გამოადგა

არ არსებობს ისეთი მხატვრული ნაწარმოები, ისეთი ფილმი, რომლის საფუძველი, საწყისი ჩვენს ცხოვრებაში არ იყოს, ყოველი მხატვრული ტილო უთუოდ ცხოვრებისეული ამბებისა და კანონების გამოძახილია. შემოქმედი, მწერალი იქნება იგი, მხატვარი თუ კინორეჟისორი, თავის ფანტაზიას ცხოვრებაზე დაყრდნობით შლის, აღვივებს, ამდიდრებს, სახეს უცვლის, მაგრამ ვიმეორებ: იგი ყოველთვის სინამდვილიდან გამოდის და სინამდვილეში აღმოჩენილ ხასიათებსა და პრობლემებს ეყრდნობა.

სანამ „ჯარისკაცის მამაზე“ მუშაობას დავიწყებდით, სცენარის ავტორმა ს. ჟღენტმა გვიამბო, რომ გიორგი მახარაშვილს — ბოდბისხეველ გლეხს მასთან ერთად უბრძოლია სამამულო ომის ფრონტზე, ნოვოროსიისკთან და მთელი ასეულის საყვარელი ადამიანი ყოფილა. იგი თურმე მამასავით ზრუნავდა ახალგაზრდა ჯარისკაცებზე. დიდი ფიზიკური ძალღონე ჰქონია და უზომოდ ყვარებია ბუნება. ამიტომაც აღარ შევცვალეთ ამ გმირის ნამდვილი სახელი და გვარი, ფილმშიც გიორგი მახარაშვილად დავტოვეთ. ბევრი რამ ფანტაზიით გავზარდეთ და გავაღრმავეთ, მაგრამ ფილმის საფუძველი, როგორც ვთქვით, რეალური იყო.

ხშირად გადაღების პროცესში, რეჟისორი მსახიობთან ან ოპერატორთან, კომპოზიტორთან, მხატვართან ერთად პოულობს ზოგიერთი კადრისა და შეიძლება მთელი ეპიზოდის ახლებურ, უფრო საინტერესო გადაწყვეტას, ვიდრე სარეჟისორო სცენარში იყო გათვალისწინებული. ვისაც გინახავთ „ჯარისკაცის მამა“, გეხსომებათ როგორ შემთხვევით პოულობს კახელი გიორგი მახარაშვილი ღრმა თოვლში დაფლულ სახელმწიფო-სასაზღვრო ბოძს და მებრძოლებთან ერთად, ყუმბარების გრიალში, ვაშას ძახილით ფეხზე აყენებს მას. როგორ გამოიყურებოდა ეს ეპიზოდი სარეჟისორო სცენარში? — იქ მოცემული იყო ჩვენი ჯარებს დიდი ნაწილების გადასვლა უღრან ტყეში, ღრმა თოვლში. მძიმედ მიაბიჯებდნენ დაღლილი მებრძოლები და მათ შორის — გიორგი მახარაშვილი. მებრძოლებისკენ მორბოდა აღფრთოვანებული ჯარისკაცი და ლეიტენანტს უპატაკებდა, ჩვენმა ჯარმა საზღვარს მოაღწიაო.

გახარებული, თავდავიწყებული მებრძოლები გარბოდნენ წინ, საზღვრისკენ. თითქმის ნახევარი ფილმი იყო გადაღებული, ახლოვდებოდა დღეები, როცა საზღვარზე გადასვლის ეპიზოდიც უნდა გადაგვეღო... გულში რაღაც უკმაყოფილებამ დაისადგურა. ვგრძნობდი, ეს ეპიზოდი ისე რომ გადაგვეღო, როგორც სარეჟისორო სცენარში იყო აღწერილი, ტრაფარეტული გამოვიდოდა და გიორგი მახარაშვილის ხასიათიც საერთო ამბავში გაითქვიფებოდა.

ამ სცენის გადასაღებად საჭირო იყო ისეთი „გასაღების“ პოვნა, რომელიც, მიუხედავად მოვლენის (სახელმწიფო საზღვრის აღმოჩენის) გრანდიოზულობისა, ადამიანის ხასიათს გამოხატავდა. ჩემი ეს მოსაზრება გავუზიარე სცენარის ავტორს სულიკო ჟღენტს, სერგო ზაქარიაძეს, მხატვარ ზურაბ მეძმარიაშვილს, რეჟისორ თემო მიქაძესა და სამხედრო კონსულტანტს, გენერალ-ლეიტენანტ ი. ვლადიმიროვს. ვფიქრობდი, რომ გენერალი, რომელიც ყველაზე მეტად მასობრივ სცენებს სცემდა პატივს, ჩემს ახალ მოსაზრებას არ გაიზიარებდა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, პირველმა მან მოიწონა. დაიწყო საერთო ძალებით ძიება, დეტალების დაზუსტება და ამის შედეგად მივიღეთ ეპიზოდი, რომელიც თავისი მხატვრულობით გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე ის, რაც სარეჟისორო სცენარში იყო გათვალისწინებული.

კინოფილმისთვის „ჯარისკაცის მამა“ შესაფერისი ნატურა რომ შეგვერჩია, შემოვიარეთ ადგილები, სადაც სამამულო ომის სისხლისმღვრელი ბრძოლები წარმოებდა. გადავიღეთ საბრძოლო ეპიზოდები ნარო-ფირმსკში, მოსკოვიდან 80 კმ მოშორებით, სადაც ნამდვილად გადიოდა მოსკოვის დაცვის ხაზი და აქა-იქ ისევ ეყარა 23-24 წლის წინათ აფეთქებული ნაღმების ნამსხვრევები, ტყვიები, რკინის მუზარადები. ყოველ ნაბიჯზე გვხვდებოდა გმირთა საფლავები... რიგასთან კადრებს ვიღებდით 22 წლის წინათ გათხრილ საბრძოლო სანგრებში, რომლებიც ბალახსა და ბარდს დაეფარა. კალინინგრადში (ყოფილ კენიგსბერგში) კადრებს ვიღებდით ომისგან დანგრეულ სახ-

ლებში, რომელთა კედლები ახლაც დგას ამ ქალაქში, როგორც ომის საშინელების ცოცხალი მოწმე.

მოსამზადებელ პერიოდში ასევე მთლიანად უნდა დამზადდეს გადასაღები რეკვიზიტი. ძირითადად ეს მზადდება ესკიზებისა თუ ნახატების მიხედვით სტუდიის სადურგლო და ბუტაფორულ საამქროში, რაც მეტად ხანგრძლივი და ზუსტი სამუშაოა. თუ საქმე გვაქვს ისტორიული ხასიათის ფილმთან, ძველი დროის ზოგიერთმა საგანმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, ამიტომ საჭიროა მისი კოპირება ნამდვილიდან. ომი, დიდი ხანია, დამთავრდა და ისეთ გერმანულ ტანკებს, რომლებიც იმ პერიოდში იყო და, რაც მთავარია, მოძრაობდა კიდეც, ვეღარსად იპოვიდით. ამ პრობლემის წინაშე დავდექით „ჯარისკაცის მამისა“ და „ღიმილის ბიჭების“ გადაღების დროს. ჩვენმა მხატვრებმა ხერხი იხმარეს — გერმანული ტანკის სურათების მიხედვით დაამზატეს ზუსტი ტექნიკური ნახაზი და დეტალები, შემდეგ საბჭოთა ნამდვილი ტანკი გადააკეთეს — შეუცვალეს კოშკურის ფორმა, სასროლი ლულის ბოლო, წინა ჯავშანი, მუხლუხოების ფარები, ფერი... ასე სახეშეცვლილი საბჭოთა ტანკი ძალიან ჰგავდა გერმანულ ტანკს. შემდეგ ჩემთვის არაერთხელ უკითხავთ — გერმანული ტანკი სადღა იშოვნეთო. ასე დაძაბული, მრავალმხრივი და საინტერესოა ფილმის გადაღების მოსამზადებელი პერიოდი. შეიძლება ითქვას ხშირ შემთხვევაში კარგად და ნაყოფიერად ჩატარებული ეს პერიოდი განსაზღვრავს ფილმის გადაღების წარმატებით მსვლელობას. თუ მომზადების პერიოდს მაქსიმალურად გამოვიყენებთ, ნაკლები იქნება მოულოდნელობები, რომლითაც სავსეა ყოველი დღე.

და აი, დგება დღე, როდესაც ინიშნება პირველი გადაღება. ამ დღეს ყველა ქვეყანასა და ყველა სტუდიაში კინემატოგრაფისტები ტრადიციულად იქვე, შამპიანიურის ბოთლების გახსნით აღნიშნავენ. თუ გავიზიარებთ ერთ-ერთი ცნობილი კინორეჟისორის ნათქვამს — ფილმის გადაღება ომის მოგებას ნიშნავს.

მახსენდება, 1946 წელი იყო. კინოზე ოცნებამ აღარ მოგვასვენა და თბილისის თეატრალური ინსტიტუტის ორმა სტუდენტმა (მე და თენგიზ აბულაძემ) წერილი მივწერეთ სახელგანთქმულ რეჟისორს სერგეი ეიზენშტეინს („ჯავშნოსან პოტიომკინის“, „ალექსანდრე ნეველის“, „ივანე მრისხანეს“ და სხვა სურათების შემქმნელს). ჩვენი გატაცება გავანდეთ, ვთხოვეთ, ერჩია, როგორ მოვქცეულიყავით, რა გაგვეკეთებინა იმისათვის, რომ კინოში მოვხვედრილიყავით. მივწერეთ, რომ მზად ვიყავით ყველაფრისთვის, ოღონდ ჩვენი მიზნისთვის მიგვეღწია. ს. ეიზენშტეინმა, თუმცა მძიმე ავადმყოფი იყო (ეს ჩვენ შემდეგ შევიტყვეთ), მეტად თბილი პასუხი მოგვწერა, წერილი კი შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა: „...უნდა გაგაფრთხილოთ, იცოდეთ, კინემატოგრაფისტთა პური მძიმე პურია“. ამ სიტყვებისთვის მაშინ მე თითქმის არ მიმიქცევია ყურადღება. იგი გადაჭარბებულადაც მეჩვენა და, ცხადია, მას არ შეეძლო შეეჩერებინა კინოსკენ ჩვენი ლტოლვა.

ახლა კი, როდესაც ამ „მძიმე პურის“ გემო მეც ბევრჯერ ვიგემე, კარგად მესმის, რომ მსოფლიო კინოს დიდოსტატი სრულებით არ აჭარბებდა.

და მაინც ჩვენი შრომა დიდი სიყვარულითა და ხალისით არის სავსე. მასში იმდენი გამომგონებლობა, ფანტაზიის ესოდენი გაქანება, ნებისყოფის იმდენი ძალაა ჩასადები და თანაც იმდენ მოულოდნელობასთანაა დაკავშირებული, რომ ადამიანის ცხოვრებაში ყოველთვის დაუვიწყარ, შესანიშნავ მოგონებად რჩება. ჩვენ, კინემატოგრაფისტები, მოკლებული ვართ იმ საშუალებას, რომ შეგვეძლოს მწერლების, მხატვრების ან კომპოზიტორების მსგავსად, მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიტანოთ ჩვენს ნაწარმოებში.

კინემატოგრაფია (ლიტერატურის, სახვითი ხელოვნების, მუსიკისა და სხვ. განსხვავებით) სინთეზური ხელოვნებაა. იგი ხელოვნების დარგთა თავისებურ შენადნობს წარმოადგენს.

სიტყვა რეჟისორი კი, თავისი შინაარსით, პროცესის მიმდინარეობის ხელმძღვანელობას, მართვას ნიშნავს (ფრანგულად regisser, ლათინურად rego — ვმართავ).

ფილმის გადაღება რომ დამთავრდება, ან უკეთ რომ ვთქვათ, ფილმი რომ დაიბადება, ეს უდიდესი მოვლენაა მისი შემქმნელების, მთელი სტუდიის ცხოვრებაში.

დიდი ბედნიერებაა, როცა იგრძნობ, რომ შრომამ ფუჭად არ ჩაიარა, რომ ფილმმა თავისი ადგილი ჰპოვა მაყურებლის გულში და ადამიანებს ცხოვრებაში გამოადგა“.

რეზო ჩხეიძე,
„როგორ გადავიღოთ კინოფილმი“

P.S. იმედს ვიტოვებ, რომ ახალგაზრდა თაობის რაღაც ნაწილი მაინც წაიკითხავს ამ წერილს და მიხვდება, რამდენად სერიოზული და საპასუხისმგებლო პროცესია კინოს გადაღება, გარდა აუცილებელი პროფესიული განათლებისა, იგი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას მოითხოვს. იმ შემთხვევაში, თუ გინდა შენი კვალი დატოვო კინემატოგრაფიის ისტორიაში, რა თქმა უნდა, მით უმეტეს „ქართული კინოს“ ფენომენი და ტრადიციები იმდენად დიდია, არ იძლევა უფლებას, უგულებელყო ხარისხის პრიორიტეტი და მხოლოდ ერთჯერადი, უსახური, არაფრისმთქმელი ფილმები გადაიღო.

ჯობს, ცოტა იყოს და ეტყობოდეს, რომ ნაფიქრი და ნაშრომია. მხოლოდ „ჯარისკაცის მამა“ ეყოფოდა ბატონ რეზოს ადამიანთა გულში დიდი სიყვარულისა და მსოფლიო კინემატოგრაფიის ისტორიაში მარადიული კვალის დასატოვებლად.

მოამზადა **მანანა ჟვანია**

არქიტრავის ბარელიეფი. აკვანეგბა.
VI საუკუნე. ბოლნისის რაიონი

გ.ქოქიაშვილის ფოტო

აკვანეგა. VI საუკუნე.
გოლნისის რაიონი

გ.ძოძიაშვილის ფოტო